



W 10

குறைஷாமல் காழிகளில் குமிடியீரி என்றால்



வட்டாரங்கள்
நாடால்மதியே ஸ்ரோதா
1920.

ქ ი ნ ა რ ს ი

830რთხ.

1. ეკონომიკური თათბირის გამო	3
2. ნარი—ერობის მუშაობა	5
3. 6. საქარელი—ფიქრები საერობო თვითმართველობაზე	9
4. ვრ. გერსამია—ქუთაისის სამაზრო ერობა	13
5. ა. სვანიძე—ამქრები ძველ საქართველოში	19
6. ექიმი ი. ლომიური—ხოლერა	26
7. მ. ქარცივაძე—ნარინჯოვანი ხეხილი და მისი გავრცელება ჩვენში	32
8. განმანი—ეკონომიკური კრიზისის გარშემო	34
9. გრ. სა—ქედელი—პატარა წერილები (ერობა და სასამართლო, გადასახადები, ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფა, სასოფლო სამეურნეო განათლება).	40
10. ქრინიკა	51
11. ხოლელი—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (ვ. ბარნოვი, ოხოლებანი I ტ.)	58




No. 10

ବ୍ୟକ୍ତିଗତ—31

1920 E.

5 669



ორკვირეული საქონლო ქურნალი

ერთბათა გავშინის კომიტეტის ორგანო



ଓଡ଼ିଆ
ସାହେଲମ୍ବିନୀ
୧୯୨୦



31 ოქტომბერი, 1920 წ.

ეკონომიკური თათბირის გამ.

ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ებრივ აპარატის სიმბიმე უმცირესად შმართველ პარტიას აწევს კისრად. წახდება თუ გაკეთდება რამე პა-
ტუხის მეცნიერებლის მაინც ამ პარტიას ადევს. ღლევანდელ მძიმე ეკონომი-
ურ მდგომარეობისათვისაც არ შეეძლო სათანადო ყურადღება არ მიექ-
ცია ს.-დ. პარტიას, რა არ გამოენახა რაღიკალური ზომები, რომლის
საშუალებითაც რაოდენიმეთ მაინც შევძლებდით ეკონომიურ კრიზისი-
დან თავის დახტევას. ამ მიზნით ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით
შესდგა ეკონომიური თათბირი. რომელზედაც მონაწილეობდენ, მთავ-
რობისა და დამფუძნებელი კრების ზოგიერთი წევრები და ს.-დ. სხვა და
სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. თათბირმა რაოდენიმე დღეს გას-
ტანა; თათბირის ყველა მონაწილენი გრძნობდენ დღევანდელ აუტანელ ეკო-
ნომიურ მდგომარეობას; გამოითქვა ბევრი სხვა და სხვა საყურადღებო
აზრი ეკონომიურ კატასტროფის გამომწვევ მიზეზებისა თუ მის წი-
ნააღმდეგ საბრძოლველ საშუალებების შესახებ, მაგრამ თათბირმა ის კი
ერთსულოვნად აღიარა, რომ არ გვივარგა სისტემა ეკონომიკის არც ურთ
დარგში, რომ არა გვაქვს შემუშავებული დღემდე მტკიცე, მთლიანი
ეკონომიური პოლიტიკა. და მართლაც მიზეზთა შორის ის არის აღსა-
ნიშნავი, რომ არა გვაქვს ეკონომიკაში წინასწარ შემუშავებული
სამოქმედო გეგმა, ეკონომიური განვითარების დაყყარება. დროსა და
შემთხვევებზე ყოვლად შეუძლებელია. ჯერ ჩენენთვის ისიც კი არ არის
საბოლოოდ გამორკვეული; ჩვენ კერძო ინციატივის მომხრე ვართ წარ-
მოების საქმეში, თუ მონოპოლიის; ცხადია, როცა ჯერ კიდევ არ მო-
გვებოდა საკუთარი კაპიტალი, ფართო გზა უნდა მივცეთ კერძო ინიცია-
ტივას და აგრეთვე უცხო კაპიტალსაც; რომელსაც სახელმწიფოს მონა-
წილეობით მიზნად ექნება საწარმოო საქმის დაწყება.

ზოგმა ერობებს და თემებს უკისინეს მთლიანი ეკონომიური პო-
ლიტიკის დარღვევა, მაგრამ მარტო საერთო თვითშართველობანი აქ
რა შეუშია როცა, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, თვითონ ცენტრა-
ლურ მთავრობასაც კი არა აქვს შემუშავებული მტკიცე ეკონომიური
პოლიტიკა. ჯერ საჭიროა შევქმნათ ეკონომიკაში სახელმხვანელო გეგმა

და შემდეგ უნდა მოვითხოვოთ მისი უანხორციელება სავსებით რესპუბლიკის ყველა კუთხეში, თუ წინააღმდეგთ ამ გეგმის მთლიანობის დამრღვევთ. ორ გასაკვირია, თუ დღევანდელ აფორიაქებულ ეკონომიურ პირობებში ერობები თუ თემები საკუთარი ძალითონით, ზევიდან უსანქციოთ ცდილობენ მოაგვარონ თავიანთი ეკონომიური საკითხები, რომლებიც ვერ ითმენებ მოცდას და საჩქაროდ მოითხოვენ ასე თუ ისე გადაჭრას. დღემდე ერობებისათვის საბიუჯეტო უფლების გამორჩევაც კი ვერ მოვახერხეთ, ორც მეტად აბრკოლებს მათ ნაყოფიერ საქმიანობას; ჩვენი ერობები დღეს ნიადაგ გაუმაგრებელ, სულ ახალ ორგანიზაციას წარმოადგენენ, მაგრამ ასე თუ ისე, შეძლებისადაგვარად, მაინც მართავენ საქმეს; ამისათვის მათ საყვედლურით კი არ უნდა მივმართოთ, არამედ მეტი სიფაქიზით და თანაგრძნობით უნდა მოვეპურათ.

თათბირმა დასასტულ ჭიილო ვრცელი რეზოლუცია, (რეზოლუცია ჩვენი უურნალის ამ ნომერში იბეჭდება) სადაც ჩამოთვლილია მჟალი რიგი ზომებისა, რომელთა განხორციელება უეჭველია რაოდენიმეთ მაინც გააუმჯობესებს ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას. დასახელებულ საშუალებათა შორის აღსანიშნავია უმთავრესად საყველოთაო შრომის ბეგრის შემოღება არა მშრომელთათვის, რესპუბლიკის განწმენდა მავნე ელემენტებისაგან და უუსასტიკესი ზომების მიღება სახელმწიფოში ბოროტოქმედების ჩამდენთა და მექრთამეთა წინააღმდეგ. ორც შეეხება ზედმეტ, მავნე ელემენტებისაგან განწმენდას, ამის შესახებ დიდი ხანია, ორც იყო დადგენილება, მაგრამ დღემდებ მისი სისრულეში მოყიანა შეუძლებელი გახდა, მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდება; ეს ვაჟძატონები ყველაზე უფრო „ტკბილად და თფილად“ განაგრძობენ დედა ქალაქში განცხრომას; ორც მალე ვავწმინდავთ ჩვენ სახელმწიფოურივ ორგანიზმს. ამ პარაზიტებისაგან მით უფრო მოვიგებთ როგორც ეკონომიურად ისე პოლიტიკურად; მაგრამ ამ შემთხვევაშიაც უიმედობა გვიპყრობს, ოდგანც თათბირის რეზოლუცია კი არა, საკანკანმდებლო ორგანოს მიერ მიღებული დეკრეტ-კანონიც კი მხოლოდ ქალალდზე რჩება, იმასაც კი ვერ ვანხორციელებთ ცხოვრებაში; ესეც ერთი უკულმარი, მანინჯი მოვლენა არის ჩვენ ცხოვრებაში და ამას უსათუთად დროზე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ორც შეეხება ბოროტ-მოქმედთა და მექრთამეთა წინააღმდეგ უუსასტიკესი ზომების მიღებას, აბა, ორ გვეთქმის მის წინააღმდეგ მაშინ, როცა აეთი კათეგორიის დამაშავენი არხეინად დასეირნობენ ტფილი-

სის ქუჩებზე; შათთვის ორი-სამი თვით ციხეში ჩაჯდომა არ არის საკმარისი. პუზიანის გასასწორებლად კიდევ უფრო სისასტიკე საჭირო. კმარა. ბოლო უნდა მოელოს სახელმწიფო მოღალატეობას; ეს თათბირშაც გადაჭრით მოითხოვა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დასახელებული ზომების განხორციელება მთავრობას უფრო აღრეც შეეძლო, მით რაოდენიმეთ. მაინც უფრო ადვილად ავიცილებდით ეკონომიურ კატასტროფას, რომელზედაც დღეს ყველა თვალ ცრუმლიანი მოვსთქვამთ. დასასრულ ჩვენ მაინც კიდევ იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ რეზოლუციასაც ის ბედი არ ვწევა, რაც მრავალ მის შეზაქს.

ცხადია, მარტო მთავრობა, რაც უნდა უნარი და ენერგია არ უნდა გამოიჩინოს მან, მაინც ვერ შესძლებს დასახელებული ზომების განხორციელებას, თუ მას რესპუბლიკის ყველა ცოცხალი, მოქმედი ძალები არ ამოუდგა გვერდით. ერობები და თემებიც ამ ზომების განხორციელებაში არ დაიჭირენ უკანასკნელ რიგს.

ერობის მუშაობა.

V.

როგორც მკითხველი დაინახავს ჩვენ რუსეთის ერობის ისტორიის განხილვის დროს აღვნუსხეთ უმთავრესად ის თვალსაჩინო მომენტები, რომელნიც არსებითად ახასიათებდენ რუსეთის ერობის მისწრაფებებს. უმთავრესი ყურადღება მივაქციეთ იმ ინტერესების ბრძოლას, რომელმაც ბოლოს და ბოლოს სასტიკი და ფრიად გარკვეული სახე მიიღო. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის ერობა ისტორიული აუცილებლობის წყალობით მიღიოდა იმ დასკვნამდის, რომელიც ხალხის ხელში მართვა-გამგეობის გადასვლაში; ერობაში, დემოკრატიის ფაქტიურ მუშაობის ჩაბმაში უნდა გამოსულიყო და სწორეთ აქ დაისვა წერტილი რუსეთის ერობის არსებობისა. ეს ისტორია იმდენათ იყო საინტერესო, რამდენათ აშკარად დაგვანახებდა იმას თუ რაოდენათ აფერხებს მუშაობას ბიურკრატიზმისა და დმინისტრაციის თვითნებობის გამეფება თვით-მართველობის ორგანოებში. ამისათვის კი საუკეთესო ილიუსტრაციას რუსეთის ერობა იძლეოდა.

ახლა გადავხედოთ ჩვენ ერობას რა ხდება აქ? ვინ არის ჩვენი ერობის ბატონ-პატრიონი?

იმ სწორი ხაზის წყალობით, რომელიც ქართველმა დემოკრატიაში იმთავითვე აიღო ბალშევიზმის რუსეთში გამარჯვების შემდეგ, ჩვენ მონაწილენი გავხდით იმისა, რაც მრავალი სხვისათვის დღესაც კი საოცნებო და სანატრელ იდეალავა და მისწრაფებაო გამხდარა, იმ პოლიტიკური წყობილების მიხედვით, რომელსაც დემოკრატიული რესპუბლიკა ეწოდება, და რომელიც არსებობს ჩვენში, ჩვენ შეგვიძლია თამაში ვსოდეთ, რომ საქართველოს ბედი ქართველი ხალხის, მისი მშრომელი მასის ხელშია.

და ის დემოკრატიული ერობა; რომელიც საქართველოში არსებობს ქართველივე დემოკრატიის შემოქმედებითი მოღვაწეობის, ასპარეზათ უნდა გადაიქცეს.

საერობო თვითმართველობის ორგანოები ჩვენში მართლაც და სავსებით გადაქცეულნი უნდა, იყვენ უმეშვეოდ შშრომელი ხალხის მოქმედებისა და მუშაობის სარბიელათ. ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, რომ ქართველი დემოკრატია ამ მუშაობის ფარგალში არ იყვეს ჩაბმული, მაგრამ ამასთან ვერ ვიტყვით იმასაც, რომ ჩვენი ხალხი, სოფლის მუშა, საერობო თვითმართველობის ორგანოებში ფართე მონაწილეობას იღებდეს. ნურავინ იფიქრებს იმას, რომ ამით ჩვენ გვინდა ეს გარემოება ერობებს დაუწეროთ ნაკლათ. არა ეს იმდენათ ერობების ნაკლი არ არის, რამდენათ თვით ჩვენში არსებული პირობებისა. ერობა ჯერ კიდევ ახალი ხილია. საქართველო არ გახადა რუსეთის ბიუროკრატიამ 90 წლის ერობის ღირსიც კი და ის, რაც ჩვენში არსებობს მხოლოდ დიდი რევოლუციის შედეგია. ამიტომაც ჩვენში არ არსებობდა საამისო სათანადო გამოცდილება. ერობამ საქართველოში ახალი არსებობა დაიწყო და ამიტომაც ჯერ მას სავსებით ფრთხები ვერ გაუშლია. ეს გარემოება კი უფრო ნათელი გახდება თუ მხედველობაში მივიღებთ იმ არა ნორმალურ პირობებს, რომელშაც საქართველო იმყოფებოდა ამ ორი და სამი წლის განმავლობაში. ცხადია ამიტომ ხალხი, მასა, ვერ შეიქნა სავსებით საქმეთა ბატონ-პატრიონი. განსაკუთრებით ესა სჩანს სათემო ანუ წვრილ საერობო, ეროვნულებში. ხშირია ისეთი მაგალითი როდესაც სათემო თვითმართველობაში უმთავრესი ხელმძღვანელის როლი უკავია არა ადგილობრივ მცხოვრებს, ან და თვით სამაზრო ერობის გამგეობაში, ადგილი უკავია ამ მაზრის. მდგომარეობისა და პირობების სავსებით არამცოდნე აღამიანს.

ეს ანორმალობაა უეჭველიათ. რა უნდა ქნას ასეთ პირობებში ერობაში? პასუხი ერთია: მან უნდა მიიღოს ენერგიული ზოშები იმისათვის, რომ ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნას და თვით ხალხი გახდეს უაქტიური მომქმედი პირი ამ საერობო მუშაობისა. ეს იმისთვისაც არის საჭირო, რომ თვით ერობას არ დაეკარგოს ნდობა ხალხის თვალში. თუ მარტო ინტელიგენცია იქნა ხელმძღვანელი საერობო მუშაობისა და მასა კი ამისი მაყურებელი და მაცერალი იქნა, ცხადია, იგი თავის და თავად ნელ-ნელა გულს აუცრუებს ერობას და დაკარგავს მისდამი პატივის ცემას. პირველ ყოვლისა საჭიროა ხალხის კულტურული დონის მაღლა აწევა. საჭიროა რაც შეიძლება ხშირათ სოფლის მუშაობათვის იმართებოდეს უფასო საუბრები ერობის მიზნებსა და დანიშნულებებზე, სადაც რაც შეიძლება მეტის მდაბიო ენით ხალხს ექნება განმარტებული საერობო მუშაობის მნიშვნელობა, და საუბრებთან, მისივე ნაყოფიერებისათვის, მოწყობილ უნდა იქნეს კულტურული გასართობები. ყოველივე ეს დააინტერესებს ხალხს, შეაყვარებს მას ერობებს. ეს რაც შეეხება კულტურულ მხარეს. პირველ ყოვლისა ავილოთ საექიმო დახმარება. დღევანდებს ჩვენ პირობებში ამ დახმარებას უეჭველია დიდი მნიშვნელობა აქვს. სოფელი საერთოდ დიდ გაჭირებას განიცდის და ხშირათ ისეთ სერიოზულ ავათმყოფს, რომელსაც სწრაფი დახმარება სჭირდება, სოფლის აქიმობით და გამოლოცვებით წამლობენ. აი აქ დიდ მაღამოს უაადებდა ხალხის წყლულებს სწრაფი საექიმო დახმარება. ჩვენ ვიცით რომ ჩვენი ერობები შეძლებისდაგვარად სცდილობენ. სოფლად საექიმო დახმარების გაუმჯობესების, მაგრამ, როცა ამაზე გვაქვს ბაასი ჩვენ გვინდა ყურადღება მივაჭრიოთ ერთ გარემოებას; ჩვენის აზრით საექიმო დახმარება სოფლად სრულდებით უფასო უნდა იყოს, უფასო ანდა შეიძლება სულ მცირეოდენი ფასის გადახდით. ჩვენ ვიცით არა ერთი და ორი შემთხვევა ისეთი, როდესაც დღევანდელი სიძევის გამო, სოფლის მუშას ვერ გაუბედავს ექიმისათვის მიმართვა და ავათმყოფს ცხადია ასეთ შემთხვევაში არაფერი კარგი არ დამართნია. ექიმის ნახვა ერთია ხშირათ და წამლით მუტანა კიდევ სხვა. და თუ ერობა შეძლებს წამლის უფასოთ მიწოდებას ხალხსათვის ამით ის დაუფასებულ ლვაწლს დასდებს ხალხის ჭირ-გარამს. ასეთივე ზომები უნდა იქნეს მიღებული საფეტერინარიო დახმარებაში, რადგან ეს დარგი, განსაკუთრებით ჩვენ სოფლებში ცუდ პირობებშია ჩაყენებული. ვეტერინარია იმ დენათვე საჭიროა სოფლის მუშისათვის,

რამდენათაც პური არსებობისა. თუ სოფლად საქონლის ჭირი გაჩნდა, ეს ისეთივე უბედურებათ იქცევა ხალსის თვალში, როგორც დიდი ეპიდემიური ავათმყოფობის გამოჩენა.

შემდეგ სოფელს საოცრათ ესაჭიროება სამეურნეო დახმარება. შექმნილმა პირობებმა ჩვენი ხალხი საშინლათ დაზარალა, ჩვენი სოფელი დღე-დღეობით საშინლათ დაღარიბდა, და ასეთ შემთხვევებში სამეურნეო დახმარება ხალხისათვის პირდაპირ დაუფასებელი საშუალება იქნებოდა. სამეურნეო დახმარება ყოველ დარგში უნდა ჩანდეს, იქნება ეს ვენახის მოვლა-მოშენებაში თუ სიმინდის და პურის მოყვანაში ან და მიწის დათოხვნა-გაპოხიერებაში. და აი როდესაც სოფლის ხალხი პრაქტიკულად დაინახავს ამ საშუალებათ, იგი ძალაუნებლივთ დაინტერესებდა საერთო მუშაობით და თვით პირველ ყოვლისა იქნება დაინტერესებული მის კეთილ დღეობაში.

დღევანდელი მომენტი კიდევ ერთ უდიდეს მოვალეობას აკისრებს ჩვენს ერობას. ეს არის ხალხის გამოკვება. ეჭვს გარეშეა ჩვენი ხალხი დამშეულია დღეს. არ არის სოფელი, რომელიც შიმშილს არ განიცდიდეს. აქაც ერობის დახმარებაა საჭირო. ეს დახმარება კი რაც. შეიძლება სასწრაფო და საჩქარო უნდა იყოს. ერობამ უნდა შესძლოს ხალხს დაუყონებლივ, სიმიდი მიაწოდოს და მიაწოდოს იგი რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში.

ამასთან ერთად გვინდა ერთ გარემოებასაც. მივაჭრიოთ მკითხველის უზრადღება. ჩვენი ერობა დღეს უეჭველია განიცდის სპეციალისტთა ნაკლებობას. მას არ მოექცება სპეციალური ცოდნით აღჭურვილი ახალგაზდობა, ამასაც ამ თავითვე უნდა უწამლოს ერობამ. მან დღესვე უნდა დანიშნოს რაშოდენიმე სტიპენდია უმაღლეს სასწავლებელში საუკეთესო სტუდენტებისათვის, იმ პირობით კი, რომ შემდეგ რამოდენიმე წლის განმავლობაში ეს სტუდენტები ემსახურებოდენ ამავე ერობას.. ამით ორი ჯილი საქმე გაკეთდებოდა. ერთი ის, რომ ერობას ეყოლებოდა მომავლისათვის სპეციალური ცოდნით. აღჭურვილი ახალგაზდები და შეორე ისიც, რომ მრავალ ახალგაზდას მიეცემოდა საშუალება მეცნიერებისა და ცოდნისათვის მოეკიდა ხელი.

ყოველივე ეს კარგი, იტყვის მკითხველი. ეს ჩვენც ვიცოდით, მაგრამ რა ხაშუალებითა და საღსრით უნდა შესძლოს ეს ერობამ. ეს ხომ დიდი საქმიანობაა და სად აქვს ერობას იმდენი თანხა, რომ ამხელა მოვალეობის შესრულება მოახერხოს. როგორც სჩანს აქ სა-

კითხი ფინანსებზე ისმის და გამოსავალი უნდა გამოვნახოთ. ჩვენა ბევრნია რომ აქ გადასახადის პრინციპის მოწესრიგება სავრცნობლათ გააუმჯობესებს საჭმეს. პირველ ყოვლისა დაცული უნდა იქნეს ის თედა აზრი, რომელიც გამოიხატება პროპორციონალურ (შემოსვლის კვალობაზე) სისტემის დაცვაში. მაგრამ მე ვფიქრობ დღევანდელ პრობებში ვერც ეს ზომა შეავსებს ნაკლს. აქ უპირველეს ყოვლისა მთავრობის დახმარებაა საჭირო. დღესდღეობით სოფელი იმ გვარ პირობებშია ჩაყენებული, რომ მას დიდი დახმარება სჭირდება. უა მთავრობა არაფერს დაკარგავს ამ დახმარებით, ვინაიდან ამ გზით ერობას საშუალება მიეცემა დროზე უშველოს სოფლის ჭირ-ვარამს, ხოლო ეს გარემოება კი სოფლის მუშას საერობო მუშაობაში ჩაბამს და მაშინ სოფელი ერთი ასათ გადუხდის მთავრობას მის პირველ დახმარებას. ფინანსების საკითხი რთული საკითხია და ამაზე ვეცდებით ცალკე წერილში მოვილაპარაკოთ. ჩვენი ერობის მოღვაწეთა მთავარ მიზანს, მათ მთავარ დანიშნულებას უნდა შეადგენდეს მშრომელი ხალხის საერობო მუშაობაში აქტიური ჩაბმა. თუ ძველი რუსთის მოწინავე ხაზოგადოების, საუკეთესო მიზნებს, ხალხის თვითმართველობათა ორგანოებში ჩაბმა შეადგენდა, ჩვენთვის ეს მიზანი დღესდღეობით უფრო ახლო და მასთან სანუკვარიც უნდა იყოს.

ნარი.

პიპრები საერობო თვითმართველობაზე

2.

უკულაზე უფრო დიდი, გადაუდებელი და თავსატეხი საქმე ჩვენი დღევანდელი თვითმართველობის ცხოვრებაში არის მისი ერთს განსაზღვრულ უფლებრივი კალაპოტში ჩაყენება და მთელ სახელმწიფო აგებულებაში მისთვის. სათანადოდ გამოკვეთილი ადგილის მაჩვნა. ყველა, ვისაც კი ოდნავ მჩინც ესმის სახელმწიფო ცხოვრების ვითარება და უფლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების აუცილებლობა, დარწმუნებულია იმაში, რომ ერობის და თემის დღევანდელი უფლებრივად გამოუკველი მდგრადი კულტურისა.

რაღა თქმა უნდა, თვითმართველობის ყოველ სტეროში, ყოველ საფეხურზე დიდი სახალხო სახელმწიფოებრივი მუშაობაა განალებული.

საქართველოს ყოველ კუთხეში საერობო და სათვითმართველობო ციებ-ცხელებაა. მაგრამ ამ საყოველთაო მუშაობაში არა სჩანს რაიმე სისტემატიური გარეკვეულობა, მწყობრი გეგმა ფინანსიური, ეკონო-მიური თუ სასურსათო-სამეურნეო შემოქმედებისა. არაა განსაზღვრული თვითმართველობის უფლება და მოვალეობა; რაიცა სიმკვიდრეს და მტკიცე მიმართულებას აძლევდეს ერობის, თემის თავის თავად მრავილ მნიშვნელოვან მოღვაწეობას.

დღევანდელი თემი, ერობა თუ ქალაქი თვითმართველი და ამავე დროს მმართველი სახელმწიფოებრივი ორგანოებია. მაგრამ მათი და-მოკიდებულება სახელმწიფოს მთლიანობის განვითარებულ უმაღლეს ცენ-ტრებთან, ისე როგორც მათი ურთიერთული განწყობილება მოკლებუ-ლია ორგანიულ კავშირს, მოუწესრიგებელია.

ეს საერთო უფლებრივი გამოურკვევლობა და საქმეთა საყოველთაო უფლებრივი მოუწესრიგებლობა აღნიშნა ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნე-ლოვენები ერობის — ქუთაისის — გამგების თავმჯდომარემ ბ. კ. სულაქვე-ლიძემ „ქუთაისის ერობის 1920 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის“ (ქუთაისი, 1920 წ.) წინასიტყვაობაში. აღნიშნავს რა ერობის მიერ ნაწარმო-ებ მუშაობის მრავალმნიშვნელობას და თითქმის დაუძლეველ დაბრკოლება-თა მთელ რიგს ერობის განვითარებას რომ ელობება ჩვენში, პატივცემულზ კ. სულაქველიძე მრავალ გზით ეხება ამ სავალალო გარემოებას. „საერ-თოდ თემების იმ მდგომარეობაში დატოვება, როგორშიაც ისინი იმყო-ფგმიან დღემდე ყოვლად დაუშვებელია. დაუყონებლივ უნდა გამორკვე-ულ იქნას მათი უფლებრივი მდგომარეობა“ — ასე სწერს ავტორი, რომე-ლიც დასასრულ კიდევ ეხება იმ უდიდეს დაბრკოლებას, რომელიც ერობის მუშაობას სასტიკად აფერხებს. ეს არის „საბიუჯეტო უფლების უქონ-ლობა და საერთო ერობის აუცილებელი მდგომარეობის გამოურკვევ-ლობა“.

რა თქმა უნდა მეც დარწმუნებული ვარ ქუთაისის ერობის გამგე-ობის თავმჯდომარესთან ერთად, რომ დამტუქნებელი კრება მომავალში ამ დაბრკოლებებს მოსპობს.. მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა აღინიშ-ნოს დაუფარავად და გულახდილად, რომ ჩვენი ცხოვრების ამ უშრვავეს საკითხს ჯერავანი ყურადღებით არ ეპყრობოდენ და არც დღის ეპყრო-ბიან სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოები. ვერავინ უარყოფს იმას, რომ ერობა — ქალაქთათვის სესხის მიცემა ან ისეთი კანონების თუ დეკრეტე-ბის გამოცემა, რომელიც თვითმართველობის ცხოველ ინტერესებს ეხე-ბის გამოცემა, რომელიც თვითმართველობის ცხოველ ინტერესებს ეხე-

ბიან, ყურადღების მძქცევის მომასწავებელია. მაგრამ საერთოდ თვით-მართველობის, კერძოდ ერობის უფლებრივ მღვმარეობის ჩამოსაყალი-ბებლად, მისი პოლიტიკური, ფინანსიური, ეკონომიურ-სოციალური უფ-ლებების შესასწავლად და გამოსარკვევად თითქმის არაფერი გაკეთებულა, თუმცა შეიძლებოდა ამ მხრით ნაყოფიერი მუშაობის გაჩაღება, მიუხედა-ვად ათასწილი საშინაო თუ საგარეო შემაფერხებელი გარეშოებისა.

აშშობენ: ეს საკითხი იძღვნად საშუალებელი არ არის, ვინაიდან ერობის უფლებებს, მათ კომპეტენციას საზღვრავს დღეს ჩვენში მომქმედი რუსეთის საერთო კანონდებულება. ჩვენ გვაქვს „დროებითი დებულება ამიერ კავკასიის საერთო დაწესებულებათა შესახებ“, გამო-ცემული ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ. ამიტომ ჩვენი ერობა, ჩვენი თემი უფლებრივად ჰაერში გამოკიდებული სრულიადაც არ არის, რო-გორც ბევრს ჰგონია.

ეს წრთიანად შემცდარი და ამავე დროს საქმისათვის ფრიად მავნე-ბელი შეხედულებაა. უნდა გავიყოთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ეს დროებითი დებულება არსებითად და ფორმალურად სხვა სახელმწიფოს-თვის არის „შედგენილი; მისი საერთო სული და კონსტრუქცია არ შეე-ფერდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვითმართველობის მღვმარეობას; იგი დებულება საცხეა წინააღმდეგობით და შორს უვლის ჩვენი სახელმწიფო ცხოვრების კონკრეტულ შინაარსს; მას აზრად-აქვს სულ სხვა გვარი ტიპის საერთო ერთეულების საკითხის მოწესრი-გება და მათი ერთი ერთმანეთ შორის და მთავრობასთან დამოკიდებულე-ბა და მათი ერთი ერთმანეთ შორის და მთავრობასთან დამოკიდებულე-ბა ბა სულ სხვა გვარად აქვს გამოსახული, ვიზრე ჩვენ ვფიქრობთ და ვსაქმობთ. ამიტომ შეიძლება საქართველოს ერობის (სამაზრო და სათემოს) არსე-ბობის ლეგალურ საფუძველს წარმოადგენდეს ზემოხსენებული „დროებითი დებულება“, რამდენადაც. იგი პირდაპირ გაუქმდებული არ არის საქარ-თველოში მომქმედი კანონმდებლობის მიერ. მაგრამ შეიძლება ითქვას დაბეჯითებით, რომ მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მოაწესრი-გოს და ჩამოაყალიბოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭირო-ების მიხედვით ჩვენი ერობის უფლებრივი მღვმარეობა; მას არ შეუძ-ლია ჩვენი საერთო ცხოვრების უფლებრივი რეგულიატორობა იღვას თავს და წესიერ კალაპოტში ჩაყენოს საზოგადოებრივ ძალთა ზრდის ტანცითარება.

მართალია, ზოგიერთი ერობა, ზოგიერთი თემი ხშირად ებლაუკება დროებითი დებულების ამა თუ იმ მუხლს თავის უფლების გან-

სახორციელებლად და მოქმედების გასამართლებლად. ეს მოვლენა თავისთავად ბუნებრივი და გასაგებია. ერობა ცდილობს რამდენათაც შესაძლებელია დაეყრდნოს არსებულ კანონდებულებას, როგორიც უნდა იყოს იგი, ცდილობს გამონახოს უფლებრივი ოწინარი თავის ვინაობის და რაობის გამოსახენად, თავის მოღვაწეობის ნათელსაყოფელად. ვიმეორებ; ეს ბუნებრივი, გასაგები და აუცილებელია. მავრამ ყველა უნდა დაგვეტანებოს, რომ არსებული კანონის ასეთი გამოყენება, ტროებითი დებულებით ამ ვკარი სარგებლობა. მეტის მეტად ხელოვნურ პირობებში სწარმოებს, მრავალ უფლებრივ სიყალბეს და გაუგებრობას ჰქონის და რაც მთავარია, სრულიად ვერ აკმაყოფილებს გაერთიანებულ შშართველობის და თვითმართველობის. გარდუვალ მოთხოვნილებას.

ერობათა კავშირმა შედარებით ადრე მიაქცია ყურადღება როგორც ერობა-თემის უფლებრივ მდგომარეობის გამოუჩვევლობას, ისე არსებული დებულების შეუფერებლობას და შეიმუშავა თემის სინიმუშო კანონ-პროექტი ჯერ თავის გაფართოებულ წრეში. განსახილველად და შემდეგ მთავრობისა და დამფუძნებელ კრების თვალს წარსაღვენად. მაგრამ თვალნათლივ გამოიჩვა, რომ აემის კანონ-პროექტის ცალკე განხილვა შეუძლებელია, რომ საჭიროა ამასთან ერთად შემუშავებულ და განხილულ იქნეს სამაზრო ერობის კანონ-პროექტი ან უკედ და სწორად რომ ითქვას, უნდა შემუშავდეს და განხილულ იქნეს არა ცალცალკე პროექტი სხვა და სხვა საერობო ეროვნულებისა, არამედ ერთი სრული კანონ-პროექტი, ერთი მთლიანი საერობო დებულება, შემცველი და გამრკვეველი ერობის ორივე საფეხურის უფლებრივი მდგომარეობის. ერობათა კავშირის კომიტეტმა სწორედ ეს გარემოება იხელმ ღვანელა და საჩქაროდ შეუდგა ამ ერთი მთლიანი საერობო დებულების ღამზარებას. საჭიროა ეს რაც შეიძლება მაღვ მოხდეს, რომ ბოლო მოეღლოს. იმ უფლებრივ ბაბილონის გოდოლს, რომელიც ცოტად თუ ბევრად ყველა ჩვენი ერობის და თემის თანამედროვე მდგომარეობას ახასიათებს.

ნ. საჭარელო.

ქუთაისის სამაზრო ერობა.

(ქუთ. ერობის 1920 წლ. შემოსავალ-გასაცლის აღრიცხვის გამო).

ჩვენი ერობები განსაკუთრებულ პარობებში წარმოიშვენ. ამ დროს საქართველოს დამოუკიდებლობა ახალი გამოცხადებული იყო და მაშა-სადამე მისი სახელმწიფოებრივი სხეული ყოველ მხრივ ჩამოყალიბების პროცესში იყო ამავე დროს ირგვლივ ანართის შეგი ბურუსები იღვა, რომელიც ახლად ფეხადგმულ რესპუბლიკას დედამიწიდან აღვას-უქადდენ. პირველი მდგომარეობა მოითხოვდა ჯერ სახელმწიფოებრივათ შტკიცე ჩამოყალიბებას, ძლიერ სახელმწიფოებრივ აპარატის შექმნას, რაც შეიძლება დაჩქარებით, უკვე არსებულ წყობილების ფორმებში და მერე სხვა და სხვა რეფორმების მოხდენას. და შეორე კი მოითხოვდა ხალხის დაახლოებას მმართველ წრეებთან, ოფიც ხალხის მონაწილეობას მართვა-გამგეობის საქმეში, ხალხის ჩაბმას მოქმედების ფერხულში და მთავრობასა და ხალხს შორის შტკიცე შემაერთებელ ჯაჭვის გაბმას. ასეთ პირობებში მთავრობა იძულებული იყო ცხოვრების მიერ წარმო-შობილ მოთხოვნილებებისთვის ჯეროვანი ყურადღება მიექცია, ეს ორივე საჭირ-ბოროტო საკითხი პარალელურათ დაეყენებია და გადა-ეჭრა, და სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ასე ნაჩქარევათ იქმნა შემოღე-ბული ჩვენში ერობები.

საქართველოში ერობები ერთსა და იმავე დროს რომ ასრულებენ თავის პირდაპირ მოვალეობას როგორც მაგალითად: სწავლა-განათლების საქმე, ჯანმრთელობა, სასოფლო მეურნეობა, ვეტერინარია და სხვა ასეთი წმინდა კულტურულ და ეკონომიკურ საქმიანობას, ისინი ამითაც არ კმაყოფილდებიან, ცხოვრების შექმნილმა პირობებმა მათ უფრო შორს გადაადგმევინა ნაბიჯები: ერობები შეიკრენ თვით წმინდა სახელ-მწიფოებრივ საქმეებში, როგორც მაგალითად: აღმინისრაციის აპარა-

ტის მოწყობა, და გამგებლობა, საწევდოო საქმეების მოწყისრეგება და სხვა.

ამ რიგათ ერობა ჩვენში ერთსა და იმავე დროს ფაქტიურათ არის, როგორც წმინდა ხალხოსნური დაწესებულება ისე სახელმწიფო ებრივი თრგანოპ; საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრების მიმღიხარეობა ისტორიაში მათ პრაქტიკაში ასეთი როლი მიაკუთნა.

როგორი იყო და არის ამ ფაქტი ერთბათა ის უფლებრივი რეგო-
მარება, რომელიც მათ საშუალების მისცემს მუშაობა ჩააყენან ნორ-
მალურ კალაპოტში? ეს საკითხი ერობებისთვის დღესაც გამოურკვევა-
ლია. მართლა ფაქტიურად ისინი დღეს ყველაფერს აკეთებენ, რასც
წავწევიან ყველაფერზე თავის დაღს ასჭამენ, მაგრამ მათი თურიდიული
უფლებები ამ საქმეებზე ჯერაც არ არის გამორკვეული, ჯირაც არ
იციან ესა თუ ის საჭმე, რომელიც მათ უკისარიათ, თუ დაუკისრებიათ,
შედიან თუ არა მათს კომპენტენციაში და თუ შედიან როგორის ფორ-
მით, მათ არა აქვთ ე. წ. საერთო ტებულება განხილულ-და-ტკაცებუ-
ლი რესპუბლიკის უმაღლეს სამმართველო როგორის დამფუძნებელი
კრების მიერ (ან პარლამენტის მიერ). ამავე დროს მათ არა აქვთ სა-
ბიუჯეტო უფლებებიც, რომელიც მათ საშუალებას მისცემს ფინანსი-
ური მდგომარეობა დააყენონ. შესაფერს დონეზე. ერობები ჩვენში
დღემდე სხვა და სხვა შემთხვევითი შემოსავლებით არსებობენ.

უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ერთი გარემოებაც: მართალია ქართველი ხალხი დიდი ხანია იბრძვის საერთო მმართველობის შემო-
ლებისათვის საქართველოში, მაგრამ ზოუროკრატიულმა რესეტმა შას
იგი არ აღირსა. ჩვენთვის ერობა საერთოთ ახალი ტილია. ხალხს მასზე
პცირედი წარმოდგენაც არ ქონდა, ინტელიგენციას, დღევანდელ ხელ-
მძღვანელს ერობებისას, იგი მხოლოთ თეორიულათ თუ პქონდა ასე თუ
ისე შესწავლილი. და ერობას პრაქტიკულათ ცხოვრების გატარებაზე კი
მანაც არაფერი იცოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში იყვნენ
ისეთებიც, რომელთაც ეგ საკითხი პრაქტიკულათ და თეორიულათაც
შესწავლილი ქონდათ, მაგრამ ასეთები თითზე ჩამოსათვალი არან და
შაშადამე ყველა ერობებს ხელმძღვანელებათ ვერ გასწვდებიან.

ასეთ პირობებში წარმოიშვა და მოქმედობენ ჩვენში ერობები.

თუ კი ამ თვალთ საზრისით მივაღოთ საკითხთან და ასე განვიხი-
ლავთ ქუთაისის სამაზრო ერობის მოღვაწეობას და მის შემოსავალ-გა-
სავლის აღნუსხვას, რომელიც ქუთაისის სამაზრო განგეობაში ოფიცია-

ლურათ გამოაქვეყნა, ჩვენ წინ გადაიშლება ისეთი სურათი, რომელიც გვეტყვის და მჭერ-მეტყველურად დაგვიმტკიცებს, რომ რაც მან გაკეთა ამ ორი წლის განმავლობაში მეტის გაკეთება ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო.

რა გაუკეთებია ამ ხნის განმავლობაში ქუთაისის სამაზრო ერობას?

სწავლა-განათლების საჭეში მას შემდეგი ზომები მიულია: გაუხსნია 37 პირველ დაწყიმითი შეკოლა და ბევრ შეკოლებთან პარალელური განყოფილება მოუწყვია, აგრეთვე გაუხსნია 10 უმაღლეს პირველ დაწყიმითი სასწავლებელი და ამასთან წინათ თუ მაზრაში 320 მასწავლებელი იყო ეს რიცხვი დღეს 524 ასულა. სწავლა-განათლების საქმეზე წელს იხარჯება: 29.470.168 მან.

ჯანმრთელობის მხრივ ერობას შემდეგი გაუკეთებია: გაუხსნია ერთი ახალი საავათმყოფო და მაზრაში ამ უამათ ოთხი საავათმყოფო პერიონია, დაუკარსებია აგრეთვე 15 საექიმო პუნქტი, საექიმო დახმარება უფასოა და ლარიბები კი წამალსაც უფასოთ ღებულობენ. ერობამდი როგორც ვიცით სოფლათ ხორ ექიმების ჭავანებაც არ იყო და მთელი ჯანმრთელობის საქმე სოფლის ვარჩიელებსა და შემთხვევით გაფერშლებულ პირებს ქონდათ ხელში ჩაგდებული. ხსენებულ საქმეზე წელს იხარჯება: 12.426.472 მან. და 92 კაპ. აღნიშნული თანხა იხარჯება პირწმინდათ ერობის სალაროდან, და არავისგან. არავითაო სუბსიდიას არ ღებულობს.

ერობას მოწყვია სასოფლო ვეტერინარია: მას აქვს ამ უამაღსავეტერინარო რაონი და აქედან ოთხში მოწყობილია საქონლის საავათმყოფოები. ხალხი ამ საქმეს როგორც სხახს ნდობით უყურებს და ამის შედეგია ის, რომ თითო ამბულატორიაში ერთი მეორეზე 8-9 თვის განმ ვლობაში 3000 სულამდი საქონელი მიუყვანიათ მოსარჩევათ. ამ საქმეზე იხარჯება 977.080 მან.

ქუთაისის ერობას ეკონომიკურ აღორძინებელსათვისაც უზრუნია: მაზრა დაუყვია აგრონომიულ პუნქტებათ, ხელმძღვანელებათ ყოლია მოწვეული ორი აგრონომი და ექვსი აგრონომიული ტეხნიკი. მოუწყვია სამეცნიერო იარაღების გამქირავებელი პუნქტები. აგრონომიულ პუნქტებზე სწავლული მეურნეები სამეცნიერო საკითხებზე მართავენ სხვათა შორის საუბრებს და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ხალხს. ერობა მცხოვრებლებს აწვდიდა სხვა და სხვა სათესლეს. ერთი სიტყვით ამ საქმეზე იხარჯება 2.796.890 მან.

კარგათ არის აგრეთვე მოწყობილი აღმინისტრაციის საქმე. დახელოვნებული აღმინისტრაციის მეოხეობით მაზრაში სრული სიწყნარეა როგორც ანარქიის ისე სხვა გხრითაც. საკრთო სურათი ხარჯებისა ასეთია:

სახელმოდება ხარჯებისა	1919 წელი		1920 წელი	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1. მონაწილეობა მთავრობის ხარჯებში	—	—	545.108	—
2. ერობის შენახვის ხარჯები	1.083.757	20	4.832.860	65
3. საპყრობილეთა შენახვა	17.377	60	14.592	04
4. გზების საშენებელო და შესანახი ხარჯები	516.160	—	5.093.198	—
5. სახალხო განათლება	5.857.065	80	29.470.168	—
6. ქველ-მოქმედება	16.000	—	333.168	—
7. საჭურნალო განყოფილ	2.950.358	42	12.426.472	92
8. საკეტერინარო განყოფ	388.500	—	977.080	—
9. ეკონომიკური აღორძინება	680.200	—	2.796.890	—
10. ვალების ნამთავნის გადახდა	—	—	248.191	67
11. სხვა და სხვა ხარჯები	391.947	50	4.394.249	31
12. საჯუმლო თანხა	—	—	87.056	72
13. სათაღარიგო თანხა	—	—	87.056	72
14. სახალხო მილიცია	2.193.995	—	10.727.801	—
15. აგრარული რეფორმის განყოფილება	—	—	3.636.160	—
ს უ ლ	14.035.361	52	75.670.623	71

საერთო შემოსავალი ასეთია:

სახელწოდება შემოსავალის	1919 წელი		1920 წელი	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1. ნაშთები და საერობო ქონება	63.625	68	477.741	13
2. შემოსავალი ერობის უძრავი ქონებიდან . . .	—	—	—	—
3. სხვა და სხვა გადასახადები	2.906.595	—	760.000	—
4. დახმარება თემებს და ხარჯების ანაზღაურება . . .	7.100.571	44	31.743.922	07
5. სხვა და სხვა შემოსავალი	723.000	—	31.225.329	51
6. გადასახადი უძრავ ქონებიდან	2.956.569	40	10.497.562	—
7. გადასახადი ვაჭრობა-მრეწველობის უფლებებზე :	285.000	—	966.069	—
8. შემოსავ. გაყიდულ. საფონ. მიწებზე	—	—	—	—
ს უ ლ . . .	14.035.361	52	75.670.623	71

ქუთაისის სამაზრო ერობას მთავრობიდან მიუღია შემდეგი კრედიტები:

სახელწოდება კრედიტის	1919 წელი		1920 წელი	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1. მილიციის შესანახი . . .	1.656.476	16	6.049.235	—
2. სწავლა-განათლების . . .	2.835.820	28	17.400.946	39
3. აგრარული რეფორმის . . .	—	—	1.398.224	—
4. მიგდებულ. ბავშვა აღზრ.	—	—	44.138	68
ს უ ლ . . .	4.492.296	44	24.892.544	7

რა თქმა უნდა ეს კრედიტები საერთო ხარჯებს ერობისას ვერ დაფარავდენ. ერობა იძულებული იყო სხვა საშუალებებისთვის მიემართა. ასეთი საშუალება იყო მთავრობის დახმარება როგორც სუბსიდიის აგრეთვე სესხის სახით და აგრეთვე გამგეობის მიერ შექმნილი შემოსავალი საკუთარის ძალ-ლონით. მთავრობისგან ერთდროულ დახმარების და სესხის სახით მას მიუღია დახმარება.

სახელწოდება დახმარების	1919 წელი		1920 წელი	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1. საორგანიზაციო დახმარება	40.000	—	—	—
2. სანიტარული გადასახადი	2.106.595	—	—	—
3. სესხი	298.000	—	1.865.162	50
	2.444.595	—	1.865.162	50

ქუთაისის სამაზრო ერობას როგორც ჩვენ მიერ მოყვანილ ცხრილიდან სჩანს დაუხარჯავს საერთო ხარჯების დასაფარვად სხვა და სხვა კრედიტები მთავრობისა, სესხი და სხვა და სხვა დახმარებანი იქიდანვე: 1919 წ. 6.936.891 მანეთი და 44 კაპ. და 1920 წელს კი 26.757.706 მან. და 50 კაპ. ამ რიგათ ერობას თავის საკუთარი წყაროებით შექმნლი შემოსავალი ჰქონია და დაუხარჯავს. 1919 წელს: 7.098.470 მან. და 80 კაპ. მიმდინარე, 1920 წელს კი აპირებს ასეთივე შემოსავლის წყაროებიდან მიღლოს და დახარჯოს: 48.912.917 მან. და 14 კაპ.

ასეთია მოკლედ ქუთაისის სამაზრო ერობის მოღვაწეობა და ასეთ ფინანსურ მდგრამარეობაშია იგი.

რა თქმა უნდა ქუთაისის სამაზრო ერობას აქვს ნაკლი, რომელიც მის მუშაობას ძლიერ უშლის ხელს და მის პრესტიუსაც სცემს, მაგრამ ეგ ნაკლი თვითონ ერობის მეთაურებზე არის დამოკიდებული და ამიტომ მისი გამოსწორებაც არ არის ძნელი. ჩვენ სხვათა შორის ორს მათგანს გაუსვამთ ხაზს. პირველი ის არის, რომ ერობაში კველა დარგის საქმეთა წარმოება ვერ არის შესაფერს დონეზე დაყენებული და ხშირათ არა მცოდნე პირები აწარმოებენ მას, რაც საქმის სათანადო კალაპოტში ჩაყენებას და მუშაობის ნორმალურ პირობებში წარმოებას

აფერხებს. მეორეც ერობას სურს ყველაფერი ერთბაშათ გააკეთოს, ამიტომ ყველაფერს ხელს კიდევს, რის გამოც საქმეებს ვერ უძღვება და ხშირათ განიცდის მარცხს. ამის ნიმუშათ უნდა ჩაითვალოს ხონის რკინის გზა და სხვ. არის რა თქვა უნდა სხვა ნაკლულოვანებანიც, მაგრამ ამის შესახებ სხვა უფრო მოხერხებულ დროს მოვილაპარაკებთ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მთავრობამ თავის მხრივ ყოველავე ზომები უნდა მიიღოს, რათა დაჩქარებით იქნას გამორკვეული კანონ-მდებლობის სახით ერობათა უფლებებივი მდგომარეობა, რომ ამით მათ საშუალება მიეცეს გაიგონ რის გაკეთების უფლება აქვთ და რა ფარგლებში. დღეს ისინი გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან და ეს კი ჭმის გაუგებრობას, რისი შედეგიც არის, უმთავრესათ ის, რომ ერობების საქმიანობა ფერხდება და შესაფერს სახეს ვერ ღებულობს.

გრ. გერსამია.

ამქრები ძველ საქართველოში.

დასავლეთ ევროპაში ამქრების წარმოშობას წინ უძღვის ნატურალურ წარმოების დარღვევა. საფრანგეთში ამქარს, როგორც ცალკე კორპორაციას პირველად მეჰერთიეტე საუკუნის ნახევარში, ვხვდებით (მესანთლეთი ამქარი პარიზში). ცოტა უფრო გვიან ჩნდებიან ისინი გერმანიაში. მეთევზეთა ამქარი ვორმაში 1106 წელს დაარსდა. მეჩექმებისა ვიურბურგში — 1128 წელს. ქსოვილების მოხელეთა კიოლნში — 1149 წ. მეთორმეტე საუკუნის დამლევიდან ამქრების რიცხვი სწრაულად იზრდება და მაღლ მთელ ევროპის დისა ცენტრებს პუარავს. ხელოსანი-მოქალაქე სურაფათ იმარჯვებს ყმა-ხელოსანზე. მისი შრომა ხარისხითაც მაღლა სდგას. ყმის შრომაზე და ნაყოფიერებითაც ფრე-XIV საუკუნეში ბრძოლა თავისუფალსა და ნაძალადევი შრომის შორის უკვე დასრულებულია. სენიორალური შინა მრეწველობა — ყველგან განა უგურებულია, თვით სე-

ნიორი უკვე ქალაქში უკვეთავს მისთვის საჭირო საგნებს და ოლარ აკეთებინებს მათ თავის ყმებს.

ცენი, ანუ ამქარი თავისუფალ ხელოსანთა კორპორაციაა. თავისთავათ იგულისხმება, რომ კორპორაციის წევრები ყველა ერთი ხელობისანი არიან. კორპორაციის არსებობა გამოწვეულია ინტერესთა ერთგვარობის გარდა პოლიტიკური მდგომარეობის დაუდევრობითაც. ხელოსანი თავისთავათ ყოველგვარი თვითნებობის ობიექტი იყო სანამ ის თავის მაგარებთან არ იყო შეკავშირებული. მას მუშტარიც სხაგრავდა, ვაჭარიც, თავადიც, შინაურიც და გარეულიც. ხშირათ ის პატრონს იჩევდა თავადთაგან. ასეთი მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ. მაგრამ ეს არ იხსნიდა მას არც ექსპლოატაციისაგან და არც თვითნებობისაგან. სულ სხვა გვარი შეიქმნა მისი მდგომარეობა როდესაც ის კორპორაციის — ამქრის წევრი განდა, ამქარი ამა თუ ყოველ დღიურ თვითნებობისაგან იხსნიდა, პოლიტიკურ როლსაც კი ანიჭებულ მას. ამქრების რაზმებს არა ჟრონელ გადურებინათ დედა ქალაქი მტრის თავდასხმისაგან. მათ დიდი სამსახური გაუწევიათ ფეხმოუმაგრებელ ცენტრალური ძალისათვის.

ამქარი ავტონომიური ორგანიზაციაა, მისი ნების გამომხატველი წევრთა სახერთო კრებაა, რომელიც ზოგგან კვირაში ერთხელ მოიწვევდა, ზოგგან კი წელიწადში ორჯერ-სამჯერ. რამდენათ თავისუფალია ამქარი როგორც კორპორაცია-იმდენათ შეზღუდულია მისი წევრი ცალკე. უფლებებთან ერთათ ეს კორპორაცია მოვალეობებსაც აკისრებს თავის წევრებს. ყოველი მისი მოქმედება რეგლამენტითაა განსაზღვრული, რომელიც სიკვდილის კარამდი სდევს მას. ოსტატს არა აქვს ხშირათ უფლება ცალკე იყიდოს მისთვის საჭირო მასალა. ამქარი საერთოთ ყიდულობს. მას ყველასთვის და შემდეგ ანაწილებს; ოსტატმა უნდა იხმაროს ამქრის საგან განსაზღვრული რაოდენობა მასალისა და ისიც განსაზღვრული ხარისხისა. ოსტატი ვალდებულია პირნათლათ შეასრულოს მუშტრის დანაკვეთი. მას არ შეუძლია ახალ საჭიროს ძველი მასალა ახმაროს. მას უფლება არა აქვს ხელობაში შეკილოს სხვას, თუნდაც ის ხელობანი ძალიანაც გვანდნენ ერთმანერთს. ესაა იურიდიული მხარე ამქრისა, მაგრამ ამქარს აქვს აგრეთვე ეთიკური მხარეც, ის მარტო პროფესიონალური კავშირი კი არა — ერთგვარი სულიერი. ამხანაგობაცაა, რომელიც მისდევს და ანხორციელებს განსაკუთრებულ ზნე-ჩვეულებებს. ამაზე თვით ამქრის გერმანული სახელიც მიგვითითებს „Zunft“. ამგვარ

ამხანაგურის სულის განსამტკიცებლათ ამქრის წევრები ხშირათ იკრიბებიან ერთათ დროს გასატარებლათ.

ამქარს როგორც კორპორაციას თავის აღმასრულებელი ორგანოებიცა ჰყავს, მას სათავეში ჩვეულებრივ ერთი პირი უდგას Zunftmeister, და სხვა. ამქრის მოხელენი ყოველთვის არჩეულ პირებს წარმოადგენენ. ესენი სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა სახელებს ატარებენ და სხვა და სხვა ფუნქციებს ასრულებენ: იწვევენ და ხელმძღვანელობენ კრებებს, ინახავენ ამქრის ქონებას, იცავენ და ხელმძღვანელობენ ამქრის ხაზინას, თვალყურს ადგვნებენ ოსტატებს, გამოცდიან ქარვლებს და სხვა.

ამქარში მხოლოთ ოსტატები შედიან. უფლებებით ამქრის ყველა წევრები თანასწორნი არიან. ოსტატს აქვს საკუთარი სახელოსნო, ჰყავს ქარგლები და შეგირდები. უკანასკნელთა რიცხვი თავდაპირველათ არ იყო განსაზღვრული, შემდეგ კი ესეც რეგლამენტის ობიექტი ვახდა. შეგირდს და ოსტატს შუა არსებული დამოკიდებულებაც მკაცრათ იყო რეგლამენტით განსაზღვრული. ორივე მხარე ხელშეკრულებასა სდებდა ურთიერთის წინაშე. შეგირდი აღუთქვამდა ოსტატს, რომ ის არ მიატოვებდა მას დადებულ დრომდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჯარიმას იხდიდა. ოსტატი ჩვეულებრივ პირობასა სდებდა, რომ ის კეთილსინდისიერათ შეასწავლი. და მას ხელობას და მისცემდა საზრდოს.

შეგირდობის ხანა სხვა და სხვა ნაირი იყო. პროფესიის მიხედვით ზოგან ის ერთ წელს არ აღემატებოდა, ზოგან კი ათს წელს უდრიდა; შემრევები, როდესაც ამქარი ოსტატთა კასტიურ ორგანიზაციათ გადაიქცა ამქარი განგებ აგრძელებდა. შეგირდობის ხანას, რომ რაც შეიძლება გაეძნელებია ახა უ წევრებისათვის ამქარში შესვლა.

მიუტედავათ იმისა, რომ დამკიდებულება შეგირდისა და ოსტატს შუა რეგლამენტითაც განსაზღვრული იყო და ხელშეკრულებითაც განმტკიცებული, შეგირდის მდგრმარეობა ჩვეულებრივ აუტანელი იყო. მას უღმერთოთ და ხანგრძლივათ ამუშავებდენ, ცუდათ აჭმევდენ და ამასთანავე უდიერათ ექცეოდენ.

დადებული ვადის გათავების შემდეგ შეგირდი ქარგლად ხდებოდა. ქარგლის მდგრმარეობა არ იყო ისე სავალალო, როგორც შეგირდისა, მაგრამ არც ის იყო სანატჩელი. სანამ ქარგალი თვით გახდებოდა ოსტატი, წისიც იძულებული იყო სხვა ოსტატთან ემუშავნა. ხელშეკრულება მასა და ოსტატს შორის არ იყო ხანგრძლივი. ჩვეულებრივ იყი ერთს

წელს არ აღემატებოდა. ხელფასს ამქარი აწესებდა. რაკი უკანასკნელი მარტო ისტატებისაგან შესდგებოდა ქარგლები მუდამ დაზარალებულნი იყვნენ. რასაკვირველია, დაზარალებულნი იყვნენ ქარგლები აგრეთვე მითაც, რომ ხელფასი ცალკე კი არ სწყდებოდა ყოველ შემთხვევისათვის, არამედ საერთოთ, ხშირათ რამდენიმე წლისათვის წინდაწინ. სამუშაო დღეთ ნატურალური დღე ითვლებოდა-მზის ამოსელიდან მზის ჩასვლა-მდე ესე იგი ხან და ხან 16 საათი. ხშირათ ამასაც არ აკმარებდენ და ლაპეც ამუშავებდენ ქარგალს.

ცველა ამ უბედურებას ამქარი მით უნაზღაურებდა ქარგალს, რომ ის ნებას არ აძლევდა მოსულებს კონკურენცია გაეწიათ ადგილობრივი ქარგლებისათვის. ზოგგან ამქარი იმასაც ავალებდა ისტატის, არ გაედი-დებია შეგირდთა რიცხვი, ან კიდევ არ ემუშავებია ოჯახის წევრები, რომ ქარგლები უადგილოთ არ დარჩენალიყვნენ.

სანამ ქარგლობიდან ისტატათ გადასვლა განსაკუთრებულ სიძნე-ლეს არ წარმოადგენდა ქარგალი მომავლის მოლოდინში ხმა ამოულებ-ლივ იტანდა ასეთ მდგომარეობას. მაგრამ დროთა განმავლობაში ამქარი, როგორცა იჭირებოთ კასტიურ ორგანიზაციათ იქცა; რომელიც ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა კარი ჩაკეტა ახალი წევრებისათვის.

ამ ღონისძიებათაგან ზოგნი შეგირდებს შეეხებოდენ, ზოგნი პირდა-პირ ქარგლებს, კუსტიური მოსაზრებით გრძელდება უსაზოროთ შეგირ-დობის ხანა. იმდენათ დიდდება აზალი ისტატის გან შესატანი ფულის თანხა; რომ ქარგალი ხშირათ ვერ სძლებს მის გადახდას. გარდა ამისა ის საოსტატო გამოცდა, რომელსაც წინათ ფორმალური ხასიათი ჰქონდა მხოლოთ, პირდაპირ საბედისწერო ცდის ელფერს იღებს. გამოცდაზე ქარგალს უნდა წარმოედგინა „შედევრი“ — (სანიმუშო ნახელოვნარი). საამისოთ ამქარი რაც შეიძლება საძნელო და ძვირათ ღირებულ საქმეს ნიშნავდა. თუ ქარგალი გამოცდას დაიჭირდა მისი „შედევრის“ ფასი ამ-ქრის ხაზინას, ემატებოდა, თუ არა და მას სპობდენ. ამ უბედურობის შემდეგ გას უშეველებელი თანხა უნდა გადაეხადა კიდევ ამქრის სასარგე-ბლოთ. ვინც ბედნიერათ გადურჩებოდა ცველა ამას, მისთვის საჭირო იყო ახალი თანხის ძიება სახელოსნოს გასახსნელიათ და მასალის საყიდ-ლათ. ქარგალი პირველ ხანებში ვერ სძლებდა ამას და იძულებული იყო მიუხედავათ ახალი მოწმობისა ხშირათ ისევ ძველი ისტატისათვის შეე-ფარებინა თავი.

ამავე დროს ამქარი ყოველის გზით უაღვილებდა საქმეს ოსტატების შვილებსა და სიძეებს ოსტატობის მიღებაში.

შიგნით სახელოსნოშიაც თანდათან მოისპო ძველი პატრიარქალური დამოკიდებულება ოსტატისა და ქარგლებს შორის. ოსტატი აღარ ზის და აღარ მუშაობს ქარგლებთან ერთად რაც დრო გადის ის უფრო მრეწველს ემგვანება, რომელიც მხოლოთ ზეთმეტს ღირებულებას აგროვებს. ოსტატი სწავლობს აგრეთვე ახალ ფანდებს საექსპლოატაციოთ. ნაჭრობით მუშაობა, საქონლათ გასტუმრება ქირისა და სხვა. ყველა ეს პირობები უმზადებენ ნიადაგს იმ დიად მოძრაობას, რომლის ელფერი მთელს დღევანდელისტორიას ადევს. სახელდობრ პროლეტარულ მოძრაობას, ქარგლები კრავენ კავშირს და იწყებენ ბრძოლას ამქრების წინააღმდეგ იმდებარებით, რომელნიც დღესაც ხმარება შიშაქეს პროლეტარიატს.

ესეთი იყო ერთის სიტყვით ამქრების ვითარება დასავლეთში. ჩვენში ამქრებს თუმცა სულ სხვა წარსული ჰქონდათ, მაგრავ რამდენალაც ამას ისტორიული ლოლიკა მოითხოვდა ესენი სავსებით. წააგავდენ შინაური ვითარებით დასავლეთის „ცეხებს“.

დასავლეთში, როგორც დავინახეთ ამქრები ნატურალური წარმოების ნანგრევებზე აღმოცენდნენ. მათი წარმოშობის ხანა მეთერთმეტე საუკუნით იწყება. ამასვე ვერ ვიტყვით აღმოსავლეთის ამქრებზე. მათი ისტორია ისევე ძველია, როგორც თვით აღმოსავლეთი. უკვე ქრისტეს დაბადებამდე ათასი წლების წინ ვხვდებით აქ (ეგვიპტეში) ამქრებს; ამქრები არსებობდნენ აგრეთვე ძველ სპარსეთშიაც, თვით სიტყვა ამქარიც სპარსულია. განსაკუთრებით ჩამოყალიბებული ფორმები ამქრებმა არა-პეტში და სამუსლიმანო სამთავროებში მიიღეს. ხალიფატის დროს ყოველ პროფესიას, რომელთა რიცხვი სხვათა შორის მეტათ დიდი იყო საკუთარი ორგანიზაცია ჰქონდა. ამბობენ ბალდადში თვით ქურდებსაც კი საკუთარი კავშირი ჰქონდათ. ორგანიზაციის სათავეში გამგეობა იღვა, რომელიც პასუხის მგებელი იყო როგორც მთავრობის ისე ხალხის წინაშე ორგანიზაციის წევრების მაგივრ. ზოგიერთი პროფესიის აღმნიშვნელი, არაბული სახელი დღემდისაც შერჩენია ქართულს ენას. ასეთნი არიან: „დაბალი“, „დალალი“, ბაყალი“ და სხვ.

ისლამური სახელმწიფოებისავით ჩვეულებრივ უკიდურეს დაქუც-მაცებას ცალკე პროფესიებათ ჩვენშიაც ჰქონდა აღვილი.

სხვა ამქარს ეკუთვნოდენ რკინეულით მოვაჭრენი, სხვას ბაყლები და კიდევ სხვას მეწვრილმანები.

აქაც როგორც დასავლეთში ამქარში მხოლოთ ოსტატები შედიონ-
ლნენ, როგორც სწორ-უფლებიანი წევრები. სათავეში ამქარს უს-
ტაბაში ეღვა. მას ორი მოხელე ჰყავდა მიჩნილი, რომელთაც აკსაკა-
ლებს უწოდებდნენ. ესენი უსტაბაშის თანა შემწევების როლს ასრულებდნენ.
როგორც უსტაბაში ისე აკსაკალები არჩეული პირები ჩყვნენ.

დასავლეთში ასე თუ ის წარმოების დარგი ნმა თუ იმ ამქრის მო-
ნობილიას შეადგენდა. ასევე იყო ჩვენშიაც. არავის არ ჰქონდა უფლე-
ბა ამქრის დაუკითხავათ გაეხსნა სახელოსნო. თუ ასეთი შემთხვევა მაინც
მოხ უებოდა ამქარს უფლება ჰქონდა იარაღი წარერთმია დამნაშავესათვის.

რაც ჩვენ ზემოთ შეგირდებისა და ქარგლების მდგომარეობის შესა-
ხება ვთქვით დასავლეთში. სავსებით შეეხება საქართველოსაც, აქ უარე-
სი თუ იყო ქარგლებისა და განსაკუთრებით შეგირდების მდგომარეობა თო-
რემ უკეთესი არა. არც აქაური ამქრები იყვნენ კასტიურ სულს მოკლებუ-
ლნი. ხანგრძლივ შეგირდობის ხანას აქაც ხშირად კიდევ უფრო ანგრძლივი
ქარგლობის ხანა მოსდევდა. ბოლოს, როდესაც ქარგალს ელირსებოდა
შესაფერი მოწმობის მიღება ოსტატისაგან, ის წარუდგენდა მას მაქარს.
ამასთანავე მას ერთი თუმანი ამქრის სასარგებლოთ უნდა გადაეხადა და
ოსტატებისათვის საჭილიც გაემართა. ამის შემდეგ მისი სახელი შეიტანე-
ბოდა ოსტატთა სიაში. საგანგებოთ მოწვევული მღვდელი ლოცვა-კურ-
თხევას აფრქვევდა დაჩოქილი კანდიდატის თავზე. ადგომისას ოსტატი
ერთს სილას კიდევ გააკრავდა კანდიდატს. შემდეგ ის ჩამოუვლიდა ყვე-
ლა ოსტატებს და ჩამოართმევდა ხელს. აშ კი ის სრულუფლებიანი
წევრი იყო ამქრისა. შეგირდი ქარგლათ გახდობისას სამ მანეთს იხდიდა
ამქრის სასარგებლოთ.

დასავლეთში ამქარს განსაკუთრებული თავშესაფარი ადგილი ჰქო-
ნდა გერმანული სახელი ამქრისა „ცეხე“ სწორეთ იმ ოთახის სახელია,
სადაც ამქარი საქეიფოთ იქრითებოდა. ჩვენში არ იყო ასე. აქ ამქარი
ზან მინდორში იქრიბებოდა, ხან მოეჭანზე, ხან ეკლესიის ეზოში და ხან
უსტაბაშთან. ამას ღვთის წინაშე ისიც უწყობდა ხელს, რომ ჩვენში ზა-
ფხული გაცილებით დიდს ხანს გრძელდება ვიდრე დასავლეთში. უსტა-
ბაში და აკსაკალები ჩვენში, ისევე როგორც დასავლეთში „ცუნფტ მაი-
სტერი“ და შესაფერი მოხელენი, ამქრის სამსჯავროს ანუ „დადი სტანს“
წარმოადგენდნენ. მსჯავრ-დება ამქრის თანდასწრებით უნდა მომხდარიყო,
შეგრამ რაკი მოელი ამქრის. თავ-შეურა ყოველთვის შეუძლებელი იყო,

გადაჭრილი იყო მინიმალური რიცხვი დამსწრე ლსტატთა—ექვსი კაცი.

სამსჯავრო დღეთ ჩვენში ისევე, როგორც გერმანიაში ორშაბათი ითვლებოდა (der blaue montag).

თუ დაღისტანის გადაწყვეტილება მოსაწონარი იქნებოდა ამქრისათვის მას შეეძლო გაეცემებია იგი, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო მთელს კრებულს ერთხმათ მოეთხოვა გადაწყვეტილების შეცვლა.

ამქრის სამსჯავრო სწყვეტდა დავას ლსტატებს შორის: ქარგლებსა და ლსტატებს შორის; მუშტრებსა და ლსტატებს შორის, თავის თავათ ცხადია დავა პროფესიას უა მის საქმიანობას უნდა შეეხებოდეს. კრიმინალური ხასიათის საჭირებს დაღისტანი არ არჩევდა.

საჩივრის შეტანა უსტაბაშთან ყოველდღე შეიძლებოდა. თუ საქმე სასწრაფო და მნიშვნელოვანი იყო, უსტაბაში იმ დღესვე მოიწვევდა ამქრს. საამისოთ მას განსაკუთრებული მოხელე ჰყავდა მიჩნილი „იგოლიშაში“, რომელიც ყოველთვე იცვლებოდა.

ასეთ შემტხვევაში გამტყუნებული მხარე მისჯილი ჯარიმის გარდა ზარჯაც უხდიდა ლსტატებს, გამცირობის ასანაზღაურებლათ. უბრალო განაშაულისათვის უსტაბაში ერთი ორს მიაყოლებდა ხოლმე დამნაშავეს და მით გაათავებდა საქმეს. მქინე დანაშაულისათვის სამსჯავროს შეეძლო რამდენიმე თუმნით დაეჯარიმებია დამნაშავე. რაკი ზარალსაც უკანასკნელი ზღავდა გადასახადი სამძიმო ხდებოდა დამნაშავისათვის.

მას შეეძლო ამიტომ შეუძლებელობა აღერა უსტაბაშის წინაშე გადასახადის შემცირების შესახებ. თუ ის ამას არ მოისურვებდა სხვა ლსტატებს შეეძლო მოეთხოვათ ეს. მაშინ მას უსათუოთ უნდა დაეკლო რამ ჯარიმისათვის, მაგრამ შხოლოთ იმდენი, რამდენსაც ის მოისურვებდა. ჯარიმებიდან შემდგარი ფული ამქრის კასაში გროვდებოდა. და ლარიბ ან ავადმყოფ ამხანაგებს ხმარდებოდა.

მეფე გიორგის დროს კანონიც ავალებდა ამქარს დაღარიბებული ამხანაგების დახმარებას. უსტაბაშები საამისოთ განსაკუთრებულ გადასახადს ადებდენ ამქრის წევრებს. სახელმწიფო გადასახადთაგან ხელოსნები იხდიდენ სულზე გადასახადს, აგრეთვე გადასახადს, რომელიც შემდეგი დროის საფოსტო გადასახადს უდრის.

როდესაც რომელიმე ლსტატი მოკვდებოდა ამქრის ყველა ლსტატები ვალდებული იყვნენ პატივი ეცათ განსვენებულისათვის. კუბოს ხელით წაღება განსაკუთრებულ პატივის ცემათ ითვლებოდა. ჭირისუფალი

შემდეგ თავის მოვალეობათ სთვლიდა განსაკუთრებული თანხა პიცა
უსტაბაშისათვის ოსტატების გასამასპინძლებლათ.

ამქრის ეკონომიურ არსებას როგორც ვთქვით ხელოსნური წარმო-
ების მონაბლია შეადგენდა, ეს გარემოება ძლიერ აფერხებდა ეკონომი-
ურ წინსვლას. იგი წინ ეღობებოდა ახლათ ჩასახულ კაპიტალს, რომელ-
საც თავისუფალი ბაზარი სჭირდა, განსაკუთრებით მუშათა ბაზარი. ქა-
რგალნა ორგანიზაციებში ამ მხრივ ახალგაზდა ეკონომიური ძალის მო-
კავშირენი გამოდიოდენ. რამდენადაც ისინიც მოძრაობის — გადასვლა გად-
მოსვლის თავისუფლებას მოითხოვდენ. ამ ორმა ძალაში დაშალეს, დაანგრიეს
ამქრულ წყობილების კედლები და დაამყარეს ახალი კაპიტალისტური
ხანა.

სულ სხვანაირი იყო ჩვენში ეკონომიური განვითარების მსვლელობა,
რამდენათ მარტივი იყო იგი დასავლეთში იმდენათ ძნელი და ახლართუ-
ლი იყო ჩვენში.

ევროპაში ამქრული წყობილება ნატურალური წყობილების ნანვრე-
ვებზე გაბატონდა. შემდეგ უკანასკნელის ნანგრევებზე კაპიტალიზმ-
გამფდა ჩვენში. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ამქრული წყობი-
ბილება ნატურალური წარმოების გვერდით არსებობდა. შემდეგ რუსების
გაბატონებისა და ბატონ-ყმობის გადაგდებისა კაპიტალიზმის ნასახიც
ვიზილეთ აქ. ბოლოს ახალ საქართველოში სოციალისტურ წარმოების
გზას დავადექით, თუმცა ამქრებიც ისევ არსებობენ ჩვენში, კაპიტალის-
ტური ქარხნებიც და ნატურალური წარმოებაც გარს გვარტყია.

ა. სვანიძე.

ხ რ ლ ე რ ა

საიდან გაჩნდა ჩვენში ხოლერა.

ხოლერა ჩვენი ქვეყნის ავადმყოფობა არ არის. მისი საშობლო ინდოე-
თია. შავკანიანთა ქვეყანაში ხოლერა მუდამ არის. ინდოეთში ძალიან ბევრი
ჰაობიანი აღვილებია. ხუთი თვის განმავლობაში; — მაისიდან ოქტომბრამდე, —
იქ კოკისპირული ხშირი წვიმები იცის. დანარჩენ დროს პაპანაქება სიცხვებია.
აი ახეთი ნიადაგი, დარი და ამინდი ხოლერისათვის ძალიან ხელსაყრელია. ამი-

ტომაა რომ ხოლერა იქ მუდამ ნავარდობსყოველწლიურად ხალხს მუსრს ივლებს. ინდოეთის ხალხი მეტისმეტად უსუფთა და ფეხუმია: გამოუთქმელ სიბინძურებში სცხოვრობს. თვალგაღდუწვდენელ ჭაობიან აღგილებში დასახლებულა. ჭაობებში ბანაობს კიდეც. იქვე სარეცხსაც რეცხავს. ყოველნაირ სიბინძურებს და უსუფთაობას ჭაობებში მიეზიდება. იმავ ჭაობის წყალს სასმელადაც ხმარობს. აი ასეთი უსუფთაობაა ხოლერისათვის საუკეთესო ნიაღაგი. ხოლერასაც იქ არ სძინავს. სამას ათას კაცს წელიწადში წუთისოფელს ასალმებს.

ჭალიან ხშირად ხოლერა სამშობლოსაც სტოვებს. მეზობელ ქვეყნებში სტუმრად მიდის. ხანდისხან მთელს ქვეყნიერებას გარს უვლის. და ასეთ მოგზაურობის დროს ხოლერა, სადაც კი მიდის ყველგან ერთი და იგივე უბედურება-სიკვდილი თან მიაქვს.

ზესოვარ დროიდან ხოლერა ინდოეთიდან სპართეთით ჩვენშიაც მობრძანებულა. ეტყობა ჩვენი ლამაზი სამშობლო ძალიან მოსწონებია. ჩვენი ქალაქ-სოფლის უსუფთაობა, ჩვენი მამა-პაპური ჭუჭყი და ვაგლაზი თავის საცხოვრებელ ნოკიერ ნიაღაგად მიუჩნევია და აქ ძალიან მქიდრად დასახლებულა. ამ ბოლოს დროს ხოლერა ჩვენში თითქმის ყოველ წლივა ჩნდება და დიდ ზარალს გვაყენებს; ზოგი დაგვცინის კიდეც: ხოლერამ—საქართველო—ინდოეთის შემდეგ— მეორე სამშობლოდ გაიხადაო. მართალიც არის. დაუპატიჟებელი სტუმარი ხოლერა თავიდან ველარ მოგვიშორებია. ამისი მიზეზი ჩვენ თვითონვე ვართ. ხოლერა აქ არაფერ შუაშია. სანამ ჩვენ—ჩვენს გაუნათლებლობას, სიბნელეს უვიკობას, ოჯახურ და ტანის სიბინძურეს თავიდან არ მოვიშორებთ, მანამ ხოლერა მაჯლაჯუნასავით ზედ გვეწოლება და ფეხსაც ვერ გავანძრევთ! ხოლერას ბუზსაც ვერ აუფრენთ! და, რასაც მოისურვებს იმას გვიზამს. ბევრვოჯახს აგვიწიოკებს. ზოგს დედას აუტირებს, ზოგს ბავშვებს დაუობლებს. ზოგს ისე ამოსწყვეტავს, რომ დამტირებელსაც აღარ გაუშვებს. მერე, რაიდენსა ხოცავს ხოლერა!! ას ავადმყოფ ადამიანში ნახევარს საიჭიოსკენ ისტუმრებს! ძალიან ხშირად უფრო მეტი—სამოცი და სამოცდა ხუთი ავადმყოფი სიცოცხლეს ესალმება.

ასეთი ჭირი და ვაგლაზია, ინდოეთიდან მოსული დაუპატიჟებელი ხტუმარი—ხოლერა!!

რა არის ხოლერის მიზეზი?

კარგა ხანი ადამიანმა ხოლერის მიზეზი არ იცოდა. თავზარდაცემულს ძალიან ეინტერესებოდა გაეგო თუ რა იყო იმ საშინელი ავადმყოფობის მიზეზი. სანამ ნამდვილ მიზეზს მიაგნებდა ადამიანი ბევრნაირ ზლაპარაკობდა. ზოგი ამბობდა ხოლერა ლეთის რისხვააო. ზოგი ეშმაქს, ზოგი კიდევ, წმინდა გიორგის აწერდა. და ასე მკითხავების ნაამბობით შეშინებული ხალხი გულს იჯერებდა და სტყუვდებოდა.

მაგრამ 1883 წელს ხოლერაზე გამოგონილი ჭორები სულ გაიფანჩა. ერთმა გამოჩენილმა ნასწავლმა აღამიანმა ჩამომავლობით ნემეცმა, სახელით რო-

ბერტმა და გვარით კოხმა აკი ხოლერის ნამდვილი მიზეზი არ აღმოაჩინა, და მკითხავების სიცრუე სულ ერთიანად არ გააბათილა!! ეშმაკი და წმინდა გიორგი კი არ აჩენს თურმე ხოლერას! ხოლერის აჩენს პატია, თვალით უხილავი ცოცხალი არსება, რომელსაც თვით კოხმა ხოლერის ვიბრიონი დაარქვა. მაშასადამე კარგად დაგიხსნებოთ, რომ ხოლერას აჩენს ხოლერის ვიბრიონი. შეიძლება ვინმე შემეკითხოს,—თუ ხოლერის ვიბრიონი თვალით უჩინარია,—მაშვინ და როგორ დაინახა და გაშინჯა ვიბრიონიო? აი სწორედ მეც ამაზე მინდოდა მომქენებინა და მექამნა; თუ როგორ და რჩნაირი საშუალებით შეიძლება უბრალო თვალით უჩინარი ვიბრიონის დანახვა და კარგად გაშინჯვაც. აი ამნაირი შემთხვევებისთვის—იქ სადაც ადამიანს უბრალო თვალი ვირ უჭრის, ჰკვეიანმა ადამიანმა ერთგვარი—გამადადებელი შუშებიანი—იარალი გამოიგრნა, ომელიც სულ პატაწკინტელა საგანს, არსებას ათასჯერ და უფრო მეტაზ ადიდებს. იმ იარალს შიკრისკობი ჰქვიან. აი სწორედ მიქროსკოპით კოხმა ხოლერის ვიბრიონები აღმოაჩინა და კარგათაც გაშინჯა. აღმოჩნდა, რომ ვიბრიონი ერთი ნამწია, თავოქბალა, წელში მოხრილი ცხოველია. ბოლოზე პატია ბუსუსი აბია, წყალში ვიბრიონი ძალიან მარდათ მოძრაობს. ჰფიქრობენ ამ ბუსუსით, რომებელიც ბოლოზედ გამოსვლია ადამიანის ტანის სითბოში ვიბრიონი მშვენივრად ისაძლისებს და მშვენივრად მრავლდება. ხორცის წვენში და რძეში ჰალიან ჩქარა მრავლდება და დიდხანსაც—მთელი თვეობით—ისაძლისებს. სამაგიეროდ სიმშრალეს ვერ იტანს.

ხოლერის ვიბრიონი ადამიანის მუცელშა პირიდან ჩადის. ან წყალს ან საჭმელს ჩასდევს. კუჭიდან ვიბრიონი ნაწლავებში გადადის და სწორედ იქ იწყებს გამრავლებას. ვიბრიონი ძალიან ჩქარა მრავლდება. საათობით კი არა წუთობით ბარტყობს. ყოველ ერთ საათში ერთი ვიბრიონი შვიდ—რვა ახალ ვიბრიონს აჩენს, ახლად გამოჩეკილებიც მაღლ იწყებენ გამრავლებას. ასე რომ ერთ დღე-ლამეში შეიძლება ერთმა ვიბრიონმა რამდენიმე ათი მილიონი ვიბრიონი გააჩინოს. აი ასეთნაირად მრავლდებიან ვიბრიონები ნაწლევებშიაც. იმ დროს იქვე თავიანთ პატარა სხეულებიდან შხამს უშვებენ, ისე როგორც ობობა ქსელს და ფუტკარი თაფლს უშვებს. ვიბრიონის შხამი ნაწლევებში გროვდება. შხამი თანდათან ნაწლევის შიგნითა პირის ანთებას იწვევს. ნაწლევის პირი ამნაირად ზიანდება. ანთებიანი ნაწლევი ძალიან ბევრს ლორწო წვენს უშვებს. ნაწლევში აუარებელი სითხე გროვდება. ადამიანს დიდი ფალარათობა ემართება. მაშასადამე ხოლერა ვიბრიონით გამოწვეული ავადმყოფებაა. ვიბრიონი ადამიანის ნაწლევებში იბუდებს. იქ შხამს აჩენს და იქიდან მთელ სხეულსა სწამლავს.

ხოლერის ნიშნები.

ხოლერის უმთავრესი ნიშნები პირლებინება და ფალარათობაა, თავდაპიველად ხოლერის ფალარათობა უბრალო ფალარათობას წააგავს. ადამიანს ფეხის ადგილს იშვიათად ანდომებს. მაგრამ ძალიან მაღლ ფალარათობა ისე ხშირდება, რომ ავადმყოფს არაქათს აცლის. დღეში ოცჯერ—ორმოცჯერ ანდომე-

ბს ფეხის ადგილს. განავალი წყალივითაა. ბრინჯის ნახარშს წააგავს. რაღაც უფერულია და არც სუნი აქვს. მუცელი განუწყვეტლივ უგრიალებს და უჭუ-წყუნებს. მალე ფალარათობას პირლებინებაც ემატება. უფრო ხშირად პირლები-ნება და ფალარათობა ერთად იწყობა. თავდაპირველად პირიდან ამონალებს ნა-ჭაბი ამოსდევს. და ბოლოს პირიდან ამონალებიც განავალს წააგავს. ფალარა-თობა გულისრევით ავადმყოფი ძალიან ბევრ სითხესა კარგავს. დალეული წყა-ლი კუჭნაწლევიდან ადამიანის სისხლში არ გადადის. ადამიანი სითხიდან იცლე-ბა. ამიტომ მისი სისხლი ძალიან მალე სქელდება. გასქელებული სისხლი სის-ხლის მილებში ძლივსლა მოძრაობს. ამით გულს დიდი ჯაფა ადგება. ბევრი სი-თხის დაკარგვით ადამიანის სხეული უწყლოდ რჩება—შრება. ავადმყოფს დიდი წყურვილი უვარდება. შარდი აღარ მოსდის. წყლის სამავიეროდ ნაწლევებიდან ავადმყოფის სხეულში ვიბრიონების შხამი გადადის და მთელს სხეულს უვლის. ძვალსა და რბილს უწამლავს. მოშხამულ ადამიანს მალე მთელი ტანის კრუნ-ჩხვა ემართება. ჯერ კანჭების კუნთები ცკრუნჩხება, მერე ბარძაყისა, შემდეგ მისდევენ მუცელი, ხელები და ასე მთელს ადამიანს ამტვრევს. მალე სახეც ემარჭება. ამ ტანჯვა-ვაებაში ადამიანს ცივ ოფლს ასხავს, ლურჯდება. ხელი; ფეხი და მთელი ტანი თანდათან უცივდება—ყინულივით უხდება. თვალები ერლვევა. ცხვირი უგრძელდება—უწვეტიანდება. სიცხე ოცდაცამეტ გრადუსამდე ეცემა, ხანდისხან უფრო ძირს იწევს. სუნთქვა უძნელდება. ქოშინი ემართება. ერთ წუთში ორ-მოცჯერ და ორმოცდათჯერ სუნთქვას. ავადმყოფი მთლად მოწყვეტილია. ოდნავ-ლა ფეხქავს. ხმა უსუსტდება ან სულ ეკარგება. გული უდამბლავდება, კვდება.

ხოლერით გარდაცვალებულის ზოგიერთი გვამი ძალიან მძიმე შთაბეჭდი ლებას ახდენს. ბევრს—ვინც არ იცის—თავზარსა სცემს. სიკვდილის შემდეგ მიცვალებული თბება. დაკრუნჩხულ-დაჭიმული მისი ხელფეხი ეშვება და ხანდისხან სწორდება. იმ დროს უსულო გვამის ნაწილები ინძრევიან. მახლობელს ჰგონია მკვ-დარი იღვიძებსო. ხანდისხან მიცვალებულის ტანის და ხელფეხის მოდუნება მოშ. ვება ისეთი სიძლიერითა ხდება, რომ მიცვალებული ერთი გვერდიდან მეორეზე ტრიიალდება-ბრუნდება. გადატრიიალების დროს მიცვალებულის გაქვავებული ხელ-ფეხი ხმაურობს კიდეც. უსულო გვამის ისეთი სურათი უმეცარ ადამიანს ბევრ-რამეს აფიქრებინებს. დიდ ხორველობას 1892 წელს—ი ამ მიწეზით შეშინე-ბული უვიცი ადამიანი ხმებს ავრცელებდა—ვითომც—ზოგიერთებს ცოცხლად მარხავდნენ, რადგანაც საფლავში მიწას რომ აყრიდნენ—კვდრები ინძრეო-დნენო...

ასეთი მძიმე ავადმყოფობაა ხოლერა!

ზოგიერთ შემთხვევაში ხოლერა ძალიან ოპლად მიმდინარეობს. მსუმბუქად მოიხდის და ორ-სამ დღეში საღდება ადამიანი. ეს მაშინ ხდება ოუ კაცი მა-გარია. გატეხილი არ არის. ზოგს კი ხოლერა ორ-სამ საათში ასალმებს წუთი-სოფელს.

საშუალოდ, ხოლერა ორი საათიდან რვა დღემდე გრძელდება. თუ ვინმეზ ხოლერობის დროს საეჭვო რამე ან დალია ან შესჭამა და ექვსი დღის განმავ-

ოობაში არც პირიდან ილებინა და არც გააფალარათა—ხოლერიდან თავისუ-
ფალია—ხიფათს გადარჩა.

თუ ხოლერამ ავადმყოფს. ხელი ისე ვერ დარია, რომ საიქძოს გაისტუმროს,
მაშინ ავადმყოფი დანდათან მოიხედავს. კრუნჩხავა-ჯრება თავს ანებებს. პირლე-
ბინება და ფალარათობა უჩერდება, ოფლი და სილურჯე ეკარგება. შარდი მო-
სდის. სუცხე ღონებზე უდგება. ავადმყოფი ღონიერდება. ერთი კვირის განმა-
ვლობაში რჩება.

ხშირად ადამიანი ხოლერას ხელიდან უსხლტება, მაგრამ მას ხოლერა სხვა
მხრიდან უვლის. სხვა რაიმე სატკივარს თტოვებს, როცა თითონ თავს ანებებს
მორჩენილ ადამიანს ხან ფილტვების, ხან თირკმლების ანხება და ხან მუც-
ლის სახადი ემართება.

ლოთებს ხოლერა მუსრს ავლებს. ამის მიზეზი შემდეგია: ლათ ადამი-
ანს ჟვინო-არეუსაგან მუდამ გული აქვს დასუსტებული, და აი ასეთ დასუს-
ტებულ გულს ხოლერა ცეცხლივით ედება და ორ-სამ დღეში სიცოცხლეს
უსპობს. თუ ლოთი ადამიანი ხოლერას გადაურჩა, რაც ძალიან საეჭვოა, მა-
შინ ავადმყოფს ხოლერით აშლილი ერთგვარი სიგაუე ემართება.

ხოლერის გადადება-გაერცელება.

უკვე ვიცით რომ ხოლერის სამშობლო ინდოეთია. ჩვენიდგან ინდოეთი ცხრა
მთის იქით არის გადაკარგული... ძალიან საინტერესოა—თუ როგორ მოაწეია იმ
სიშორიდან ხოლერამ ჩვენამდე სინ, რა გზით იარა? ან იქნება ვინმე ჩვენმა მტე-
რმა ხოლერა ყასიდათ მოიტანა და ჩვენში გაავრცელა? ხოლერის მოკაურობა
ძალიან ჩქარიდ და უბრალო იგეთივე როგორიც ადამიანის მოგზაურობა. ადა-
მიანთან ერთად მოგზაურობს ხოლერა. ადამიანს ხოლერა გადაძეს და გადა-
აქვს იქ სადაც თითონ მიდი-მოდის. აი მაგალითი. ერთმა ინდოეთილმა გაჭა-
რმა შორს ქვეყნებში თავის საქონლის კაი ფასებში გაყიდვა მოინდომა. აუ-
რებელი საქონელი: ბრინჯი, შაქარი, ქიშმიში და სხვა ჩაალაგა ათას, ფუთობით
გემში, თითონაც შიგ ჩაბძანდა და გაუდგა გზას. ბევრი დღე-ღამე იარა გემმა
ზღვით; ბევრი დიდი ზღვის პირა ქალაქი გამოიარა ინდოეთელმა ვაჭარმა. და
ზოლოს გემი შავ ზღვაში შემოვიდა და პირი ბათუმისაკენ ჭნა აქ ჩვენში უნდოდა
თურმე შავკანიან ვაჭარს თავის საქონლის გასაღება კაი ფასებში. მაგრამ დახე
ხიფათს! თათრის სატახტო ქალაქ სტამბოლში ვაჭარმა ძან გულიანათ ისადი-
ლა. ბოზბაშიც ბევრი მიირთვა და გემრიელი ფლავიც. მხოლოდ ერთი რამე
არ მოეწონა ვაჭარს საღილს რომ მიირთმევდა. როცა ინით შეღებილ წითელ
წვერა თათარმა დიდი სინით ფლავი მიართვა—სინზე ფლავს ძალიან ბევრი
ბუზები ეხვია. ვაჭარმა ბუზებს აუქშია. ფლავი გულიანად მიირთვა და გზას
გაუდგა. თურმე რა არის? სტამბოლში ინდოეთიდან ჭინალ ჩამოსულ გემებს.
ხოლერა ჩამოეტანათ და უკვე მთელს სტამბოლს მოსუებოდა. სწორედ იმ დღეს
და იმ სახლში სადაც ბათუმისაკენ მომავალმა ვაჭარმა ისადილა—შვიდი ადა-
მიანი გამხდარიყო ავად. ეს სუსკელაფერი აბა რა იცის სტამბოლიდგან კარგი

გუნებით გამოსულმა ვაჭარმა! მოდის, შავკანა ვაჭარი ბათუმისაკენ და გულში მოლილინებს!. აუარებელი მოგება თვალებში ელანდება! გაუგონჩა, რომ საქართველოში დიდი სიძირეა და ჩვარიც კი მამასისხლად იყიდება. სტამბოლიდან გამოსული გემი მეოთხე ლეს ბათუმს მოადგა. მოახსენეს ვაჭარს ბათუმი გამოჩნდათ. წამოდგა ვაჭარი კარში გამოსასვლელად და რაღაცა გუნებაზე ვერ იორძნო თავი. პირში ცუდი გემო ჰქონდა. უგემურად არძნობდა თავს. მუცელი რაღაცას უუჭუჭუნებდა. ცოტა შეფიქრიანდა, შაგრამ რას მოიფიქრებდა, რომ უბედურება სტამბოლიდან თან. წამოიღო. ყურადღება არ მიაქცია. ავიდა გემის მაღლა ერდოზე და დურბინით ბათუმს გახედა. შაგრამ გუნება არა და არ დაუმშვიდდა. თან და თან უფრო უემლვრა გულ მუცელი. ფეხებში რაღაც სისუსტე იგრძნო. რამდენჯერმე რაღაც უხეირო სუნითაც ამოაბყინა, თითქოს ლაყე კვერცხი გიდაუყლაბავსო. ცუდათ გრძნობდა თავს, მაგრამ არ შეუშინდა—არ გაუტყდა უგემურობას. ბრძანება გასცა, „პარისათვის“ მოემატებინათ, რომ გემი უფრო ჩქარა მისდგომოდა ბათუმს. მაგამ აგერა ბათუმიც— რაღაც პარი იყო საჭირო. გემი კადეც ჩერდებოდა. ვაჭარმა ფეხზე დგომა ველარ შესძლო და იქვე ჩამოჯდა. გულ-მუცელი სულ აემრიზა. რამდენჯერმე გულს დააზიდა და კინაღამ ალებინა კიდეც. გასცა ბრძანება გემის ექიმისთვის დაეძახნათ. ამასობაში გემი კიდეც გაჩერდა. გომზედ ქართველი მოხელე (მაშინ ბათუმში ინგლისელების პაჭანება აღარსაღ იყო ავიდა კიდეც ცნობების მისა დებად. ექიმი და ქართველი მოხელე ერთად მოვიდნენ ვაჭართან, მაგრამ რაღაც ცნობებისა სკეხლოდა შავკანა ვაჭარს— ძლივსლა იჯდა— და ნახევრად კუცი აღარ იყო. ექიმი რაღაცას შეეკითხა. ვაჭარმა პასუხის გაცემა ველარ მოასწრო. უცბად საშინლად პირს ალებინა. პირლებინებით უფრო დასუსტდა. გული ძლივს მოიბრუნა. ექიმის რაღაცას ელაპარაკებოდა და სულ მუცელზედ იდებდა ხელს. ქართველმა მოხელემ გაზეთებიდან იცოდა, რომ სტამბოლში უკვე დიდიხანია ხოლერა იყო გაჩენილი. ეს ვაჭარიც ხომ იქიდან მოდიოდა. ეჭვი დაებადა მის ავადმყოფობაზედ. მაშინვე კაციაფრინა და ბათუმის ნაგთსაღებურის ექიმს დაუძახა. ერთის მაგივრად ორი ექიმი მოვიდა. გასინჯეს შავკანა ექიმთან ერთად ქართველმა იქიმებმაც ავად გამხდარი ვაჭარი. და აკი უბადრუკს ხოლერა არ აღმოაჩნდა. სტამბოლში ნაჭამმა ბუზებიანმა ფლავმა აი ეს ხეირი დაბართა საცოლევ ვაჭარს. მალე ვაჭარს მოეხსნა პირი და ყოველ წუთს პირს ალებინებდა. მაშინათვე საშინლი ფაღარათობაც დაემართა. დიდმა ფაღარათობაშ არაქათი ვამოაცალა. ავადმყოფი ცალკე საავადმყოფოში გაგზავნეს. გემი შეპრეს, რომ ხოლერა ბათუმშიც არ გადმოსულიყო და არავის გაღასღებოდა. ვაჭრის მოურავმა საქონელი ქართველებს მიჰყიდა. საქონელი მალე გაღმოაბარეს. გარდა ხაზეინ-ვაჭრისა გემზედ ხოლერით სამი სხვა ავადმყოფი მეორე დღეს კიდევ აღმოჩნდა. მხეუთე დღეს მოსული ვაჭარი საავადმყოფოში გარდაიცვალა. იქვე საავადმყოფოში ერთი მოსამსახურე და ქალაქში ორი ბარგის გადმომტვირთველი მუშა ხოლერით გახდნენ ავათ. და ასე, ხოლერა გემით მობრძანდა ბათუმში. ჯერ იქ გავრცელდა, შემდეგ ავადმყოფი მგზავრების საშუალებით რკინის გზას ვაჭყვა. მალე უკვე რესპუბლიკის რამდენიმე აღგილას იჩინა თავი. აი—

ასე ამ გზით მოტანილი ხოლერა შემდეგ საჭმლისა და წყლის საშუალებით ადამიანიდან აღავინჩე გადადის და ვრცელდება. გავყვეთ ფეხ და ფეხ ხოლერას და დავინახოთ ჩვენის თვალით, თუ იგი როგორ ვრცელდება საჭმლისა და სასმლის საშუალებით. ეს ჩვენთვის ძალიან საჭიროა და სასარგებლოც.

(გაგრძელება იქნება)

ექიმი ი. ლომიშვილი.

ნარინჯოვანი ხეხილი და მისი გავრცელება ჩვენში.

როგორც შეცნიერი დეკანდელი მოგვითხრობს ნარინჯის, ფორთოხლის და მანდარინის სამშობლო არის სამხრეთ-ჩინეთი, სახელდობრ კოხინზინის პროვინცია, ლიმონია კი-ინდოეთი. ევროპაში ფორთოხალი გადმოიტანეს 250 წლის წინად ე. ი. მე-7 საუკ. ხოლო საქართველოში როდის იქნა გადმოტანილი, ისტორია არაფერს მოგვითხრობს, მხოლოდ ეს კი აშკარაა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდის საქართველოში უკვე იყო ფორთოხალის გაღები. როცა შეერთების შემდეგ რუსები ჩამოვიდნენ საქართველოში მათ უკვე დახვდათ ფოთში ფორთოხალის ბალი, რომელიც მოუვლელობის გამო დაიღუპა.

1848 წ. კავკასიის ნაშესტნიკმა ვორონცოვმა გამოიწერა ტრაპეზუნდიან 200 ძირი ფორთოხალი და რამდენიმე ლიმონი, რომელიც დარგო ფოთის გაშლილს მინდვრებზე. ამ ადგილას, ხშირად ქარისა და სიცივეების გამო, ხეხილი რიგიანად ვერ იზრდებოდა და ამიტომ გადაიტანეს ფოთის ციხეში. ხეხილმა მშენებივრად იხარი, ხოლო ბოლოს მაინც სუსხიანმა და სასტიქმა ზამთარმა მოუღო ბოლო. 1894 წ. 1878, როცა რუსეთმა დაიპყრო ბათომის ოლქი იქ უკვე იყო ყველა ნაირი ნარინჯოვანი ხეხილი: ნარინჯი, ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი და სხვა. ამ ხეხილს შეხვდებოდით იმ დროს ქობულეთიდან დაწყებული ლიმანამდის. მთელს ოლქში ნარინჯოვანი ხეხილის მოყვანას კომერციული ხასიათი ჰქონდა. მდინ. ჭოროხიდან დაწყებული ეხლანდელ ჩვენს საზღვრებამდის ე. ი. გონიოში, მაკრიალში, სარპში, ლიმანში. სავილში ყოველ წლივ აგროვებდნენ ერთ მილიონ (1.000.000) ნაყოფს და გაქმნდათ რუსეთში. როგორც ეტყობოდა მაშინდელ ბალებს, ეს კულტურა დიდი ხნის გავრცელებული იყო ზემო აღნიშნულ რაიონებში. ყველაზედ ხნიერი ხე იმ დროს 60 წლისა იყო, ისიც ძველი ძირიდან ამონაყარი.

აქედან ჩვენ შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ პერიოდულად ყოველ 100 წელიწადში ერთხელ მოდიოდა დიდი სუსხიანი ზამთარი, რომელსაც ვერ უძლებდა ნაზი ხეხილი და ხმებოდა, ხოლო თბილი წლების დადგომისათანავე ძირიდან ისევ იყრიდა ახალ ყლორტებს. რუსების ჩამოსვლის შემ-

დევ ბათომის ოლქის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი გადასახლდა სათათრეთში და თან წაიღეს პატარ-პატარა ხეები გასაშენებლად, ხოლო დარჩენილი დიდი ხეები მოუვლელობისა გამო დაიღუპა. გადასახლების შემდეგ დარჩენ მხოლოდ ბობოკვათას მცხოვრებნი, რომლებიც უმეტესად ლიმონს ამრავლებდნენ. ამ რიგად თითქმის მთელ ოლქში ამ ძვირჯასი ხეხილის გამრავლება შეჩერდა. მხოლოდ 80 წ. ე. ი. 1890 წ. ახლად ჩამოსახლებული რუსები დაინტერესდნენ ძველი ადგილობრივი ნარინჯოვანი ხეხილის კულტურით და დაიწყეს მათი შესწავლა. ასეთი პირი იყვნენ ალფონსი და ხრისტოფოვიჩი. ამათ გამოიწერეს ნარინჯოვანი ხეხილი იტალიიდან, ალექსანდრან და სათათრეთიდან, მაგრამ გამოირკვა, რომ ამ კვეყნებიდან მოტანილი ხეხილი ვერ იტანდა ბათომის ოლქის ჰავას და კომერციული მიზნით არ იყო ხელსაყრელი. ამ უკანასკნელმა მოვლენამ მისცა საშუალება გამოეწვანათ სხვა გზა: საჭირო შეიქმნა ყოველ მხრივი შესწავლა ამ კულტურისა. ამასთანავე მათთვის აშკარა შეიქმნა, რომ ეს ერთად ერთი კულტურა წავი ზღვის პირისთვის და მხოლოდ ამას შეუძლიან დააყენოს მეურნეობა უმაღლეს წერტილზედ და ხალხს მისცეს ისეთი შემოსავლის წყარო, რომლის მიცემაც არავითარ უმაღლეს კულტურას არ შეუძლიან. თუმცა გრძნობდნენ, რომ ეს კულტურა უძვირფასესი და შემოსავლიანი იყო, მაგრამ მათ უცოდინარობა და ლიტერატურის უქონლობა ამ კულტურის შესახებ ძალიან ხელს უშლიდა, რამაც აიძულა იგინი მიეკციათ ჯეროვანი უყრადღება ამ გარემოებისათვის. სწორედ ამ დროს ჩვენში დაარსდა საუფლისწულო მამულების გამგეობა ჩაექმი.

ამ გამგეობამ მიაქცია უურადღება ნარინჯოვან ხეხილის გამრავლებას შავი ზღვის ნაპირას, რადგანაც ამ ადგილების ჰავა წააგვას იაპონიის ჰავას. გადაწყვეტილი იქნა რუსთა სპეციალისტების გაგზავნა იაპონიაში პროფესორ კრასნოვის მეთაურობით ჩაის და ნარინჯოვანი ხეხილის კულტურის რიგიანად შესასწავლად.

ამ ეკსპედიციაშ შემოიარა მთელი იაპონია, შეისწავლა მათი კულტურა. ეკსპედიცია შეხვდა აქ ერთი ჯიშის ფორთოხალის „მანდარინა უნშუ“-ს, რომელიც სხვა ნარინჯოვან ხეხილებთან შედარებით უფრო იტანს სიცივეს და კავკასიის ჰავის ატანა შეუძლია. უნშუ საუკეთესოა იმით რომ უკურკომა.

ამ ეკსპედიციამ წამოილო თან საცდელად რამდენიმე სხვა და სხვა ჯიშის ნარინჯოვანი ხეხილი და მათ შორის უნშუ; როგორც დაამტკიცა 1910 წ. დიდმა ზამთარმა უნშუ საუკეთესო ჯიშის ნარინჯოვანთაგანია ჩვენი ჰავებისათვის, გინაიდან ამ წლის სუსხიანმა ზამთარმა ვერავითარი ვწება ვერ მიაყენა მას. რამდენიმე ძირი ამ მცენარისა წაიღეს ადგილობრივმა მცხოვრებმა. ამათგან დღესაც 2 ხე ხარობს ქობულეთის თავში. ეს ხეები დარგულია დაბალ ადგილას კოსლის ბოლოს უკან, საიდანაც ბლომად ეყრება პატივი. 15 წლის ხემ მოისხა 3000-მდე მშენებერი ნაყოფი და ზრდაც ხეს საუკეთესო აქვს. დაკვირვებამ დაარწმუნა ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ მანდარინის გამრავლება დიდ ეკონომიურ წარმატებას მისცემს მათ. თუმცა ძველი ჯიშის ხე სულ გადაშენდა, მაგრამ ახალმა დანაკლისი სრულიათ. აანაზღაურა.

1091 წ. მთელ ბათომის ოლქში ითვლებოდა 100 ძირი მანდარინი. 1912
წ. 101500 ძირი.

რაც შეეხება გურია-სამეგრელოს და სოხუმის ოლქს მათი სტატისტიკა
არა გვაქვს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს მათი რიცხვი გაორკეცებულია
და ვინაიდან ხალხი ხარბათ დაეწაფა ამ კულტურას, იმედია შემდეგში. უფრო
განვითარდება ეს კულტურა საქართველოში.

მ. ქარცივაძე.

ქვთნომიური კრიხისის გარმებო

(დასასრული *)

14 კუტობერის შობდა თათბირის გაგრძელება. უკანასკნელმა მომ-
ხსენებელმა ნ. ხომერი ქმა შემდეგი კონკრეტული საშუალებანი წამოა-
ყენა ჩვენი ეკონომიურ მდგრამარეობის გასაუმჯობესებლად: 1) სახელ-
მწიფო ბიუჯეტის წონასწორობის დაცვა, 2) გენერალური გადათვალი-
ერება ჩვენი ხარჯებისა და მისი შესაძლებელ მინიმუმამდე შემკირება,
3) საჭირო ზომები შემოსავლის გასადიდებლად, 4) გამორკვევა და და-
კანონება თვითმართველობათა საბიუჯეტო უფლებებისა; 5) საჩქაროდ გა-
ტარება შინაურ სავალდებულო სესხისა, რომელიც ყველას უნდა გაე-
წეროს შეძლების და მიხედვით; 6) წარმოების განვითარება, 7) ქალალ-
დის ფულის რაოდენობის სასტიკად განსაზღვრა, 8) უსარგებლო დაწე-
სებულებების დახურვა, 9) ზოგიერთ ბანკებზე და კანტორებზე სასტიკი
ჭონტროლის დაწესება, 10) სავალიუტო რპერაციების წარმოება მხო-
ლოდ სახელმწიფო ბანკისა და მის მიერ არჩეულ საკრედიტო დაწე-
სებულების მიერ, 11) ყოველგვარ ფუფუნების საგნების შემოტანის აკ-
რძალვა.

წამოყენებულ ზომების შესახებ გაიმართა კამათი, რომელ-
შიაც შინაწილება მიიღეს: დამფუძ. კრების წევრებმა და ზოგი ორგა-
ნიზაციების. წარმომადგენელებში, რომელთაც აღნიშნეს რომ: ჩვენ დაწესე-
ბულებებში ბევრ მუქია მჟამელ ხალხს მოუკალთებია. აუცილებლად,
უნდა შეიცვალოს ჩვენ დაწესებულებებში საქმის წარმოების სისტემა;
დღეს ჩემ გამოფენებულია კანცელიაზენა. დაწნაშავე მოხელეთა წინააღ-

*) იხ. უშრნ. „ერობა“ № 9.

թდეց სასტიკი ზომები უნდა იქნეს მიღებული, ეს უფრო აამაღლებს მთა-
ვრობის პრესტიგს.

საჭიროა კარგი სისტემის გადასახადების შემოღება, თორემ იძულე-
ბითი სესხი გინდ დღევანდელი გადასახადების გადიდება დაწვება ისევ,
შშრომელ ხალხს, მუშათა-კლასს. სპეციულიანტები აქიდანაც მოახერხე-
უნდა გამოძრომას; გადასახადები უმეტესად უნდა გადახდეს შეძლებულ
კლასს. უნდა გამოუშვათ მხოლოდ იმჟენი ფული, რომლის რაოდენობა
არ უნდა აღემატებოდეს იმ საქონლის ფასს, რომელიც ბაზარზე მო-
პოვება. უნდა შევქმნათ ეკონომიური ბალანსი; წარმოება კარგი საქმეა
ეკონომისათვის, მაგრამ ასე უცბად ჩვენ მაინც ვერ შევძლებთ, ფაბრი-
კებ-ქარხნების დაარსებას. სასტიკი ზომები უნდა იქნეს აგრეთვე მიღ-
ბული იმ ელექტრების წინააღმდეგ, რომელნიც არა ქმნიან, მაგრამ მი-
ლიონობით კი ხარჯავენ. ეკონომიური კრიზისის განვლების ვალდებულე-
ბა მარტო მთავრობას არ აწევს კისრად, მის მოწესრიგებაში მონაწილე-
ობა უნდა მიიღოს მთელმა პარტიაში.

ზეღმეტი ფულის გამოშვების შესახებ საყვედლური ეხლა გვიანდა
არის. მთავრობას ამის წინააღმდეგ დროზე უნდა მიეღო ზომები. რაც
შეეხება შრომის ნაყოფიერებას იმაზე ლაპარაკიც კი ზეღმეტია მაშინ,
როცა დღეს მუშას ეძლევა უმნიშვნელო, მცირე ხელფასი. დღეს შრო-
მის ნაყოფიერება უფრო მეტია შედარებით იმ ხელფასთან, რასაც მუშა
დებულობს. მწვავედ სდგას ჩვენს წინაშე არა მარტო სასურსათო საკი-
თხი, არამედ ბინის საკითხიც. უნდა ითქვას, რომ სასურსათო პოლიტი-
კის წარმოებაში მთავრობას არ ჰქონია სათანადო შემუშავებული ხაზი—
ღღემდე თითქმის კიდევ გამოუკვეთლია ჩვენთვის. თვისეუფალი ვაჭრო-
ბის მომხრე ვართ თუ მონაპოლიის; ცხადია გვაკლია საერთოდ ეკონო-
მიური შორს მცვრიტელობა. კერძო კაპიტალზე ჩვენ იმედებს ვერ დავა-
მყარებო, პირიქით ჩვენ მას უნდა შევებრძოლოთ ორგანიზაციულად.
მუშები ჩტანენ დღევანდელ განვირებას, მაგრამ აშბობენ, მხოლოდ, რომ
თუ ეს გაპირვება. საყოველთან მოვლენაა, და, ყველას ერთნაირად გა-
უკირდეს. მუქთა ხორა ხალხი უსათუოდ უნდა ჩავითრიოთ შრომაში,
ამით შრომის ნაყოფიერებას თუ არაფერი მიეშატაებ პსიქოლოგია მაინც
შეიცვლება ხალხში. ჯერ სპეციულიანტების საბოლოოდ ალაგმა ვერ შე-
ვძლებით, საჭიროა მათი სრულიად განდევნა. დღეს ზოგისთვის დიდი
სივიწროებ, ზოგს, კი ფაზოდ მოუკალთავშია 5-8 თოახში, ამისათვის
უნდა ამოვირჩიოთ სპეციალური კომისია, რომელიც თანასწორად გაა-
ნაწილებს ბინებს.

საჭიროა ზრუნვა მეურნეობის ოლორმინებისათვის. ომის შემდეგ მუშის ჯანმრთელობა უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა, საჭიროა მის წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება, რაღაც მაზეა დამოკიდებული შრომის ნაყოფიერება. უნდა შევცვალოთ თვით ჩვენი მეთოდი ეკონომიურ პოლიტიკაში, თორებ წათქვამი მხოლოდ სურვილად დარჩება. ჩვენ დასახულებული მიზნები, ამ რაოდენიმე თვის წინადაც შეგვექლო გაგვე-ხორციელებია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ზოგიერთ წვრიმალს არ ვაქცევთ ყურადღებას, მივთივართ მაღლა, მაგრამ, გვავიწყდება, რომ ჩვენ დიდ მიზნებს, სწორედ ეს წვრილმანი უდევს სარჩულად. უნდა და-ვარსოთ რომელიმე ეკონომიური საბჭო; მართალია არსებობს ეკონომიური საბჭო, მაგრამ მას ჯერ არაფერო გაუკეთებია. საჭიროა სამუშაო შეთოდების სასწავლოროდ შემუშავება: ერთმა ორატორმა ნაციონალი-ზაცია დაასახელა ეკონომიურ კრიზისის ერთ მიზეზათ და აღნიშნა, რომ ინტელიგენცია არ ყოფილა მზად სახელმწიფოს შესაქმნელად, არ გვყავს სპეციალისტები, ამისათვის უნდა გვესარგებოთ იმ უცხო სპეციალისტე-ბით, რომლებიც ყოველ დღე მიღიან ჩვენი რესპუბლიკიდან; მაგრამ და-ივიწყა ორატორმა, რომ საქმე სპეციალისტებში კი არ არის მარტო, არამედ მის სათანადოთ ნაყოფიერად გამოყენებაში. ჩვენ, ჩვენი საკუთა-რი სპეციალისტების ამარაც იოლად წავიდოდით, რომ სათანადოთ შე-გვეძლოს მათთვის ტონის მიუემა. დღესაც ბევრი არიან ჩვენში უადგილოდ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები.

შემდეგ აღნიშენეს, რომ ერობებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სურსათის მომარაგებაში, უნდა გატარდეს შავი ქვის ნაციონა-ლიზაცია, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კომანერატივებს, მათ კო-ნტროლი უნდა დაენიშნოს, მათ წარმოებაში სპეციულიაციას აღიღოთ არ უნდა ჰქონდეს, ისინი უნდა დაკმაყოფილდენ საშუალო მოგებით. თათბირის დამავრებისას ამორჩეულ იქნა კომისია, რომელმაც წარუდ-გინა თათბირი დამუშავებული რეზოლუცია, რომლის თვითეული მუხლი ცალ-ცალკე იქნა განხილული; საბოლოოდ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლუცია:

მოისმინა-რა მოხსენება რესპუბლიკის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობის შესახებ პარტიული თათბირი აღიარებს, რომ მსოფლიო ომმა ჩანთქა აუარებელი საწარმოო საშუალებანი, გაანადგურა წინანდევლ თაობათა მიერ დაგროვილი. სიმდიდრე და ძირბუღიანად შეარყია ეკონ-პის სახელმწიფოთა ფინანსიური კეთილდღეობა.

რუსეთის თვითმშეცდობელობა საქართველოს მტაცებელი თვალით უკერძა; მას ომორც კოლონიას ძარცვადა და ხელსუმლიდა ჩვენში საწარმოო ძალთა განვითარებას და აქ დამოუკიდებელ ეკონომიკური მოგანიზმის განმტკიცებას. სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ ჩაიბარა ეკონომიზრათ დაშლილი ქვეყანა პრიმიტიული სასოფლო მეურნეობით და სუსტი ინდუსტრიით.

მთელი ორ-ნახევარ წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატია ომის ველზე ოცვდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაბოვართ, ბოლო მუდმივი ომი კადევ უფრო აუარესებდა ისედაც დანგრეულ ეკონომიურ ცხოვრებას.

თათბირი ითვალისწინებს-რა ქვეყნის მიმდე ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობას, სრულ იმედს გამოთქვამს. რომ მთელი შეჯნებული დემოკრატია გაორკეცებულ ყურადღებას მიაპყობს იმ დაბრკოლებათა დაძლევას, რაიცა წინ ელობება რესპუბლიკის ეკონომიურ განვითარებას და ფინანსიურ მოღონიერებას.

თათბირი ადგენს, მიზანშეწონილ ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკას საფუძვლად უნდა დადგვას:

ა. ბიუჯეტის წონასწორობის დამყარება, ბ. მჩერველობის და სასულფლო მეურნეობის აღორძინება, გ. საგარეო ვაჭრობის მოწესრიგება და დ. ექსპორტის გაძლიერება და იმპორტის შემცირება.

ამისათვის აუცილებელია შემდეგი ზომების გატარება:

1. ბიუჯეტის მოსაწესრიგებლად:

ა. ხარჯების ეკონომიზა:

— მოსამსახურეთა შტატების შემცირება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, საქმის წარმოების გაშარტივება, ზოგიერთ დაწესებულებათა სრული ლიკვიდაცია და სხვა.

ბ. იძულებითი საშინაო სუსტის აღება ფულის ნიშვნების წინასწარი აღრიცვით.

გ. გადასახაუთა სისტემის გაღასინჯვა და მათი აკრეფის გაძლიერება:

დ. მთავრობის კონტროლი აღილობრივ თვითმართველობათა და სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის შესათანხმებლათ და გასაქრთიანებლათ და მათი ხარჯების შესამცირებლათ.

ზ. თვითმართველობათა საჭირები უფლების გამიჯვნა.

2. ფინანსების გასაუმჯობესებლათ:

- ა. ქაღალდის ფულის ოპტიმიზაციის განხაზღვრა.
- ბ. საკუთარი ფულის სისტემის შექმნა და მისი რეალური უზრუნველყოფა.
- გ. ოუსეთის ძველ საკრედიტო დაწესებულებათა აღიკვიდაცია.
- დ. ბანკების კონტროლი.
- ე. სავალიუტო ოპერაციებს შხოლოდ სახელმწიფო ბანკი და მის მიერ არჩეული საკრედიტო დაწესებულებანი უნდა აწარმოებუნ:
- ვ. ამ ოპერაციების საწარმოებლად სახელმწიფო ბანკს სავალიუტო ფონდი ეძლევა.
- ზ. ანგარიშის გასწორება და საქონლის ყიდვა-გაყიდვა რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით ხდება.

3. წარმოების სფეროში:

- ა. ახალ საწარმოო დარგების შექმნა; კერძო ინიციატივის ხელის შეწყობა, ოპტიმიზაციის მიზანით განვითარებას ემსახურება.
- ბ. უცხო სამრეწველო კაპიტალის შემოსასვლელით ზომების მიღება.
- ვ. სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო სესხის შემოღება.
- დ. სასოფლო მეურნეობისა, და მრეწველობის უზრუნველყოფა მანქანებით და ნედლი მასალით.
- ე. პრაქტიკული სასწავლებლებისა და კურსების დაარსება სპეციალისტების მოსამზადებლად; უცხოელი სპეციალისტების მოწვევა.
- ვ. ეკონომიკური საბჭოს დაარსება მთლიანი ეკონომიკური სისტემის შესაქმნელათ; რესპუბლიკის საწარმოო საშუალებათა მიზან შეწონილი გამოყენება.
- ზ. სამრეწველო აღწერის მოწყობა.

4. საგარეო გაჭრობის სფეროში:

- ა. ფუფუნების საგნების შემოტანის სავსებით აკრძალვა. და საიმპორტო/საგანთა შორის უპირატესობის საწარმოო საშუალებათათვის. მინიჭება.
- ბ. სახელმწიფო დაწესებულებანი, კომპურატივები და ავგილობრივი თვითმართველობანი უცხოეთოან აღებმიცემობას მთავრობის კანტროლით უნდა აწარმოებდენ.
- გ. მიღებულ იქნეს ზომები საკუთარი ტონაჟის შესაძენათ.

5. სასურსათო ხფეროში:

ა. სახელმწიფო უნდა შეეცადოს თავისი მოთხოვნილებანი საკუ-
ნარი სურსათით დაიქმაყოფხლოს; პურის გასაიათებლათ მიღებულ იქ-
ნეს ზომები ბორბლეულობის უცხოეთიდან შემოსატანად.

ბ. უნდა გაფართოვდეს სამელიორაციო მუშაობა, ზიექცეს განსა-
კუთრებული ყურადღება ქაობების ამოშრობას, წყლების გამაგრებას და
გზების გაყვანას; მოეწყოს აგრონომიული დახმარება და თავისუფალი
მიწების ინტენსიური დამუშავება სახელმწიფო ბრივი და საზოგადოებრივ
ორგანიზაციების მიერ; განსაკუთრებული ჭურადღება მიექცეს უცხოე-
თიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტანას; გაფართოვდეს თავი-
სუფალ მიწებზე გადასახლების საქმე.

გ. სურსათის გატან-შემოტანის აკრძალვის უფლება ოესპუბლიკის
საზღვრებში მხოლოდ მთავრობას ეკუთვნის.

დ. მიღებულ იქნეს განსაკუთრებული ზომები ოესპუბლიკის სა-
ზღვრებიდან სურსათის უცხოეთში გატანის წინააღმდეგ.

6. საერთო ზომები:

ა. ქალაქების გაწმენდა პარაზიტულ ელემენტებისაგან.

ბ. სავალდებულო შროის შემოლება არამშრომელთათვის.

გ. ღანცურვა გასართობ კლუბების, კაფეშანტანებისა და ისეთი ოე-
სტორანების, რომელთაც კაფეშანტანების ზასიათი, აქვთ; მათ მაგიერ
იაფ-ფასიანი სასაზღილოების მოწყობა; ხელის შეწყობა საზოგადოებრივი
ორგანიზაციებისათვის პურით სავაჭროების გალების საქმეში; ტკბილე-
ულობის გამოცხობის აკრძალვა; ჩესტორანები, სასაზღილოები და სა-
მიკიტნოები უნდა იხურებოდეს ლამის 10 საათზე.

დ. ბინის საკითხის მუშათა ინტერესების დამიხედვით მოწესრიგება
პროფესიონალური კავშირების მონაწილეობით.

ე. უსასტიკესი სასჯელი სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ორგა-
ნიზაციათა იმ მოსამსახურეთათვის, რომელნიც მიითვისებენ, გაფლანგა-
ვენ და მოიპარუენ საზოგადო ქონებას ან ქრთამს აიღებენ.

თაბირი აღიარებს, რომ ყველა ეს ზომები მხოლოდ იქ შემთხვე-
ვაში გამოიღებს სასურველ ნაყოფს თუ საქართველოს საწარმოო ძა-
ლები და შრომის ნაყოფ ერქმა გაძლიერდება, ღამზადებულ საქონელთა
რაოდენობა გამრავლდება და ამით შეიქმნება შესაძლებლობა საქონლის
ფასების დაწევის და ბაზრის ნორმალურ პირობებთან დაახლოების.

შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლათ კრება: საჭიროდ თვლის მუშათა უზრუნველყოფას პირველ საჭიროებათა საგნებით, განსაკუთრებით სანოვაგით, და საღაც ეს ტეხნიკურათ შესაძლებელია, შემოღებულიქნეს ნარდათ მუშაობა და პრემიული სისტემა.

თათბირი ადგენს,

ა. პურის დამზადებას მომარაგების სამინისტრო: საზოგადოებრივ ორგანიზაციების დახმარებით უნდა აწარმოებდეს.

ბ. მიღვბული იქნეს ენერგიული ზომები პურის ღირსების გასაუმჯობესებლათ:

გ. პირველ შესაძლებლობისთანავე გადიდებული იქნეს. პურის ულუფა ნახევარ გირვანქით ყველა მუშა მოსამსახურეთათვის.

დ. მიღვბული იქნეს ზომები მუშა-მოსამსახურეთა ხორცით, ბოსტნეულობით და სხვა სანოვაგით უზრუნველყოფათ.

ე. შედგეს განსაკუთრებული კომისია, მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლოთაგან სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ბოროტ-მოქმედებათა, აღმოჩენის ხელშესაწყობათ.

განჩანი.

პ ა ტ ა რ ა წ ე რ ი ლ ე ბ ი.

ეროვნული და სასამართლო.

სახელმწიფო ავ-კარგიანობის უთავის სი საზომი ეს სასამართლო; თუ სასამართლო ჯეროვან სიმაღლეზე სტგას, თუ მას შესწევს უნარი სამართლიანობისა და კანონის მთლიანობის დაცვისა ის ხალხის უზენაეს სიმპატიას მოიპოვებს, ის აღადგენს სახელმწიფოს პრესტიჟს. და პირიქით თუ ის ჯეროვანად ვერ ახორციელებს სახელმწიფო კანონებს ის, ძირს უთხრის სახელმწიფოებრივ ავტორიტეტს, შლის მის პარატს.

სათანადო სასამართლოს შექმნას ძველი რუსეთიც კი ყურადღებას აქცივდა, მაშინდელ ბიუროკრატებისაც მუდამ ეკრათ ენაზე, რომ სასამართლო უნდა იყოს „სწორი, სწრაფი, და მიუღიოველი“, მაგრამ ისე არსად არ იყო ფეხქვეშ გათვლილი. სასამართლოს უფლებები, როგორც რუსეთში და უნდა ითქვას, რომ ჩვენც ძველი რუსეთიდან გვაქვს გადმო-

ცემული სასამართლოსადმი უბატივცემლობა; ღრმა ა. მხრივაც გამო-
ვასწოროთ საქმე, ამისთვის უნდა ზრუნავდეს უპრეველესად ყოვლისა
თვითონ სასამართლო; იმის ცხოვრებაში ამ უნდა აღმოჩნდეს ცოტა-
დენი ფაქტიც კი, რომელიც ჩრდილს მიაყენებს მის ავტორიტეტს. იუს-
ტიციის სამინისტრო ცდილობს სასამართლოს მდგომარეობის გაუმჯობე-
სებას; ამ მაზნით მან დაამუშავა და წარუდგინა მთავრობის განსახილვე-
ლად მოხსენება სასამართლოს მდგომარეობის შესახებ. თავის მოხსენებაში
მინისტრი უკანასკნ კლ ხანებში სასამართლოს მოქმედების გაძლიერებას
აღნიშნავს. 1918—1919 წლ. ძველი საქმეები სისრულეში არის მოყვა-
ნილი. შენიშნულია საგამოშიებლო რაიონებიდან სხვა და სხვა საქმეების
შემოსვლა, რამაც გამოიწვია ტფილის ში ოქტ. 9-დან ორ ერთგროულად
შომქმედ სისტემის. სამართლის სასამართლოს სესიის დანიშნვა. მოხსენე-
ბაში აღნიშნულია სასამართლოს არა ნორმალური მდგომარეობა რეს-
პუბლიკაში. უმთავრეს შიზეზად ამ არა ნორმალობისა. იუსტიციის მი-
ნისტრის მიაჩნია: 1) სასამართლოს უღონობა და კმაყოფილობა ყოველი
მოთხოვნილება საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც ძლიერ ჩქარი
ტემპით მიექანება წინ. ხშირია შემთხვევები, როცა აღმინისტრატიული
დაწესებულებები ერვიან სასამართლოს საქმეებში, მით სცემენ ძირს სა-
სამართლოს ავტორიტეტს და ხელს უშლიან კანონიერების განმტკიცე-
ბას. სასამართლოს არა ნორმალურ მდგომარეობის მეორე მძიება მომ-
ხსენებლის აზრით არის ძველი კანონების დაუმუშავებლობა და მოუმზა-
დებლობა პირად შემადგენლობისა, რომელთა რთული მოვალეობანი სა-
სამართლო მოღვაწეებიდან, დიდ თეორეტიულ მოზიადებას და გამოკიდი-
ლებას მოითხოვს. იუსტიციის მინისტრი ეხება აგრეთვე სასამართლო
მოღვაწეთა ნივთიერ ხელმოკლებას; სასამართლო მოღვაწეებს ამასთანა-
ვე არ შეუძლიათ სხვა რაიმე სამსახურში შესვლა, რომ ამით გააღიდონ
საცხოვრებელი შჩომის ხელფასი. შემდეგ მოხს წევაში მოყვანილია ის
ზომები, რომელიც მიღლო უკვე იუსტიციის სამინისტრო სასამართლოს
დემოკრატიზიციისათვის და მის ხალხთან დასახლოვ მდლად: მთელ რეს-
პუბლიკაში შემოღებულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, შემოღებულია
ინსტიტუტი მომრიგებელ მოსამართლეთა, გაუზობეს ქულია საგამო-
ძიებლო საბროკურორი აპარატები და დაარსებულია ქართლ კანონთა გა-
დამსინჯავი კომისია. აღნიშნავს რა აღმინისტრაციის სტულ პოუზადებ-
ლობას სისტემის სამართლის საქმეების გამოკვლევაში, იუსტიციის მინის-
ტრი წინადადებას იძლევა ამ დეფექტის მოსასპაბაზ. მისცენ. მილიციის

მოხელეთ სათანადო ინსტრუქციები: მოხსენებაში აღნიშნულია აგრეთვე ერობათა და, ქალაქთა თვითმართველობების ჩარევა სასამართლოს, საქმეებში. ეს დაწესებულებები ძლიერ ხშირად იცავენ თავის მოსამასახურეთა. აშკარა უკანონო საქციელის. ამიტომ ამ საქმეების აღნიშნულ თრგანოების გავლენისაგან განსათავისუფლებლად საჭირო ხდება მათი. (საქშეების) სასამართლოს. გამომძიებლებზე გადაცემა, რომელთა რიცხვიც ისედაც მცირება, და რომლებსაც ისედაც ბევრი სამუშაო აქვს. მთელ მოხსენებაში გატარებულია აზრი, რომ რესპუბლიკის სასამართლო უნდა იდევს ყოველგვარ პარტიულ და ჯგუფობრივ ბრძოლის გარეშე და რომ სასამართლო ჩსეთ მდგომარეობამდი ჭმალლდეს საჭიროა მის საქშეებში მთავრობას ჩარევა. მოხსენების ბოლოს იუსტიციის მინისტრის საჭიროდ მიაჩნია შემდეგი ღონისძიება: 1. წინადადება მისცი განათლების სამინისტროს, რომ იუსტიციულ ფაქულტეტის გახსნა დააჩქაროს. 2. საპროკურორო ზედამხედველობის მოსამსახურეთა და სასამართლოს მოლვაშეთა, როგორც საჭირო სპეციალისტების ნივთიერად უზრუნველყოფა. 3. სამხედრო და საგანგებო სასამართლოების გაუქმება. 4. შემოღება მთელს რესპუბლიკაში ნაფიც მუაჯულთა ინსტიტუტისა. 5. უდიდეს საქმეთა გამომძიებელთა რიცხვის გადიდება. 6. სამსახურიდან დათხოვნა აღმინისტრაციის იმ მოსამსახურეებისა რომლებიც თავის დროზე, არ შეასრულებენ სასამართლოს დავალებას.

დღეს მართლაც ხშირად ერევიან სასამართლოს საქმეებში; ამის რაოდენიმე კონკრეტული მაგალითებიც იყო; და ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისე პრა რევს რა სახელმწიფოს, საქმეს, როგორც, ერთი უწყების მეორე უწყების საქმეში ჩარევა საკრთოდ; და კერძოდ სასამართლოს საქმეში ჩარევა. ჩვენ დღეს პოლიტიკურად მაინც, შედარებით ნორმალურ პროცედურაში ვართ, ამისათვის თვითეულ დარგს მიუჩინეთ სათანადო ორგანო, რომელმაც უნდა იმუშაოს, მხოლოდ თავის კონცენტრეციის ფარგლებში; ერთი სახელმწიფო ორგანოს მეორეში ჩარევა, ამშვავებს მდგომარეობას, ხშირად ბარებს უსიამოვმება.

აღმინისტრაცია აჩინ ისეთი ძალა, რომელმაც უნმრდ სისჩულეში უნდა მოიყვანოს სასამართლოს ვანაჩენ; დღეს აღმინისტრატიულ აპარატს ერობები ვანაგებენ, ამისათვის მათ არ უნდა მისცი ნება თავის აღმინისტრაციის მუხლებზე საქმეში ჩარევით ხელი შეუშალოს, სასამართლოს ნაყოფიერებას:

ერობულმა არაშე თუ ხელი უნდა დააფარონ თავიანთ მოხსელეების

საქციელს, როგორც იუსტიციურს სამინისტროს მოხსენებაშია ნათქვამი, არამედ თვითონ, საკუთარი ინციდენტით უნდა მოსცენ სამართლში დამნაშავე მოხელეები. ერობდების პირდაპირი მოვალეობაა, ყოველ მხრივ დაეხმაროს სასამართლოს ხელი შეუტყოს ხალხში მისი პრესტიულის განმტკიცებას. სასამართლოს ნამდვილი დემოკრატიულო ელფერი უნდა მიეცეს.

გადასახადები.

სახელმწიფოს აუარებული ხარჯები აქვს, რომელიც უნდა დაფაროს ისევ სახელმწიფოს შემოსაფალმა. როცა სახელმწიფოს გასავალი ჭარბობს შემოსავალს, მაშინ სახელმწიფო ფინანსისურ კრახისკენ, მძემართება; კატასტროფაც აუცილებელია თუ მას დროზე არ გამოენახა შესაფერი წამალი; სწორედ ამ ტინანსისური კრახით არის დღეს დასწეულებული ჩვენი სახელმწიფოს ორგანიზმი და თუ მას დროზე არ მივემოველი, შესაძლებელია შემდეგ გვიან იქნებ ეკონომიურად და ფინანსურად დაავადმყოფებული სახელმწიფოს გამოჯამსალება. თამაზად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ჩვენი ეკონომიური კრიზისის მიზეზი სახელმწიფო დეფიციტია, შემოსავალ-გასავალ წინააღმრთობის დაუცველობაა.

სახელმწიფოს უმთავრეს შემოსავალს, გარდა სამრეწველო დარგისა, რომელიც ჩვენ თითქმის არ მოგვეპოდა, შეაღვენს გადასახადები ამ თუ იმ სახით, როგორი სახელმწიფოებრივი ფორმაც უნდა იყოს, გადასახადების აკედა მაინც აუცილებელია, მოქალაქემ თავისი წველილი უსათურდ უნდა შეიტანოს სახელმწიფო სალაროში. მაგრამ სამუხარის ის არის, რომ სიტყვა „გადასახადი“ არ უყვარს ჩვენ გლეხს; მას ეს სიტყვა ძველ რეაიმს ავონებს; როცა შათრახებით და უცეცუციებით ახდევინებდენ გადასახადებს, რომელითაც ჯიბებს ისქელებდენ სხვა და სხვა ჯურის მოხელეები და ხალხის საკიროებას ხალჩისცე გაღებული ფული არ ამარტებოდა.

გადასახადების გარშემო ძველად შემუშავებული ფსიქოლოგია ჯერაც არ შეუცვლია ჩვენს გლეხობას; როცა გადასახადებზე ჩამოჟარდება ლაპარაკი, ისინი თამაშიდ გაისახია: „არისი ერთობა, თუ გადასახადები გადამხდება, ასე ხომ წინადაც იყო, მაგან გვთხადებოდით! შესაძლებელია მართლა, ჩვენც მიგვიძლოდეს ამაში ბრალი; ზოგიერთი უპასუხისმგებლობირნი მართლაც არ უხსნიდენ ხალხს ნათლად გადასახადების აუცილებლობისა და მიშვნელობის შესახებ, ზოგი შათგანი იქნებ ხალხს

მუქდად დაპირის „ოქტოს მთებს“, მაგრამ დღეს შეინც ბრძოლა გვმართებს ხალხში გავრცელებულ პასტო შეხედულობის წინააღმდეგ, და ეს ბრძოლა უსათუოდ უნდა აწარმოონ ერობება, რომლებიც ხალხთან უფრო ახლოს სდგანან. ხალხს ერთხელ და სამუდამოთ უნდა შევაგნებინოთ ჯადასახალების. აკების აუცილებლობა. უნდა დავარწყონოთ ის რომ მისი გადახდილი ფული ისევ მის კეთილდღეობას ხვარდება.

მაგრამ რომ უფრო ნათელ ცყოთ სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის მდგომარეობა უკეთესია მოვიყვანოთ 1919—20 წლის დამუშანებელი კრების მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი: ჯერ მოვიყვანოთ გასავალსა.

1) დამფუძნებელ კოება	10495515 — კ.
2) მთავრობის საქმეთა მართველობა .	181973299 10 კ.
3) შინაგან საქმეთა სამინისტრო .	207822692 60 კ.
4) სახალხო განათლების სამინისტრო .	137456956 7 კ.
5) საზედო სამინისტრო (რეგულიარი ჯარი და სახალხო გვარიდა)	538791632 — კ.
6) გარეშე საქმეთა სამინისტრო .	24264296 — კ.
7) იუსტიციის, სამინისტრო	55092753 98 კ.
8) ფინანსთა დ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო .	293404042 — კ.
9) მიწათ-პოქმედების სამინისტრო .	83646396 92 კ.
10) გზათა, სამინისტრო .	417280812 80 კ.
11) შრომის სამინისტრო .	1140550 — კ.
12) სახელმწიფო კონტროლი .	9121851 50 კ.

სულ 1960490798 — კ.

ამ გასავლის რომელი მუხლია აქ მოხსენებული, რომელიც ზეტერი და გამოუსადეგარი იყოს სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის: იქნებ რომელიმე გულ უბრყვილო შეითხველმა მეხუთე მუხლში მოხსენებული თანხა რომელიც არი ჯარის და სახალხო გვარდისათვის გადაჭდებული ის მიიჩნიოს ზედმეტად! აი, რომ დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც პრინციპიალურად უმობს მილიტარიზმს, სიამოვნებით არ შლილი გასავლის ამ საგანს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, რომ ეს მოუცილებელი თავირო არ იყოს ან მხოლოდ მის სურვილებზე იყოს ეს დამოკიდებული.

ეხლა საიდან უნდა დაიტაროს ამოდენა ხარჯები, — ა) შემოსავალიც.	
1) პირდაპირი გადასახადი	108929700
2) არაპირდაპირი გადასახადი	170801000
3) ბაჟები	40518500
4) მთავრობის რეგალიები	43856700
5) სახაზინო ქონება და თანხები	747369760
6) სახელმწიფო ხაზინის ანაზღაურებული. ხარჯ.	1115116
7) სხვა და სხვა გვარი შემოსავალი	3473609
8) საკრედიტო ოპერატორის მიერ მომსახურებისაგან	47500000
	1960490798
9) მთავრობის სამეურნეო ღარების მიერ მომსახურებისაგან	796926313

სულ 1960490798

სტატისტიკური ცნობების მიხედვით ჩვენი დამპუქიდებლობის პირველ წელიწადს სულ მცირე, უმნიშვნელო თანხა შესულა ხაზინაში გადასახადის სახით; აგრე მესამე წელიწადია, რაც საკუთარი ძალ-ლონით ვბოგინობთ და მაინც არ იქნა, ვერ მოეწყო წესიერად გადასახადების აკრების საქმე, რომელიც დღეს, როგორც ლეიბად ხმარობენ ჩვენს ბონებს არც თუ ისე ძნელი მოსაგვარებელია; საჭიროა მხოლოდ გადასახადების აკრებისათვის ხალხში მეტი აგიტაცია და შეგნების შეტანა; ჩვენ სოფლის დემოკრატიას იმდენი შეგნება კი შესწევს, რომ ნათქვამს ადვილად ჩაუკვირდეს და გაარჩიოს ავ-კარგიანობა.

გლეხებმა, რომ იციან შეუგნებლად თქმა: „რათ ვვახდევინებთ გადასახადებს, ბლომათ მოჭერით ფული თქვენ ხელში არ არის“ ასეთი ყალბი შეხედულება მათ უნდა შევუცვალოთ, ისინი უნდა დარწმუნდენ, რომ ყოველი ზედმეტად „მოჭრილი“ ფული ისევ მათ აწევთ ვალად კისერზე.

ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფა.

ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფა დღეს შორიგ საკითხად დგას; მაგრამ სანაც ის საბოლოოდ გადაწყდებოდეს საკანონმდებლო გზით, ბევრი მითქმა-მოთქმაა ეკლესიისა და საერთოდ სარწმუნოების გარშემო განხაკუთრებით სოფლად. ბნელი ელემენტები, განსაკუთრებით ზოგიერთი სულიერი მამები სარგებლობენ ამ მდგომარეობით და სხვა და სხვა პროცესაციულ ხევებს ავტოლებენ ჩვენი მთავრობისა და წესწყობილების წინააღმდეგ; ისინი არწმუნებენ გულუბრყვილო მორწმუნეთ, რომ ჩვენი

მთავრობა მღვთისა და სარწმუნოების მგომობელია და ამ მიზნით სურთ ეკლესის სახელმწიფოდან გამოყოფაო.

აი ნიმუში ერთი ასეთი „სულიერი მამის“ მოღვაწეობისა: ს. ტეზრიდან იტყობინებიან, რომ 25. ოქტომბერს ადგილობრივ ეკლესიაში მღვდელი ეწეოდა აგიტაციას სოციალისტების წინააღმდეგ. სხვათა შორის უთქვამს: „ნურაფერს დაუჯერებთ ნაწავლ ხალხს, არაფერი იწამოთ სოციალისტების, ისინი გადაგვარების გზას ადგიან და ჩვენი ვალია მათი. შწორ გზაზე დაყენება, უნდა უკიდინოთ ხალხს უსარწმუნოებოდ ვერ-ბულვრებს, რომ მოსალოდნელია ღვთის შეუბრალებელი რისხვა. ძველი დედები შზად იყვნენ სარწმუნოებისათვის გადაეტანათ ყოველგვარი ტან-ჯვა. ახლა კი სარწმუნოებისათვის უბრალო რამის შეწირვასაც გაუჩინარა. დედამ უნდა იძულოს შვილები უკუაგდონ“ სოციალისტობა და გახადონ მონები სარწმუნოებისათ. („საბ. საქ.“).

სამწუხარო ის არის, რომ ასეთ იაფ ფასიან აგიტაციის ხალხში ჯერ კიდევ გასავალი აქვს; მასა ჯერ კადევ არ არის დარწმუნებული, რომ ამ ვაჟბატონებს თავიანთი ჯიბის ინტერესი უფრო აღაპარაკებთ, ვინებ სარწმუნოებისადმი სამსახური.

ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ სარწმუნოება სრულდად დამოუკიდებელი, თავისუფალი უნდა იყოს სახელმწიფოსაგან და პირიქით, ეკლესიას არავითარი კავშირი არ უნდა ქონდეს, სახელმწიფოსთან. თუ ძველი ჩვენი დახავსებულ საეკლესიო დოგმით ეკლესია მციდროთ იყო დაკავშირებული სახელმწიფოსთან ეს შებორკვა იყო სარწმუნოებისა ერთი მხრით, და სახელმწიფოსთვის მაკანებელი მეორე მხრით. სახელმწიფო და ეკლესია სულ სხვა და სხვა მოვლენას წარმოადგენს.

ეკლესის გამოყოფას სახელმწიფოდან უნდა დაედვას ის დებულებანი, რომელიც ამ დღეებში შეიმუშავა კანონების გადამსინჯავ კომისამ, რომლის კრებას დაესწროს სხვა და სხვა სარწმუნოების და ეროვნების წარ-მომადგენელნი. ეს დებულებანი კი შემდეგია: 1) უზრუნველყოფა რეს-პუბლიკის მიერ რწმენის თავისუფლებისა და სარწმუნოებრივ ღვთის მსა-ზურების თავისუფლად წარმოებისა, პოლიტიკურ და სამოქალაქო უფ-ლებით სარგებლობა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის ესა თუ ის პირი და არავინ არ შეიძლება იღენე-ბოდეს თავის რელიგიურ შეხედულებისათვის; 2) რესპუბლიკა არ მფარ-ველობს და არ აძლევს ჯილდოსა და სუბსიდიას, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი არც ერთი სარწმუნოების მსახურთ და უკანასკნელობა უზ-

რუნველყოფის და აგრეთვე სასულიერო დაწესებულებათ მორწმუნეთ
ანდობს; 3) მართლ-მარიდებელ უკლესიას ისე, როგორც სხვას ეძლევა
უფლება თავისუფალი თვით მოწყობისა; 4) არც ერთ სასულიერო და-
წესებულებას არ აქვს უფლება შეძრავი ქმნება კერძო საკუთ-
რებად; 5) უძრავი ქმნება, რომელიც სასულიერო დაწესებულებათა ხელ-
შია: სახელმწიფოს საკუთრებაში ჭადარის; 6) განათლების მინისტრის
ევალება შეაღინოს სრა საეკლესიო ქონებისა, რომელსაც აქვს ისტო-
რიული და მხატვრული ღირებულება და რომელიც სახელმწიფოს შირ-
დაპირ გამგებლობაში უნდა გადავიდეს; 7) არსდება რა თავისუფლება
საბრწმუნოებრივი პროპაგანდისა, რესპუბლიკა კრიძალავს სასწავლებლებში
საღვთო სჯულის სწავლებას; 8) ცერემონიები, პროცესიები და კულტის
სხვა გარეშე გამოხატულებანი წესრიგდება ქალაქთა და ერობათა თვით-
მართველობების მიერ.

ამ სკკითხმა დიდი კამათი გამოიწვია კომისიის სხდომაზე. მაგრამ ამ
დებულების წინაამდევგ ვინ რას დაამტკიცებს თუ პრინციპიალურად
წინაამდევგ არ არის უკლესის სახელმწიფოდან გამოყოფისა. ერობებ-
მა და თემებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს, რომ უკლესია სრუ-
ლიად უმტკიცნელოდ ჩამოშორდეს სახელმწიფოს.

სასოფლო სამეურნეო განათლება

დღევანდელი გამეფებულ კრიზისის ვრთი უმთავრესი მიზეზთაგან
არის ჩვენი სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენა; ჩვენი ქვეყანა ბუნებრივათ
მეურნეობისათვის საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს, მაგრამ ბუნებრივ
სიმღიდეებს რა ფასი აქვს თუ მას მიზანშეწონილად ვერ გამოვიყენებოთ.
ჩვენში მოწის დამუშავება პრიმიტიულ მდგრადებაშია, ჩვენი სამეურნეო
ტეხნიკა ჯერ კიდევ თოხსა და კავს ვერ გასცილებია. ჩვენი სოფლის
მეურნეობის ნაწარმოები ჯერ მხოლოდ სიმინდი და ლვინოა; ჩვენი მი-
წის ნოუიერი ნიადაგი, შეზავებული ჰავა კი გვაძლევს. საშუალებას გა-
ვაშენოთ სხვა და სხვა კულტურული ჯიშის მცენარეულობა, რომე-
ლიც ნაკლებს შრომის მოითხოვს, მაგრამ გაცილებით კი მეტი ღირებუ-
ლების ნაყოფს მოგვცილდა. ეს იმიტომ, რომ არა გვაქის სამეურნეო ცო-
დნა, არა გვყანან აგრძომები. რომლებიც ჩვენ გლეხს ამოუღებიან
გვერდში და უფრო ნაყოფიერს გახდის. მის შრომას.

სამეურნეო ცოდნის გასავაჩულებლად ჩვენში არავინ ზრუნავდა,
მთელ საქართველოში მხოლოდ ორად-ორი სამეურნეო სასწავლებელი

იყო ისიც დაბალი ტიჭისა და რა გასაკვირველია, თუ ჩვენი სოფლის მუშა დღეს მოკლებულია სამეურნეო ცოდნას.

ამ გარემოებისათვის აჩ შეეძლო ყურადღება არ მიექცია დამფუძნებელ კრებას. მან 16 აგვისტოს სხდომაზე მიიღო კანონი „სასოფლო სამეურნეო საშუალო და დაბალი განათლების, ორგანიზაციისა“, რომლის თანახმად არსდება:

სასოფლო სამეურნეო საშუალო სკოლები და სამეურნეო პრაქტიკული სკოლები, სამეურნეო დაწესებულებების, და სახელმწიფო მამულებში, მიწათ-მოქმედების სამინისტროს უწყებაში დარჩებიან. ხოლო სასოფლო-სამეურნეო სკოლები—ადგილობრივ საზოგადოებათა ინიციატივით დაარსებულნი, რომელნიც ამავე საზოგადოებათა ხარჯით ან მთავრობის დახმარებით ინახება დამაარსებელთა ხელში იმყოფებიან.

უნდა გადაეცეს სასოფლო-სამეურნეო სკოლას მოწაფეების სამეცნიეროთა და სანიმუშო მეურნეობის მოსაწყობად საჭირო მიწა და ტყე და აგრეთვე მისცეს უსასყიდლოთ სახელმწიფო ტყის, მასალა შენობების ასაგებად და შესაკეთებლად.

გარდა ამისა კანონს თან ახლავს ზოგადი დებულება, რომლიდანაც მოგვყავს ზოგიერთი მუხლები ეროვნებისა და თემების საყურადღებო:

სასოფლო-სამეურნეო სკოლები შეიძლება დაარსდეს სავაურო, საქალო ან ორთავეთათვის საერთო. სახწავლო გეგმის მიხედვით, სკოლები ვანი-ყოფებიან ზოგად სკოლებად, სადაც შეისწავლება სასოფლო მეურნეობა, საზოგადოდ და სპეციალ სკოლებად, სადაც შეისწავლება სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგი.

სასოფლო-სამეურნეო სკოლები განიყოფება: საშუალო, დაბალ და ორწლიან სასოფლო-სამეურნეო კურსებად, რომელიც უნდა დაარსდეს აქ მოცანილი დებულების მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლის მიზანია მოწაფისათვის სამეცნიერო ნიადაგზე დამყარებული თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მიზანდება. სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგში და ამ გზით სოფლის მეურნეთა კადრის მომზადება.

სასოფლო-სამეურნეო ერთდროული კურსებისა, კითხვისა, ბაასისა, მეურნეობისა, მუზეუმებისა და სპეციალი სასოფლო-სამეურნეო საჭკითხველოების დაარსება და მოწყობა შეეძლია მთავრობასა და საზოგადოებ-

რიც დაწესებულებას საზოგადო წესრიგით, კერძო პირებს კი სკოლაში, ადგილობრივ სამაზრო ერობათა გამგეობის ნებართვით.

ხაზინის მონაწილეობა საშუალო და დაბალი სკოლების მოწყობა-შენახვაში განისაზღვრება ხარჯთ-აღრიცხვით. მიწათ-მოქმედების მინისტრს შეუძლია გადად ქსელი თანხის ფარგალში დაუნიშნოს დახმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და კერძო პირთა მიერ დაარსებულ სასოფ-ლო-სამეურნეო დაბალ სკოლას. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო და-ბალ სკოლებს და კურსებს, ომელიც არსდებიან საზოგადოებრივი ორ-განიზაციის მიერ, შეიძლება მიეცეს დამატებითი დახმარება მათ მოსაწ-ყობად საჭირო სამეურნეო ხარჯის დასაფარავად.

სასოფლო-სამეურნეო სკოლის პანსიონერები ვალდებული არიან კურსის დამთავრების შემდეგ იმსახურონ მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებაში მათი სპეციალობის შესაფერ თანამდებობაზე იმდენ ბანს რამდენ ხანსაც სარგებლობენ ხაზინის დახმარებას. მიწათ-მოქმედების მი-ნისტრს უფლება აქვს გაანთავისუფლოს ამ მოვალეობისაგან ზოგიერთი პირი, თუ მისი სამსახური სამინისტროს არ ესაჭიროება.

მოწაფეებისათვის სასოფლო-სამეურნეო სკოლებთან არსდება პან-სიონები ან საერთო საცხოვრებელი; ამ დაღვენილების დარღვევა შეიძ-ლება მხოლოდ მიწათ-მოქმედების მინისტრის ნებართვით.

უკეთუ სასოფლო-სამეურნეო სკოლა დაარსდება საზოგადოებრივი ორგანიზაციისა ან კერძო პირის მიერ, დამაარსებელის უფლება და მო-ვალეობა განისაზღვრება მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულებით განმარტებული უნდა იყოს მო-სამსახურეთა, მოწაფეებისა და დამაარსებელთა შორის- ურთიერთობა და აგრეთვე დამოკიდებულება სასკოლო მასულთან. ამავე ხელშეკრულებაში აღნიშნული უნდა იყოს აგრეთვე სწავლის ფასი პანსიონერებისა და ნა-ხევარად პანსიონერთა შენახვისათვის საჭირო ხარჯის რაოდენობა და სასწავლო მიზნისათვის მეურნეობის მოწყობის წინასწარი გეგმა. მე 16-ე მუხლში აღნიშნული შემოსავალი გადაეცემა მასულის მესაკუთრეს ხელ-შეკრულებაში აღნიშნული პირობით.

სასოფლო-სამეურნეო სკოლას უფლება აქვს: 1) იქმნიოს სათანა-დო ბეჭედი და 2) შეიძინოს უძრავი ქონება და მიიღოს ყოველგვარი შემოწირულება.

სკოლის პირველ კლასში მიიღება მაღალდაწყებითი სკოლების კურს დამთავრებულნი. დანარჩენ კლასებში მოწაფეთა მიღება მხოლოდ განსა-

კუთოებულ შემთხვევაში შეიძლება, მიწათ-მოქმედების მინისტრის ნებართვით, თუ მისაღებმა პირზა ცოდნა გამოიჩინა წინა კლასებში გავლილთეორიული და პრაქტიკული კურსისა.

მთელი კურსის განმავლობაში სწარმოებს პრაქტიკული მეცალინეობა მოწაფების სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მუშაობისა და მეურნეობის წარმოების შესაჩვევად.

სკოლაში სწავლა დამთავრებული მოწაფე მიიღებს აგრონომის წოდებას იმ სპეციალობაში, რომელიც მას გავლილი აქვს და შეიძლება დანიშნულ იქნეს: სასოფლო-სამეურნეო ფერმის საცდელისა და მინდვრის გამგედ, გასწავლებლის თანაშე წელ, საშუალო სკოლების ლაბორანტად და აღმზრდელად, აგრეთვე დაბალი სკოლების მასწავლებლად, ინსპექტორად და სხვა.

იმ პირთ, რომელთაც სასწავლებელში არ უსწავლიათ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მიწათმოქმედების მინისტრის ნებართვით, შეიძლება მიეცეს მთელ კურსში გამოცდის ნება. ვინც გამოცდის ღროს გამოიჩენს როგორც თეორიულის. ისე პრაქტიკული კურსის ცოდნას, მას მიეცემა იმგვარივე მოწმობა, როგორიც სკოლაში კურს დამთავრებულს ეკუთვნის.

ოთხწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლაში პირველ კლასში მბიღებიან არა უმცირესნი 14 წლისა, პირველდაწყებით სახალხო სკოლაში სწავლა დამთავრებულნი, სათანადო მოწმობის წარმომდგენნი ან შესაფერისი გამოცდით.

სასოფლო-სამეურნეო დაბალი სკოლის კურს დამთავრებულს შეუძლია იყოს საზოგადო განათლების პირველდაწყებით სახალხო სკოლაში სასოფლო-სამეურნეო მეცალინეობის ხელმძღვანელად ან სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგში უმცროს ტეხნიკად და ინსტრუქტორად.

ორწლიანი სასოფლო-სამეურნეო კურსებზე მიიღებიან ადგილობრივი მცხოვრებნი არა უმცირესნი 15 წლისა, წერა-კითხვისა და ანგარიშის მცოდნენი პირველდაწყებითი სკოლის კურს დამთავრებულის პირობაზე.

პრაქტიკული სკოლები უმთავრესად არსდება სახელმწიფო და აღილობრივ თვითმმართველობის ხელში გადასულ მამულებში.

კურსი გრძელდება ერთიდან სამ წლამდე.

სკოლაში მისაღებად საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა. განსაკუთრებით შემთხვევაში შეიძლება წერა-კითხვის არა მცოდნეთა მიღებაც.

მისაღებნი პირნი უნდა იყვნენ არა უმცირეს 16 წლისა.

პრაქტიკული სკოლების კურსს საფუძვლად დაედება პრაქტიკული მეცნატინეობა, რომელიც შეიცავს სასოფლო-სამეცნიერო და სახელოსნო მუშაობის წარმოებას. ამ მეცნატინეობას ხელმძღვანელობენ მასწავლებელნი. გარდა ამისა თითო სკოლაში სწავლობენ საზოგადო განათლებისა და სპეციალ საგნებსაც.

სასოფლო-სამეცნიერო ცოდნის გასავრცელებლად უნდა მოეწყოს დროებითი სასოფლო-სამეცნიერო კურსები, კითხვა და ბაასი, როგორც ვაჟებისათვის, ისე ქალებისათვის.

ყოველივე ეს საშუალებანი მისწოდებაა ჩვენი დაავადებული სოფლის მეცნიერებისათვის; საჭიროა მისი სასწრაფო განხორციელება, მიწად-მოქმედების თამინისტროს ევალება ეს კანონი დაუყონებლივ გაატაროს ცხოვრებაში, მას გვერდში ამოუდებება ჩვენი ერობები და თემები მხოლოდ შეერთებული ძალით არის შესაძლებელი ჩვენი სასოფლო მეცნიერების ჯეროვან სიმაღლემდე განვითარება.

გრ. სა—ქედელი.

ქ რ თ ბ ა.

მ თ ს ვ რ მ გ ა უ რ

მიავრცის თავმაჯობარისაბან

კირკულიარული.

ერობათა და ქალაქთა გამგეობებს და აფხაზეთის კომისარიატს.

წინააღმდეგ კანონისა და მთავრობის დადგენილებისა ზოგიერთი სამაზრო ერობის გამგეობა და აგრეთვე თემები განაგრძობენ თავის მაზრიდან სურსათ-სანოვაგის გატანის აკრძალვას რესპუბლიკის დანარჩენ კუთხეებში და მით პქმნიან ეკონომიკურ კრიზისს და არევ-დარევას. უკანასკნელად ვაჭროთხილებ ერობებს, ქალაქებს და აფხაზეთის კომისარიატს, რომ თუ კიდევ ასეთი მოვლენა განმეორდა, ჩემ მიერ მიღებული იქნება სასტიკი ზომები კანონის და მთავრობას განკარგულების დასაცავად. დამნაშავენი გადაყენებული იქნებიან სამსახურიდან და პასუხის-გებაში მიცემულნი.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. უორდანია.

მიწად-მოქმედების სამინისტრო

მიწის საქმეები.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროს მიმართა განცხადებით, რომელშიაც აღნიშნულია: ვინაიდან სახელმწიფო მამულების ყოფილი სასამართველოები, რომლებიც ზაზინის ინტერესებთან დაკავშირებულ საქმეებში იღებდენ მონაწილეობას გაუქმებულია და მათი საქმეები მიწად-მოქმედების სამინისტროზე არის გადაცემული, ამიტომ სასამართლო დაწესებულებებმა ძველი საქმეების გარჩევაზე დასასწრებლად ცნობა მიწად-მოქმედების სამინისტროს უნდა გაუგზავნონ. იუსტიციის სამინისტრომ სასამართლო პალატის პროკურორს წინადაღებით მიმართა გამოსცეს სათანადო განკარგულება..

კანონ-პროექტი მოხალეთა პასუხისმგებლობის შესახებ

იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა კანონთა გადამსინჯავმა კომისიამ დაამუშავა პროექტი კანონისა მოხელეთა პასუხისმგებლობის შესახებ სისხლის და სამოქალაქო სამართლის წესით.

თანახმად კანონ-პროექტისა თანამდებობრივი დანაშაულის საქმეები განხილული უნდა იქნეს სისხლის სამართლის წარმოების წესდების საერთო წესისამებრ ქვემო ჩამოთვლილ გამონაკლისით:

- 1) თანამდებობრივი დანაშაული ექვემდებარება ოლქის სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით: იმ აღვილებში, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოღებული არ არის, თანამდებობრივი დანაშაული განხილულ უნდა იქნეს ოლქის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის მიზნებლად. 2) საზოგად გარეთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყოფნი პირნი რესპუბლიკის გარეშე ჩადენილ თანამდებობრივ დანაშაულისათვის გასამართლებულ უნდა იქნეს ტფილისის ოლქის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. 3) გარდა დამფუძნებელ კრების, პარლამენტის ან მთავრობის წევრებისა, საერთო და სამომრიგებლო სასამართლო დაწესებულებათა მოსამართლებისა, ნაფიც მსაჯულებისა, გამომძიებლებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პირთა, ყოველ მოხელის თანამდებობრივ დანაშაულის გამო სისხლის სამართლის დევნა უნდა აღძრას იმ ოლქის სასამართლოს პროკურორმა, რომელსაც საქმე ექვემდებარება. კერძო პირთა საჩივრები და განცხადებანი, სახელისუფლო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ცნობები და მოხსენებანი ისეთ თანამდებობრივ დანაშაულის შესახებ, რომლისათვის სასჯელი სასამართლოს

წესით უნდა იქნეს დადგებული, აგრეთვე თვით მოხელის მიერ თავის თანამდებობრივ დანაშაულის აღიარება უნდა გაეგზავნოს სათანადო ოლქის სასამართლოს პროკურორს, ან საპროკურორო ზედამხედველობის უახლოესს პირს, რომელმაც იგი უნდა გადასცეს სათანადო პროკურორს. დამფუძნებელ კრებისა, პარლამენტისა ან მთავრობის წევრის თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით დევნა შეიძლება აღძრუ თ იქნეს მხოლოდ დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის დადგენილებით. კერძო პირთა საჩივრები და განკვეთებანი და სახელისუფლო დაწესებულებათა და თანამდებობათა პირთა ცნობები და მოხსენებანი, დამფუძნებელი კრების, პარლამენტის ან მთავრობის წევრის მიერ თანამდებობრივ დანაშაულის ჩადენის შესახებ უნდა შეტანილ იქნეს. დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის პრეზიდიუმში. სისხლის სამართლის წესით დევნას სენატის თავმჯდომარის, მის ამხანაგის, და სენატორების წინააღმდეგ აღძრავს საქართველოს სენატორების საერთო ყრილობას. მომრიგებელ მოსამართლეთა, ოლქის სასამართლოს წევრთა, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის და სხვათა წინააღმდეგ კი სისხლის სამართლის დევნას აღძრავს საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებული საკრებულო. საპროკურორო ზედამხედველობის პირი თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამათლის წესით დევნას აღძრავს იუსტიციის მინისტრი. თანამდებობრივ დანაშაულისათვის ყველა მოხელე, დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის წევრის გარდა, სისხლის სამართლში უნდა მიცემულ იქნეს სასამართლოს პალატის სისხლის სამართლის დეპარტადენტის მიერ. დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის წევრი თანამდებობრივ დანაშაულისათვის სამართალში მიცეს დამფუძნებელი კრების ან პარლამენტის დადგენილებით. საქმე დამფუძნებელი კრების ან პარლამენტის წევრის შესახებ პროკურორის დასკვნით უნდა წარედგინოს იუსტიციის მინისტრის საშუალებით დამფუძნებელ კრებას ან პარლამენტს. დადგენილება თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით დევნის აღძრისა, სასამართლოში მიცემისა ან საქმის მოსპობისა, უნდა ეცნობოს ბრალდებულის უფროსს, ან იმ დაწესებულებას, საღაცის მსახურობს. მასვე ეცნობება აგრეთვე სასამართლოს საბოლოო განაჩენი. მომქმედ კანონით დადგენილი წესი სადისციპლინო სასჯელთა დადებისა ძალაში დარჩეს. სარჩელი იმ ვნებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ; რომელიც თანამდებობრივ დანაშაულით არის გამოწვეული ექვემდებარება სამოქალაქო სამართლის საერთო წესს. საჩივრი უნდა აღძრულ იქნეს ექვსი თვის განმავლობაში. კანონ-პროექტი, დამყარებული იქნება მომქმედ კანონების იმ პუნქტებზე, რომლებიც უნდა შეიცვალოს ხალ კანონის შემოღებით. აღნიშნული კანონ-პროექტი მოიწონა იუსტიციის მინისტრმა და იგი განსახილველად მთავრობას გადასცა.

დ რ მ ი გ ი თ ი წ ა ს დ ე გ ა

ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ - ს ა ნ ი ტ ა რ უ ლ ი ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი ბ ი ს ა ს ა მ თ ა ბ ა რ ი რ ი ქ ი ა ნ
ს ა ქ ო ნ ე ლ ზ ე .

1. ს ა ქ ო ნ ლ ი ს პ ა ტ რ ი ნ ე ბ ი თ ე მ ი ს წ ა რ მ ი მ ა დ გ ე ნ ე ლ თ ა ნ ე რ თ ა დ წ ი ნ
დ ა წ ი ნ ვ ე ნ ი შ ნ ა ვ ე ნ ს ა ქ ო ნ ლ ი ს ი ა ლ ა ლ ზ ე დ (ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ი დ ა ს ა ზ ა მ თ რ ი
ს ა ძ მ ღ რ ე ბ ზ ე დ) წ ა ს ა ს ვ ლ ე ლ დ რ ო ს.

2. ს ა ქ ო ნ ე ლ ი გ ა დ ი ს ს ო ფ ლ ი დ გ ა ნ ა ნ ე რ თ ა დ , ა ნ ც ა ლ ც ა ლ კ ე ნ ა ნ
ნ ა ბ ი რ ე ბ ა დ .

3. რ ო დ ე ს ა ც მ თ ე ლ ი თ ე მ ი მ ი ე მ გ ზ ა ვ რ ე ბ ა ი ა ლ ა ლ ზ ე დ მ ა ს თ ა ნ მ ი პ ი
კ უ ვ ე ბ ა თ ე მ ი ს წ ა რ მ ი მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ; რ ო დ ე ს ა ც მ ი ე მ გ ზ ა ვ რ ე ბ ა ც ა ლ კ ე ს ო ფ ე
ლ ი , თ ა ნ მ ი პ ი კ უ ვ ე ბ ა თ ე მ ი ს წ ა რ მ ი მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ა ნ ს ა ზ ა ვ ა დ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ ა მ თ
რ ე უ ლ ი პ ი რ ი .

4. თ ე მ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა 25 დ ლ ი თ ა დ რ ე წ ა რ უ დ გ ე ნ ს მ ა ზ რ ი ს ე რ ო ბ ი ს
გ ა მ გ ე ო ბ ა ს ს ა კ ო მ ლ ი ს ს ი ა ს ი მ ს ა ქ ო ნ ლ ი ს პ ა ტ რ ი ნ ე ბ ი ს ა ს , რ ო მ ე ლ ი ც
ე რ თ ა დ მ ი ე მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი ა ნ ი ა ლ ა ლ ზ ე დ . ყ უ ვ ე ლ ა მ გ ვ ა რ ს ი ა შ ი ნ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ი
უ ნ დ ა ი ყ ი ს რ ი ც ხ ვ ი ს ა ქ ო ნ ლ ი ს ა , თ ე ი თ ე უ ლ ს ა ქ ო ნ ლ ი ს პ ა ტ რ ი ნ ი ს ა , გ ზ ა ,
ს ა ხ ე ლ ი ი ა ლ ა ლ ი ს ა დ ა ს ა ხ ე ლ ი ს ა ძ მ ღ რ ი ს , ი ა ლ ა ლ ზ ე დ დ რ ი ა მ გ ზ ა ვ რ ე
ბ ი ს ა დ ა გ რ ე თ ვ ე ი ს პ ი რ ი , რ ო მ ე ლ ი ც შ ი ს ლ ე ვ ს მ ა თ თ ა ნ ა ხ მ ა დ მ ე 4 გ ა მ
წ ე ს დ ე ბ ი ს .

5. მ ა ზ რ ი ს ე რ ო ბ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა ს ი ე ბ ს გ ა დ ა ს ც ე მ ს ა დ გ ი ლ ი ბ რ ი ვ ე ქ ი მ
ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ ს , რ ო მ ე ლ ი ც გ ა ს ი ნ ჯ ა ვ ს რ ა ს ა ქ ო ნ ე ლ ს , დ ა დ ა ჩ წ ნ უ ნ დ ე ბ ა
მ ი ს ს ი ს ა ლ ე შ ი ჭ ი რ ი ს მ ხ რ ი ვ , ნ ე ბ ა ს ა ძ ლ ე ვ ს ი ა ლ ა ლ ზ ე დ წ ა ს ვ ლ ი ს ა ს , რ ა
ზ ე დ ა ც ხ ე ლ ს ა წ ე რ ს ი მ ა ვ ე ს ი ა შ ი დ ა გ ა დ ა ს ც ე მ ს მ ა ს თ ე მ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა ს დ ა
ჭ ი რ ი ს ჩ ა ს ა ბ ა რ ე ბ ლ ა დ , რ ო მ ე ლ ი ც მ ი პ ი კ უ ვ ე ბ ა ს ა ქ ო ნ ე ლ ს .

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი , რ ო დ ე ს ა ც ა დ გ ი ლ ი ბ რ ი ვ ა რ მ თ ი
პ ა ვ ე ბ ა ე ქ ი მ ი ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ ი , ს ა ქ ო ნ ლ ი ს გ ა რ ე კ ა ი ა ლ ა ლ ზ ე დ შ ე ი ძ ლ ე ბ ა თ ე
მ ი ს მ ო წ მ თ ბ ი თ .

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ი მ ს ო ფ ე ლ შ ი , რ ო მ ლ ე ბ ი ც მ ი ე მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი ა ნ ი ა ლ ა ლ ზ ე დ
ს ა ქ ო ნ ლ ი ს გ ა ს ი ნ ჯ ა ვ ა ს ა ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ ი პ ე რ ს ო ნ ა ლ ს შ ე უ ძ ლ ი ა ნ დ ი ი
წ ყ ი ს 1 მ ა რ ტ ი დ გ ა ნ .

6. ყ უ ვ ე ლ ი ნ ა ხ ი რ ი ს ა მ თ ა ბ ა რ ი ს ა ქ ო ნ ლ ი ს გ ა დ ი ს ს ო ფ ლ ი დ ა ნ
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ვ ა რ ა ზ ე . თ უ რ ო მ ა მ დ რ ი ს თ ვ ი ს მ ი მ ა ვ ა ლ ნ ა ხ ი რ შ ი მ თ ხ დ ა
ს ა ქ ო ნ ლ ი ს რ ი ც ხ ვ შ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ა რ ი მ დ ე ბ ი თ , თ ე მ ი ს წ ა რ მ ი მ ა დ გ ე ნ ე
ლ ი , ა ნ ა მ თ რ ე უ ლ ი პ ი რ ი ა ღ ნ ი შ ა ვ ს ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს მ ი ზ ე ზ ს , დ ა თ უ
მ თ კ ვ დ ა , დ ა უ ყ უ ვ ნ ე ბ ლ ი ვ ა ტ ყ მ ბ ი ნ ე ბ ს ე ქ ი მ ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ ი ს ი კ ვ დ ი ლ ი ს მ ი
ზ ე ზ ი ს გ ა მ ტ ა ს კ ვ ლ ვ ა დ .

7. ს ა ქ ო ნ ლ ი ს გ ა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ა ს ს ა თ ე მ ი დ ა ნ ს ხ ვ ა მ ა ზ რ ა შ ი , თ ე მ ი ს გ ა
მ გ ე ო ბ ა ა ც ნ ბ ე ბ ს ი მ მ ა ზ რ ი ს ე რ ი ბ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა ს . ე ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი თ ა ვ ი ს
მ ხ რ ი ვ ა ტ ყ მ ბ ი ნ ე ბ ს ა დ გ ი ლ ი ბ რ ი ვ ე ქ ი მ ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ ი ს .

8. მეოთხე ს მოხსენებული საქონლის სია როგორც გზაში, იგრეთვე მთაში წარედგინება ექიმ-ვეტერინარის, რომელსაც ჩაბარებული აქვს საქონლის ზედამხედველობა მთაში.

9. სოფლის ადმინისტრაცია მოვალეა არ გაუშვას საქონელი იალაღზე უმოწმობოთ, როდელიც მოხსენებულია შე-5 წ.-ში და შენიშნებში. იმ შემთხვევაში, როდესაც მთაში მისულ საქონელს არ ექნება აღნიშნული მოწმობა, ექიმი-ვეტერინარი, გააჩერებს რა საქონელს იალაღზე ერთ ადგილას, თვალყურს ადევნებს. ათი დღის განმავლობაში და აძლევს საქონლის პატრონს სამართალში.

10. საქონლის გარეკა იალაღზე ვეტერინარის ნებადაურთველად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იალაღი მდებარეობს იმ სოფლის არემარეში, საიდანაც საქონელი მიემგზავრება და როდესაც, როგორც თვითონ სოფელი აგრეთვე იალმლიც უშიშარია ჭირის მხრივ.

11. თემის წარმომადგენელს და იმ ამორჩეულ პირთ, რომე-ნიც მიჰყვებიან საქონელს, ეკისრებათ: შეინახონ იალაღზედ წასვლის ნებართვის მოწმობა, იარონ დანიშნული გზით, წარუდგინონ საქონელი ექიმ-ვეტერინარს გასაშინჯავად და თვალყური დაიჭირონ, საქონელზე მთაბარობის დროს.

12. დაჭირიანებულ სოფლიდან იალაღზე საქონლის გარეკა შესაძლებელია მხოლოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ არა საქონლისთვის საჭმელი და წყალი. საქონელს თან გაჰყვება კუ მისია, მთათავსებს საქონელს მახლობელ საძოვრებზე განცალკევებულ ადგილს სადაც საკმარისი იქნება. საჭმელი და წყალი, და დარჩება იქ ჭირის მოსპობამდე.

13. საქონელი მიემგზავრება იალაღზე და ბრუნდება უკან ბარში დანიშნული გზით. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი ასცლება ნაჩევნებ გზას, ადგილობრივი მილიცია მოვალეა მოაბრუნოს დანიშნულ გზაზე.

14. იალაღზედ დაბინავებულ საქონელს თვალყურს ადევნებენ თემის წმრმომადგენელნი და სოფლის წაზოგადოებისაგან ამორჩეულნი პირნი.

15. ერთი იალაღიდან მეორეზედ საქონლის გადარეკა შეიძლება მხოლოდ ვეტერინარ-სანიტარიული ზედამხედველობის ნებართვით.

16. იალაღები იყოფება რაიონებად, რომელსაც ზედამხედველობენ: ექიმი-ვეტერინარი, ერობის გამგეობის წარმამადგენელი და მათთან დანიშნული მილიციონერები.

17.. საქონლის დაბრუნება იალაღიდან უკანვე ბარად სწარმოებს იმავე წესრიგით.

18. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი მიემგზავრება მეზობელ რესპუბლიკების იალაღზედ, მახრის ერობის გამგეობა წარმოუდგენს შ. ს. ს. ვეტ. სანიტ. განყოფილებას არა უგვიანეს 15 მარტისა იმ.

სოფლების ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარისაგან შემოწმებულ სის, საიდგანაც საქონელი მიემზავრება; სიაში აღნიშნავს მაზრას და იალალს, სადაც საქონელი მიდის. შ. ს. ს. ვეტ. სანიტ. განყოფილება გარეშე საქმეთა სამინისტროს საშუალებით უგზავნის სიებს მეზობელ რესპუბლიკის მთავრობას.

19. მეზობელ რესპუბლიკიდან სამთაბარო საქონლის შემოშვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ადგილები, საიდანაც საქონელი მიეგზავრება უშიშარი იქნება ჭირივ ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობის შემოწმებით და ამასთანავე წინდაწინვე ნაჩვენები გზებით; ეს გზები იმყოფება ადგილობრივ მთავრობის ვეტერინარ-სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ.

20. ამგვარ გზებად ითვლება:

სომხეთის რესპუბლიკიდან:

1. სოფ. ყარზახი, აზალქალაქის მაზრისა. 2. სოფ. ტროიცკოვი, აზალქალაქის მაზრისა. 3. აღლალის ულელტეხილი, ბორჩალოს მაზრის, 4. ბეზობლადის ულელტეხილი სოფ. შავალის ახლოს, ბორჩალოს მაზრისა,

ადერბეიჯანიდან: განჯის გუბერიიდან:

1. სოფ. ქორფლიდან სოფ. ლამბალოზედ, ბორჩალოს მაზრისა.

2. წითელი ხიდით მდ. ხრამზედ, ბორჩალოს მაზრისა.

3. სად. ფოილოზედ, ტფლისის მაზრისა.

4. დ. ლაგოდეხზედ, სილნალის მაზრისა.

21. გზების დანიშვნას რესპუბლიკის მთავრობა აცნობებს იმ მეზობელ სახელმწიფოს აღმინისტრაციას, საიდანაც საქონელი მიემზავრება.

22. ცხვრის ფარის გარეკა საზაფხულო იალაღზედ და უკანვე დაბრუნება ბარად სწარმოებს დაუბრკოლებლივ.

ერობათ კავშირის კომიტეტი

ეროვნულ კომიტეტი შემდეგი წერილი დაუგზავნა კუველა ერობებს: ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტმა მიმღინარე ოქტომბრის 27-28 რიცხვებში გაგზავნა რესპუბლიკის მაზრებში სტატისტიკოსები სასოფლო მეურნეობის და ჭირნახულის მოსავლის ადგილობრივ გამოსაკვლევად.

ერობათ კავშირის კომიტეტმა სთხოვა სამაზრო ერობებს გაუწიონ ექსპედიციის წევრთ დახმარება როგორც საჭირო ცნობების მიწოდებით, აგრეთვე გადასაზიდ საშუალებათა, იაფი ბინისა და სანოვაგის აღმოჩენით.

ერობათა კავშირის კომიტეტის გამოცემა.

— ერობათა კავშირის კომიტეტს განზრახული აქვს ახლო მომავალში გამოსცეს ცალკე წიგნად ქართულად: მასალები სამაზრო და სათემო ერობათა თანამედროვე მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური შრომები ბ.ბ. გრიგორიანისა და კონისა.

— ეროვნული გადაწყვიტა ინგოროვას მიერ შედგენილი რესტუბლიკის აღმინისტრაციული დაყოფვა, დამფუძნებელ კრების კომისიის მიერ მოწონებული, დაბეჭდოს ცალკე წიგნად.

— მომავალი წლის პირველ იანვრიდან ერობათა კავშირს ფადაწყვეტილი აქვს გამოსცეს თავის ხელმძღვანელობით და ჩარჯით საყმაწვილო ნახატებიანი „ნაკადული“ ბოზრილთა და მცირე წლოვანთათვის. შურნალი იქნება გაფართოებული და გამშვენიერებული ყოველის მხრით.

ერობათა კავშირის კომიტეტი მიმართავს ყველა ერობებს რათა აცნობოს მას დაახლოვებით რამდენი ცალი იქნება საჭირო პირველი და მეორე ნაწილი შურნალ ნაკადულისა რაიონის სკოლებისათვის.

ტფილის სამაზრო ერობაში.

— სამაზრო ერობამ აცნობა ყველა თემებს, რომ რაიმე გადასახადის შემოღება სურსათ-სანოვაგეზე აშკარა უკანონობა იქნება და ეს პირდაპირი დარღვევაა უკვე გამოქვეყნებულ მთავრობის თავმჯდომრის პროექტისა. ამას გარდა ერობამ მისწერა ყველა მილიციის უფროსებს, რომ მათ არავითარი დაბრკოლება არ გაუწიონ ხალხს სურსათ-სანოვაგის გადმოტანაში.

— გარეუბნების თემი თანახმად მაზრის ხმელსანთა ყრილობის გადაწყვეტილებისა გაიყოფა ოთხ თემად.

— მალარიასთან საბრძოლველი ერობამ ერთი კილო ქინაქინა გადასდო, ამავე მიზნით მოწვეულ იქმნა ერთი ფერშალი.

გორის სამაზრო ერობაში.

— ინფინერ ტროიცების მოხსენებით გორის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა ხელი მოვიდოს და მზრუნველობა გაუწიოს მთა-მაღალის აღორძინების საქმეს მაზრაში და ეს საქმე მიანდო ტეხნიკურ განყოფილებას. გამგეობამ გადასდო ნახევარი მილიონი მანეთი ამ საქმის გამოკვლევისათვის და პირველ წარმოების დასაწყისად.

— გამგეობამ დამტკიცა ატენის თემის გამგეობის დადგენილება შესახებ 673,700 მანეთის გაწერისა სასკოლო ხარჯებისთვის.

ახალციხის სამაზრო ერობაში.

- ახალციხის სამაზრო ერობამ შეიძინა სახელით ქარხანა, ერთ მილიონ რვაასი ათას მანეთად, რომელიც მალე დაიწყებს მუშაობას.
- სამასზრო ერობა გადადის საკუთარ ბინაზე. ამ ბინაზე იქნება მოთავსებული ერობის ცენტრალური საწყობი და საზეინკლო ქარხანა.
- ერობა აწყობს მიმოსვლას ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმან შორის.

ქუთაისის სამაზრო ერობაში..

ქუთაისის სამაზრო ერობამ დადგინა, რათა აღიძრას შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს, წინაშე, რომ ორი მეტეთედი იმ ფულებისა, რასაც სამინისტრო ლებულობს მაზრაში გაყიდულ საფონდო მიწებიდან გაღმოსცეს ერობას, რომლის საშუალებით არხები იქნება გაკეთებული! მიეცეს ერობას უპროცენტო სესხი იმ ორმოცდა ათ მილიონ მანეთიდან, რომლებიც გადაცემულია საერთოდ არხების გასაკეთებლად.

გურიის ერობაში.

- ერობის გამგეობა შუამდგომლობს განათლების სამინისტროს წინაშე, რათა შუასურების თემში დაარსდეს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი.
- ერობის გამგეობას განზრახული აქვს მომავალი სეზონიდან მოაწყოს აგარაკ. ბახმაროზე სანატორიუმი.
- გურიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ წინადადებით მიმართა ერობისა და ქალაქის გამგეობებს; რათა მიმღონ ზომები ოზურგეთში შრომის ბირჟის დაარსების შესახებ, თანახმად შრომის ხელშეკრულების კანონისა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

(გახილ ბარნევი, თხზულებანი, I ტ. წერა-კითხ. გ. საჩ. გამოცემა).

ქართველი ბელეტრისტი—გახილ ბარნევი, რომელსაც მაღრიელმა ქართველობამ შარშან შემოდგომაზე იუბილე გადაუხადა, 30 წლის სამწერლობო მოღვაწეობისათვის, დღეს უკვე სახელ მოხვეჭილი მწერალია, რომლის

ნაწარმოებთა პირველი ტოში ახლა გამოდის წიგნის ბაზარზე. ეს წიგნი სარკეა, სადაც ავტორი იხატება, როგორც გულწრფელი და მდიდარი გძმობა-გონების, ღრმა შთაბეჭდილების კალმის კაცი. და, როცა იმის ნაწერების წაკითხვას იწყებთ, გავიწყდებათ ჟველაფერი და წიგნს ხელს არ უშვებთ, სანამ ბოლომდის არ გაათავებთ წიგნის წაკითხვას. მკითხველს იზიდავს დიდათ საინტერესო მდიდარი ალწერილობანი და მოთხოვნების საბუცხოთ, ლიტერატურულათ დალაგება და მასთან ფრიად სასიამოვნო, მიმზიდველი მანერა წერისა.

ვასილ ბარნოვი დიდათ ნიჭიერი ბელეტრისტია. თუ არა ვცდები, იგი, როგორც ბელეტრისტი, პირველათ უურნალ „კვალის“ ფურცლებზე გამოვიდა, სადაც მან მოათავსა თავისი პირველი ისტორიული მოთხოვნა— „სვიმონ ხელი“. მას აქეთ მას კალმი ხელიდან არ გაუგდია, და გულმოდგინედაც შორს პრავინციაში რუსების ეანდარმებისა და ულმეროთ ბერებისაგან გადაგდებული ჩინებულ მოთხოვნებს წერდა და ათავსებდა თვიურ უურნალ „მოამბეში“ და სხვა ქართულ პერიოდულ გამოცემებში. რასაკვირველია, იმ თავითვე დედა ქალაქ თფილისში რომ ეცხოვდა, როგორც მიღებულია, წერესაც გაიჩენდა, ბერსაც დაიმევობრებდა და, რა თქმა უნდა, კრიტიკასაც ხმას ამოალებინებდა. მარა ეს არ მოხდა ასე და ვასილი ბარანოვი განაგძობდა მუშაობას ისე, რო ჩვენი ქართული სალიტერატურო კრიტიკა იმას თითქმის უურადლებასაც არ აქცევდა. კრიტიკის უურადლების ლირსი-კი იყო ჩვენი ბელეტრისტი.

ვასილი ბარნოვის მოთხოვნანი უფრო მომეტებულათ სოფლის ცხოვრებას ალწერს მხატვრულათ და, უნდა ვთქვა, რო დიდი დაკვირვებითა, ღრმა გძნობით და პოეზიით შეუძლია მას ნახული გაგონილის და გამცდილი ამბავის წერით გამოხატვა. ჩვენი ბელეტრისტი—მწერალი ქართველთა ყოველი წრის დღეინდელ ცხოვრებას ხატავს, მაგრამ იმისი ამღელვარებული, მჩქეფარე, აღვზნებული გრძნობა-გონება და ფანტაზია სწვდება ქართველთა განვლილს ღრმა ტრალიზმით სავსე ისტორიას და იქიდანაც შემოაქვს ჩვენს ბელეტრისტიკაში ახალ-ახალი სახე-სურათები, გმირები და ტიპებიც... დიდი და მდიდარი აწყობა და წარსული ცხოვრების სინამდვილეს მართლად დახატვამ მისცა ჩვენს ნიჭიერს მწერალს ძლიერი, მეტად ცოცხალი სახეები და მის მხატვრობას ამჩნევია დიდი ცხოველ მყოფელი ხასიათი და შინაარსი. ვასილ ბარანოვი ისეთი ძლიერი ცოცხალი ტალანტით არის დასაჩუქრებული, რომ იმას ძალიან ემარჯვება და ეადვილება, სხვა ჩვენ ლიხთ ამერეთის მწერლებთან შედარებით, ხასიათების გამონახვა და იმათა მხატვრულათაც ალწერა. ავტორი თთორნვე ამბობს: როცა მოთხოვნას ან რომანსა ვწერ, მაშინ ვისვენებ, მხოლოთ თეთრად გადაწერა მღლილი. როცა უნდა დავჯდე საწერად, სულ ერთია ჩემთვის, დაწყებულს ნაწერს განვაგძნობ დაუბრკოლებლივ; იმიტომ რო მასალა მზაა, სურათები თვალ-წინ მიდგას, პერიოსონაებს ისე შევყურებ, თითქმ სცენაზე დადიან და ვხედავ, ვინ რა უნდა მოიქმედოს, ვინ რა ხასიათისა და ბუნებისააო... ავტორის მოთხოვნებისა და რომანების გმირები იშვიათ ან განყენებულ პირებს:

არ წარმოადგენენ და ჩვენც, მკითხველებს ძალიანაც გვეცნობებიან და გვენა-თვესავებიან. ავტორი არა ხმარობს გაბერილ, მაღალ კილოს თვესი უნაზესი გრძნობების გამოსახატავათ. ამიტომაც, იმის მოთხოვობა-რომანებს ბუნებრივი ცხოველ-მყოფლობა და ზომაზე გადუჭარბელობაც ეტყობა. ვასილ ბარნოვის ნაწერებში თითქმის ყოველგან კარგი, ძალიან მოსაწონი სურათებია, ცხოვრების სცენებია გაშლილი, რომელიც ავტორს პოეტურათაც აქვს გადმოცემული.

ჩვენმა ბელეტრისტმა მისცა ქართულ ლიტერატურას სრულიად ახალი მოქმედი პირები, თითქმის ტიპებიც იმ ცხოვრებიდან, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ხელუხლებელი და საიდუმლოებით მოცული იყო ჩვენი მწერლობის-თვის. მე მოგახსენებთ ქალაქ თფილისის ახლო-მახლო და განსაკუთრებით მის სამხრეთ მხარეზე მდებარე სოფლელთა ცხოვრების შესახებ, რომელსაც ძალიან ახლოს იცნობს ჩვენი ნიჭიერი მწერალი. იგი დაიბადა და აღიზარდა სოფ. კოდაში, ისტორიულ მარაბდის ახლოს, სადაც გაშენებულია შემდეგი სოფლები: კუმისი, ვაშლოვანი, ერტისი, ლოუბანი, ბორბალო, მარაბდა, ქვიშრილი, თელეთი, წალახური, ჭაბი, მუხათი და სხ. აქვეა კუმისის ტბაა, რომლის გადასწვრივ იწყება იაღლუჯის ბორცვები და ისინი მისდევენ ლურჯად მოკამამე მდ. მჟყვარს მარჯვნივ. აი, ეს დიდი და მდიდარი, მარა წყვდიადით მოცული მხარე, რომელსაც არ წარმოუშობავს არც წარსულსა და არც აწმყო ქართველთა ცხოვრებაში არც ერთი მწერალი, ერთბაშათ აღზდგა მკვდრეთით, გაცოცხლდა, გაშუქდა და გაბწყინდა ვასილ ბარნოვის მადლიანი კალმის შეოხებით.,

ვასილი ბარნოვის ესკიზში — „ალუჩა“ პირველი სიყვარულის აკოკრების ტკბილი და სანეტარო განცდის წუთებია აღწერილი და პატარებისთვის ნამეტურ ძალიან საინტერესო წასაკითხავიც არის. ესკიზი თფილი გრძნობით და სიყვარულით არის დაწერილი.

მოთხოვობა „უვავისუები“ ფსიქოლოგიური სინამდვილით არის დაწერილი. ავტორი შედის მოთხოვობის გრძილის-ბაბუცას მდგომარეობაში, წუხს მისი მწუხარებით და ნალექელით და ლამაზათაც სწერს იმ გარემოებას, რომელაც ახალგაზდა ქალს გარს არტყია. ამ მოთხოვობაში ავტორს დახატული აქვს გასათხოვარი ქალის სულ იერი ბძოლა. ფიზიკური სიმახინჯე-კუზიანობა. სიცოცხლით სავსე ქალიშვილს იქამდის მიიყვანს, რო მას საშინლათ შეძაგდება ეს წვენიერი, ედემის მსგავსი ქვეყანა და თავი უნდა მოიკლას, მარა არა! იგი თავს არ იკლავს. იგი შეეჩევა, ისწავლის და გაიჩენს ცოცხალ საქმეს, რომელმაც მიიზიდა და გაიტაცა ბაბუცა და გადარჩა დაღუპვის. აი, ამ ცოცხალი საქმის გაჩენით, დიდი სასწაულ მოქმედი შრომით ვასილ ბარნოვმა იხსნა მოთხოვობის გზირი და ჩვენი სევდა და შიშიც გააქრო.

მოთხოვობაში — „მეჩვენა“ დახატულია ავტორის ნაამხანაგარის იოსებ სანდომიძის ინდივიდუალური და ოჯახური ცხოვრების თავგადასავალი. მოთხოვობის გმირმა დასასრულა უმაღლესი საწალებლის კურსი, იყო დიდი ნაკითხი და ნიჭიერი, რომელსაც სულით და გულით სურდა თვისი მშობელი ქვეყნისთვის სარგებლობა მოეტანა. ნუგეშათ ყავდა ერთად ერთი დედა, მარა ისიც მოკვდა.

და დარჩა მარტოხელი, ყველასგან მიტოვებული.. ზაფხულში, კანიკულებზე, სოსომ გაიჩინა ცოცხალი საქმე—წავილა სოფლად, რო შეექრიბა ხალხური სიძლერები, ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და აი, ერთ შეენიერ, ლამაზ სოფელში გაიცნო უშვენიერესი ასული, რომელიც, როგორც იქნა ცოლათაც შეირთო. ეს წამსვე გაიტაცა აგზნებული საყვარელის ცეცხლშა და მას ღრმათ დაეწაფა. მარა დიდხანს არ გაგდელებულა ეს ბედნიერება. მისმა ლამაზმა ცოლმა საყვარელი გაიჩინა და ამ გარემოებამ მის ქმარს—სოსოს სამარეც გაუთხრა. გაჰყვა ნუნუას, დაიწყო ლოთობა და ქალაქში სახლის მესამე სართულიდან გადმოვარდა და... მოკვდა. ამხანაგს—ავტორს მან დაუტოვა წერილი და რვეული და ამ რვეულებსა და წერილებზე ვასილ ბარნოვმა შეთხა ლამაზი მოთხრობა იმ უდროოთ დალუბულ, საიმედო, ნიჭ-ერ კაცზე. მკითხველის გონების თვალის წინ ელვის სისწრაფით გაიჩაბენს მარტოხელი ინტელიგენტი კაცის ღრმად და ძლიერად დატანჯულა ცხოვრება, სავსე ბრძოლითა და ქარცეცხლით, დაწერილი გატაცებით მკვეთრად, ნაზისა და ნარნარი, აღელვებული გძნობებით...

ისტორიულ მოთხრობაში—, ისნის ცისკარი, დახატულია მეხანჯლეების ოსტატი—იოთამეს უშვენიერესი ასული, თინანო (ისნის ცისკარი), რომელიც შეუყვარდება ოსტატის ზაბატონარს საამ გოსტაბაშვილს. კაცობრიობის მტერი, დიდი კასტრატი (დასაჭურისებული) აღა-მამადხანი რომ ერეკლე II სატახტო ქალაქს—თფილისს თავს დაეცა, აი, სწორეთ იმ დროს ეკუთვნის ჩევნი ავტორის მოთხრობა. მოხდა ისე რო მეორე ოსტატის—მილუას ჯაშუშობის წყალობით, ისნის ცისკარი ხელში ჩაუვარდება დიდი ირანის ყეინის წარჩინებულ სარდალს, გამოჩენილს სელიმ—ხანს.

ისტორიულ კრწანისის ველზე, გამცემლების წყალობით, გამარჯვებული შავი, დიდი ბრძანებელი ირანისა გამოცდილი და ჭკვიანი მეფე იყო. მან კარგათ იცოდა. თუ რა შემთხვევითი იყო მისი გამარჯვება ერეკლე მეფეზე, ამ ნადრი შავის საარაკო ლომზე და, რა-კი ერეკლე ხელიდან გაუშვა, ეს დიალი, მოხერხებული ფალავანი ძლიერათაც შეანძრევდა და თლად საქართველოს, დიდ უცნაურობას ასტეხდა და გამარჯვებულ ყეინს საქვეყნოთ სასაცილოთაც გახდიდა. ამიტომ მან ფიცხელი ბრძანება გასცა კვლავ ირანისკენ გაბრუნება.

საამ გოსტაბიშვილმაც საქმე ისე მოაწყო, რო ქალაქიდან გაბრუნებულ ყიზილბაშებს თავს დაეცა თავის საგანგებოთ გაწყობილი რაზმით, რომლის შეიიარაღებული ჭაბუკი რაშებზე ისხდენ და თვალის დახამხამების უმაღ მზე-თუნახავი ისნის ცისკარი ირანის დევს—სელიმ—ხანს წაართვეს.

თოფის სროლამ და კიუინამ ყეინის ყურადღებამდი შიალწია! მოახსენეს, რა ამბავიც მოხდა. ბძანა, ცოცხლები მომგვარეთ თავხედები, დაბადების დღე შეგანანოვა. მდევგარი რა ხელცალიერი დაბრუნდა ყეინს მიწის ფერი დაედო. მან გვხლიანათ გადახედა სელიმ—ხანს და ბძანა:

— წაგებულ ღმს უდრის ეს მარცხი!

ძლიერსა და ღრმა შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველის გულში ეს მოთ-

ზრობა, როცა ისტორიულ წყვდიადიდან გამოყავს ავტორს დიდი ეხერგით და შვენიერებით აღსავსე მოქმედი პირები. ბელეტრისტის ეს წარმტაცი ნაწარმოები ჩვენ, დღეინდელ ცოცხალ ქართველებს გვიახლოვებს. ჩვენი მამა-პაპა-თა ოვავადასავალს, ჭირსა და ვარამს, სიხარულს და დღესასწაულს; იმათი სულის ღრმა საიდუმლოებას თვალ წინ გვიშლის, გვირკვევს და სრულის გძნობა-გონებით ვიგებთ იმათ ცხოვრებას... და გასაგები ხდება ჩვენთვის ყოველიფერი. ამ მოთხრობაში გამოყანილ მოქმედ პირთა და იმათ გარშემო მოფუსტუსე ხალხის სულის მისწრაფება გულის ნადები გამოხატული გძნობი-ერი სიტყვებითა, ცოცხალი ფაკტებითა და მოძრაობით გასაგებია ჩვენთვის იმათი ოჯახური, პირადული და საზოგადო მოქმედების ღრმა მოტივებიც და ნათლად ვიგებთ თელი ჩვენი წინაპართა განვლილი ცხოვრების დაცემის და აყვავების მიხეზებსაც. ავტორს დაბეჭდილი აქვს შესანიშნავი ისტორიული რომანები: „ტრაფობა წამებული“ „მიმქრალი შარავანდედი“, „სვიმონ ხელი“, „სახიფათო სიყვარული“ და სხვა, სადაც იგი დიდი რომანისტების მწერალთა ქა-თელორიას უახლოვდება და შემოქმედების ძლიერი ნიჭიც აქვს. მარა ამაზე შემდეგ გვექნება საუბარი, როცა ამ ნაწარმოებს დასტამბავს წერაკით. გამ. საზოგადოება. ამ ეამათ-კი მხოლოთ მოქლეთ აღვნიშნავთ იმ ფაკტს, რო ვა-სილ ბარნოვმა თვისი ბელეტრისტიკით შექმნა ქართველ გმირთა იდეალური ატმოსფერა, რომელიც წარსულ ცხოვრებას გვიშლის თვალწინ გარკვევით, ცოცხლათ, სადაც იხატება იმათი პირადი განბეჭაობა, ძალ-ლონე, მამაკობა და სამაგალითო ერთსულოვანობით ვაშკაცურათ დაილუპენ ვამწარებულ ცხო-ვრების ტრალიკულ ბძოლაში და ჩაენი ავტორიც გატაცებულია იმ აზრით, რო მისგან დახატულ ისტორიულ პირებში ფეთ ჩდეს ძლიერი ენერგიის ძალა, რომელიც ახმაურებს მის შვენიერ მამულს, იშობლიური ქეეყნის ჰაერს და ბუნებას, წყალს და ნიავს, ცასა და ღრუბლებს, კავკასიონის მწვერვალებს და ტყეებს, სწორეთ იმიტომ და იმის გულისთვის, რო საუკუნოთ დამარცხდეს ქართველთა ერის ურიცხვი, უთავლავი მტერი. ხომ ასეთი წარსული ჰქონდა ქართველებს, მარა უთვალავ მტერთა სურვილი, რო საქართველოში — ამირანის აკვანში გამეფებულიყო სიკვდილი... გაქარწყლდა და ჩვენ წინაპართა და დიდი ბუნების მეოხებით ცხოვრება ჩვენი უფრო დიდი და მდიდარი უფრო შვენიერი და გაცისკროვნებული მაინც ფეთქს და ფეთქს...

ვასილ ბარნოვის შემოქმედების ცხოვრების ისტორიას ერთი მოქლე და-სკვნა უნდა გავუკეთო. რუსეთის უანდარმი და აბსოლიუტიზმი, მათი ეკლესიის ავტორიტეტის, ყორე მონები — ბერებიც სასტიკათ დამარცხდენ, როცა ისინი ამ ტალანტს დასამარხავთ. თელავში აციმბირებდნ და თფილის აშორებდნ. აზრის, გძნობა — გონების შემოქმედებამ ძლია ისინი და დაასამარა... ეს ფა-ქტი ჩვენი კკუის დიდი მასწავლებელია, ამიერიდან ჩვენი მოქალაქის გრძნობა-გონება, აზრი და შემოქმედება მაინც იქნეს სრულიად თავისუფალი, თუ მას მშობელი ქვეყნის ბოროტება და დალუპვა არ უდევს სარჩულათ...

მოთხრობაში — „თებერას დანიშნული“ ავტორმა მოგვცა წმინდა რეალი-

სტური ნაწარმოები. მარა მისი ჩინებული სურვილი თლად გახორციელებული არ არი მაინცა და მაინც. მელორეების აღწერა ჩვენს მწერლობაში სულ პირველი საქმეა. ქართლსა და ნამეტურ კახეთში მელორეებს თვისი საკუთარი ცხოვრება აქვთ. გამოჩენილი მოჭიდავენი და ფალავანნი კახეთში ამ წრიდან გამოდიან და მე სრულიად წინააღმდევიც არა ვარ იმათ ცხოვრება დიდი დაკავირებითა და მხატვრობით იქნეს შესწავლილი და დახატული მწერლობაში. მარა ისეთი იდეალური პირის გამონახვა მელორეთა შორის, როგორც ვასილ ბარნოვის თებერაა, არ არი წარმოსადგენი და ავტორს საკუთარი ფანტაზიის-თვის დიდი ადგილი მიუკია: ზართალია, ის, რაც ავტორს დაუხატავს, ცხოვრებაში პირდაპირ არ შეგვხდება და მხატვარს ყოველთვის შეუძლია საკუთარი განცდის, ფანტაზიის წყალობით წამატებულის ხაზებით შემქოს მოთხოვნის გმირი, მარა ამასაც თვისი საზღვრები აქვს ხომ..

ლამაზათ და, თუ გნებავთ, მხატვულათაც არი დახატული მოთხოვნის ის ადგილი, სადაც მოთხოვნის გმირი—თებერა ბავშებს მოუყვება იმ შიშის შესახებ, რომელიც ერთ დიდ ტევრში, ჭანჭრობის პირათ მან ჯანიცადა შუალამისას, სრულიად უმთვარო ლამეში იგი გამოაღვიძა რაღაც უცნაურმა ძალამ. ჭაობი განათებული იყო სანთლის სვეტებით. თებერა ჩაუკვირდა ამ სინათლის სვეტებს და თითოულ სვეტში ქალის სახე აღმოაჩინა. ერთი იმათვანი თებერას ალერსით იპატიუებდა და ისიც დიდი სანე ზარო სიამოვნებით გაყვა მის მომხიბვლელ, სიამის შომგვრელ ძაბილს. „ისეთი ტკბილი შეჩენა იმისი ბრა, როგორც სალამურის სტეგნა: მისმა ძახილმა რბილათ დამიარა ტანში და ვამათბო; თლად მიმიზიდა იშისმა ლიმილმა და მე უებლიერ წავედი მისკენ. ვიციდი, რო ხელს შომხევდა და დაშლუბავდა, მარა მაინც მისკენ მიგდიდი“.

ეს ადგილი სიმბოლიურათ ხატავს მამაკაცის ქალისადმი. სამარადისო მიზიდულობას, რომელსაც თავდავიწყებამდი მიჰყავს ზოლმე ბევრჯელ ჭაბუკი ცხოვრებაში. ვასილ ბარნოვის აზრით, სიყვარული უძლიერესი ძალაა, რომელიც საუკუნოთ აკავშირებს ორს არსებას, ყოველგვარ დამაბრკოლებელ ძალებს, წინააღმდევ პირობებს დაიმორჩილებს და ორს არსებას სრულს ბედნიერებას მიანიჭებს ამ ქვეყნათ. სიყვარულს ვერაფერი ძალა ვერ შეედრება. ასე კატელორიულათ სწყვეტს ამ დიდ საგანს ჩვენი მწერალი ვ. ბარნოვი.

უმანკო, ნაზი ეონა ავტორს ზომიერჩით-აქვს დახატული. ბევრი სულის სიტურფე, გულის სიცხოვლე გააშუქა ავტორმა ალალ-მართალ აღამიანის არსებაში.

დიდი დაკვირვებითა და ცოდნით არის დახატული ეს მელორე ბიჭი-თებერა და მისი უანგარო, წმინდა სიყვარული პირ და პირ ხიბლავს მკითხველს და იზიდავს დიდ ყურადღებას ამ ჭაბუკისკენ.

მეორე მხრით, მედუქნის თევდორის პირუტყული, ეგოისტური გულის თქმა, რომელსაც გულით უნდა უპატრონო ეონას შეუბლალოს წმინდა ანგელოსური სურვილები და სულით და ხორცით დაღუპოს იგი, სწორეთ ქარ-

გათ და მარჯვეთ აქვს დახატული. ვასილ ბარნოვი დიდი დარბაისელი, თავდა-
ჭერილი, მეტად სერიოზული მწერალი-მხატვარია. ეს იქიდან სჩანს რომ იგი
ძალიან მოწიწებით და დიდი ყურადღებით ეკიდება თავის მოთხოვნების გმი-
რებს და ამით თავის თავსაც აფასებს და თავის კალამსაც...

მხოლოთ ძალიან მიკვირს და ვერ ამიხსნია ასეთ ფრთხილ მწერალს,
ენის მხრით რატომ ეტყობა დაუდევრობა და უყურადღებობა. მაგალითები:
ლესამდა, ჰმახვამდა, ხავთით, ჰხრამდნენ, მესხიერება, მეამიტად, ავლან (სომ-
ხური უნდა იყოს), გავწალდამდი, ბელგის მიცემა (სრულებით არ მეშმის)
დახშილი, კარებებს, ფშვინაძა, ხედამდა, ჰკარგამდა, სამსე, აძოიკითხამდა,
ჩამომრჩალი და სხ. და სხ.

ქართველი მწერლები, არა თუ უნიჭონი, ნიჭიერნიც-კი, სამწუხაროთ,
დიდი მოწიწებით და დაკეირვებით არ ეკიდებიან ქართულ ენას, სალიტერა-
ტურო ფორმების ხმარებას.

ვასილ ბარნოვის თხზულებას წინ მიუძლვის ავტორის პორტრეტი და გრ-
აფიტშიძის მიერ ჩინებულათ დაწერილი მას-ბიოგრაფიაც.

წიგნი სუსუმადაა დასტამბული და იაუალც ლიოს.

ხომლელი.

რედაქტორები { გ. ლორთვიფანიძე.
} პ. საყვარელიძე.

გამომცემელი: ერობათა კავშირის კომიტეტი

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის ორგვირეულ ქურნალ

წელიწადი
შირველი

„მროვებ“ 83

წელიწადი
შირველი

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა, ეურნალი შიზნათ ისახავს კონბის ცხოვრების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების უკველმხრივ გარკვევა-გაშუქებას.



რედაქციისაგან:

რედაქცია, სთხოვს უველა საერობო და საზოგადოდ თვითმართველურ ერთეულებს მოგვაწოდონ ადგილობრივი ცხოვრებიდან მასალები მნიშვნელოვანი რეზოლუციები და დადგენილებები, წერილები, სტატისტიკური ცნობები, გამოცემანი.

თანამშრომლებს ვთხოვთ წერილები დაწერილი იყოს ერთ გვერდზე მელნით და გარკვევით.

რედაქცია იმყოფება: რუსთაველის პლ. № 24
ერობათა კავშირი კომიტეტის ბინა.

၃၈၁
1920

မြို့ပြည်ရာ နှစ်ပါး အကြောင်း ဒုန်ခုခံ

“က က တ ဗ ဗ”-၄၅

ကြုံလျော့ စားသမဂ္ဂမြော် ဗျာမျိုးလုပ်-စွာမျိုးလုပ်မြော်
များတဲ့ ပါယံပါး ဖော်ပြန်လော် ဒုန်ခုခံပါး

ဘန်းကို ၅၀၈ တွေ့မီ 250 မာန်တော်၊ ပာဏ် ၆၀၇၅ မာန်၊
10 မာန်တော်

နှေ့လျော့ပါး နှေ့လျော့ပါး ပို့ဆောင်ရေး ဦးစွား၊ ရန်ကုန်တော်၊ ၂၁၁၆

စောင့်ပြု 16—62

ဒုန်ခုခံ 100 မီ.